

შ ე რ ი მ ე ბ ი

კ კ მ ლ ე ტ ი დ ა ფ ა უ ს ს ი .

ინდივიდუალიზმის ტრაგედია.

ტრაგედია „ჰამლეტი“ უმშვენიერესი ფორმაა იმ კულტურის, რომელსაც გამოსახავს ინტელექტუალიზმი: ტრაგედიის არქიტექტონიკა ისეთია, თითქოს განგებ აქვს ავტორს ერთმანეთთან დაპირდაპირებული ორი არისტოკრატია — არისტოკრატია ფიზიკური მძლეობისა — და არისტოკრატია გონებრივი მძლეობისა.

ერთი მხრით ტრაგედიაში დგანან კლავდიუსი და ჰერტრუდა. როგორც წარმომადგენლები საშუალო საუკუნეებრივი გმირული ეპოსისა თავიანთი ფიზიოლოგიური მორალით და ველური ვნებით; მეორე მხრით ჰამლეტი და ჰორაციო თავიანთი მეგობრებით, როგორც წარმომადგენლები დიდი ინტელექტუალური კულტურის და ისტორიულ-ქრისტიანულ მორალის.

კლავდიუსი, ჰერტრუდა, ფორტინბრასი ფლიდი პოლონისუსის ოჯახით და სუსტი ნებისყოფის ოფელიით განასახიერებენ ბნელ საუკუნეთა ვერაგულ ურთიერთობას ადამიანთა შორის; კლავდიუსი და ჰერტრუდა ტიპებია იმ სოციალური წყობის, რომელსაც იძლევა ისტორიაში ორგანიზაცია გმირული ეპოსის: აქ არის ძლიერი ტემპერამენტი, ბიოლოგიური მორალი. თითქმის თავისუფალი ყოველგვარი ინტელექტუალურ-მისტიური გააზრებისაგან: გონების კულტურას, ფილოსოფიას, ოცნებას მისტიურს აქ ადგილი არა აქვს, კლავდიუსი და ჰერტრუდა არსებობას იღებენ პირდაპირ როგორც ფიზიკურ რეალობას, როგორც ერთგვარ ვნებათა და კვებათა ლაბორატორიას. საოცრად

ანუგეშებს ჰამლეტს კლავდიუსი მამის სიკვდილის შემდეგ: რა ვქნათ? ქვეყანა ეგრეა მოწყობილი: მამა კვდება და შვილი რჩებაო, მარტივი და ვულგარული თვალთახედვით მოცემული, ასეთი ბუნებრივი თვალთახედვით შეყურებს თავის საქციელს კლავდიუსი: მან საკუთარი ძმა მოჰკლა და ცოლი მისი თვითონ შეირთო ცოლად.

ყველაზე დიდი ცოდვა ტრაგედიაში კლავდიუსმა ჩაიდინა, მაგრამ სრულებით მას ეს ცოდვა არ აწუხებს: ის ისე ველურია ხასიათით, ისე თავისუფალია გონებისა და ტრადიციის მორალისაგან, რომ მისი საუკეთესო სახელწოდებაა „თმახუჭუჭა მხეცი“. ქვეყანა მისთვის გლეჯის არენაა და არავითარი სინდისი, გარდა მხილებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის, მასზე არ მოქმედებს.

შექსპირი დიდი პსიქოლოგია: მან იცის, რომ შეცნობისათვის საჭიროა მსგავსება, იქ სადაც სულის კულტურა არ არის, იქ სადაც გონება მხოლოდ ემორჩილება ნებას. სადაც მორალური პრინციპები და იმპერატივები არ არსებობენ. შეუძლებელია ლაპარაკი შეგრძნობასა და მისტიურ განცდაზე. სული მაშინ სცილდება საზღვარს ფიზიკური არსებობისა, როდესაც დიდხანს ვარჯიშობს ტანის წვალებით და ტანჯვით. შექსპირი საუცხოვო მაგალითს იძლევა: მამის აჩრდილი ესტუმრება ჰამლეტს და ზოგერთ მის მეგობარს, რომელსაც აქვს ერთგვარი კულტურა სულისა და გონების; კლავდიუსი და ჰერტრუდა აჩრდილს ვერ ხედავენ; იმ დროს, როდესაც ჰამლეტს და ჰამლეტის მეგობრებს აჩრდილი არამც თუ ელანდებათ, არამედ ელაპარაკებათ კიდევაც, ჰერტრუდასა და კლავდიუსს აჩრდილი არ აწუხებს. **საოცარია:** ყველაზე უფრო აჩრდილი უნდა აწუხებდეს მას, ვინც ჩაიდინა მკვლელობა. ვინც უდანაშაულო და კეთილშობილი მეფე გამოასალმა წუთისოდველს; მართალია ჰამლეტის მამაა აჩრდილი, მაგრამ იგი კლავდიუსის ძმაა ამავე დროს: რატომ აჩრდილი შვილს ეცხადება და მისგან მოითხოვს შურის ძიებას და არ აწუხებს თავის ბოროტ ძმას, რომელმაც იგი გამოასალმა ამ ქვეყანას. შექსპირმა მშვენიერად იცის, რომ აჩრდილის შეცნაურებისათვის საჭიროა განსაკუთრებული წყო-

ბა სულისა და ტემპერამენტის, რომელიც არ აქვს არც ჰერტრუდას და არც ბოროტ მეფეს და კაცის მკვლელს კლავდიუსს, ასეთი წყობა სულისა და ტემპერამენტის აქვს იმ ჯგუფს — იმ წრეს, რომელსაც მიუღია ერთგვარი კულტურა გონებისა და სულის: შექსპირმა იცის, რომ ბუნებისა და სოციალ-ისტორიულ არეში მზადდება ხასიათი თავის რთული ფსიქიური ატრიბუტებით და არც ერთი თვისება ჩვენი ტემპერამენტისა არ არის წამოღებული რომელიმე უცხო სფეროდან; ხასიათი კლავდიუსის არის მოცემული და შექმნილი იმ ჩვეულებებით და ადათებით, რომელთაც ჰქონდათ ადგილი საშუალო საუკუნეთა ფეოდალურ-აგრესიული კულტურის პერიოდში: იყო დრო ისტორიაში, როდესაც წართმევა, წაგლეჯა, მოტყუება, ღალატი, მკვლელობა ბუნებრივ მოვლენად თუ არ ითვლებოდა, ხშირად მაინც ხდებოდა; ცხოვრება ამ დროს ადამიანს ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ბრძოლას არ ესაჭიროებოდა არავითარი სანქცია გონებისა და მორალისა; აქ ლაპარაკობს **ბუნება** და არა გონება, ვნება, ხორცის კულტი და არა მორალი. კლავდიუსი — ეს არის ბუნების ველური შვილი.

კლავდიუსი მშვენიერი ტიპია იმ ეპოქის, როდესაც გონების, ფილოსოფიის და მორალის გავლენა სუსტია, როდესაც ისტორია თავის ტრადიციით და ჰუმანიზმით ჩამოყალიბებული არ არის, როდესაც ადამიანს ამოძრავებს ბიოლოგიურ-სექსუალური ვნება. არე სოციალური ყოფისა კლავდიუსებსა და ჰერტრუდებში ავარჯიშებს კუნთებს და ფიზიკური მღელვარების ინსტიქტებს; კლავდიუსის ტიპის ადამიანი არ იცნობს ცრემლებს, არ იცნობს ლამენტაციებს, შებრალებისა და ალტრუიზმის გრძნობებს, კლავდიუსი „პრეისტორიული“, ნატურალური ტიპია და ამაშია მისი ფსიქიოლოგიური ღირებულება და რეალობა, ამაშია მისი სიძლიერე როგორც გმირის...

სულ სხვა ტიპია ჰამლეტი: მართალია თავის ეპოქის კულტს ფიზიკურ ვაჯიშობას იგი ეწევა, ფარეკაობს; მაგრამ ეტყობა, რომ მისი ტემპერამენტი მაინც არ წააგავს კლავდიუსის ტემპერამენტს, ან თუნდაც დედის ჰერტრუ-

დას ხასიათს: შექსპირი გენიოსურ ანალიზს იძლევა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის შექმნისას: სოციალურ არეს უფრო მეტი შეაქვს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში, ვიდრე მემკვიდრეობას; კულტურა ზრდისა და საზოგადოებრივი სული უფრო ძლიერია თავის სოციალურ ყოფის რეფლექსებით, ვიდრე ატავისტური ატრიბუტები ორგანიული ევოლიუციისა: ჰამლეტი ვიტენბერგის სტუდენტია და სული მისი დაძენძილია ისტორიზმით, წიგნებით, ქრისტიანული კულტურის ტრადიციით; ნაზი ნერვიული მსუქანი, მეოცნებე, პათოსანი ჰამლეტი ნამდვილი კანონიერი შვილია იმ სოციალურ კულტურის, რომლის შინაგან ტევას ახასიათებს მორალური მსოფლშეგნება და ჰუმანიზმი; ჰამლეტის სული განსახიერებაა ინტელექტუალისტური კულტურის და მისი მორალური პრინციპების: გაჭირვების დროს ჰამლეტი აჩქარებით თხოულობს უბის წიგნაკს, რომელშიაც მას უნდა აღნიშნოს წინააღმდეგობა ოფიციალური მორალისა და ველური ტემპერამენტის; ეტყობა ჰამლეტი ხშირად სწერს, წერა ერთგვარი ხელობაა მისი: როდესაც არტისტები ჩამოვიდენ ელსინორაში, მან მთელი მონოლოგი დაწერა და ჩაურთო იმ სცენას, რომლის განსახიერება განზრახული იყო; ჰამლეტი დიდი მეგობარია ხელოვნების და თეატრის, იგი დიდი მცოდნეა ადამიანის სულის, მისი სოციალური კონსტრუქციის და გრძნობათა ბუნების.

კანტი შექსპირის შემდეგ ამტკიცებს — ფსიქოლოგიაში ცდა შეუძლებელია; ხელოვნებისა და ლიტერატურის მცოდნე რომ კანტი ყოფილიყო არ იტყოდა ამას, კანტი არც კი დაფიქრებულა იმაზე, თუ რა გააკეთა შექსპირმა თავის ტრაგედიით „ჰამლეტი“, ჰამლეტის სცენაზე ყოველგვარ პროფესორულ კომენტარიებზე უკეთესად გვიჩვენებს იმას, რომ ფსიქოლოგიაში ცდა შეუძლებელია, მხოლოდ ამ ცდას მოწყობა უნდა ისე, როგორც მოაწყო დიდმა შექსპირმა.

ჰამლეტმა განასახიერა ის, რასაც ადგილი ჰქონდა სინამდვილეში და როდესაც სულმა ხელმეორედ დაინახა ის, რაც მან განიცადა სინამდვილეში, სახეზე გამოსახა თავის

შინაგანი ტკივილები. ჰამლეტმა მაშინათვე შეიტყო რა აწუხებდა კლავდიუსს:

სცენამ სცენაზე გამოამჟღავნა მკვლელობის განცდა და ჰამლეტი დარწმუნდა იმაში, რაშიაც იჭვი ეპარებოდა წინად. თეატრი ამით იძლევა სოციალურ ფსიქოლოგიას და მნიშვნელობა ყოველი სცენიური განსახიერების აქ ორგანიულად გადაკავშირებულია რეალური ცხოვრების ბიოსოციალურ პერიპეტიებთან. თეატრის დიდი ფსიქოლოგიური ღირებულება და სცენიური ექსპერიმენტით სულიერი განცდის გამორკვევა — აი რა იდეა წამოაყენა შექსპირმა და რა არ იცოდა კანტმა. სამწუხაროდ დღესაც ბევრს არ ესმის ეს დიდი აზრი შექსპირის და ამით ბევრი რამ ფუჭდება იქ, სადაც ამის გაგება ეძნელებათ. ჰამლეტი ხელოვნებისა და გონებრივი კულტურის წარმომადგენელია მთელი თავის არსებით და განცდებით: ჰამლეტი დიდი იდეოლოგია ინტელექტუალიზმის და სწორეთ ამაშია მთელი მისი ტრაგედია; მის, გარშემო ცხოვრობს სულ სხვა საზოგადოება თავის საკუთარი მსოფმხედველობით და ცხოვრების პრინციპით. ამ საზოგადოებისათვის უცნობია მთელი ის იდეოლოგია, რომელსაც ატარებს ჰამლეტი და რომლის შედეგია ტრაგედიის პროცესი. ჰამლეტისა და მის გარშემო წრის შორის დიდი წინააღმდეგობაა; ჰამლეტი ინტელიგენტია, იგი მოაზროვნეა, მისი ტემპერამენტი დაცრეცილია ინტელექტით, ნების ყოფა შესუსტებულია იჭვებით და აზრებით; ჰამლეტი ფიქრობს და დარდის ადამიანია, სული მისი იტანჯება იმ წინააღმდეგობის გამო, რომელიც არსებობს ქვეყნად მორალური მსოფლშეგრძნებისა და რეალური, ბრუტალური ყოფის შორის; მას სურს გარდაქმნას ქვეყანა, შეებრძოლოს ქვეყნის უწესრიგობას. მაგრამ ბრძოლა, როგორც პროცესი რეალური, მოითხოვს იმას, რასაც უარყოფს გონება და მისი მორალი.

ჰამლეტი ეძიებს გამოსავალს და ცხოვრების მძიმე წუთებში იგი განიცდის დიდ შინაგან ტკივილებს, ჰამლეტი თავის სულში ეძიებს იმ მორალურ პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ისტორიულად ქრისტიანული კულტურის გავლენით და რაციონალიზმით. ამიტომ ყველაფერი, რაც

გონების წყობას ეწინააღმდეგება, მიუღებელია ჰამლეტი-
სათვის ჰამლეტი იღებს მხოლოდ მორალურ ქვეყანას და
ცნობიერების დიდ პრობლემებს ორგანიულად უკავში-
რბეს მორალურ სოფლმიღებას. ასე რომ არსებობის პრობ-
ლემა ჰამლეტისათვის ბოლოს და ბოლოს მორალური
პრობლემაა. ამ მხრით ჰამლეტი ემანუილ კანტის წინა-
მორბედეა და მთელი არქიტექტონიკა კანტის ფილოსო-
ფიის ჰამლეტის ტრაგედიულ განცდებშია მოცემული:
ლისაბონის მიწის ძვრით გამოწვეულმა უბედურებამ კან-
ტი ერთ დროს ჰამლეტის გუნებაზე დააყენა. ხოლო ფონ-
ფუკის ქალიშვილი რომ გარდაიცვალა, კანტმა კათეგორიუ-
ლად წამოაყენა ჰამლეტის პრობლემა მორალისა და ბუნე-
ბის წინააღმდეგობის შესახებ. ლისაბონის მიწის ძვრა და
ქალბატონ ფონ-ფუკის ოჯახის უბედურება კანტის მო-
რალურ ფსიქოლოგიური კრიზისის გამომწვევი მიზეზებია
ისე, როგორც ელსინორის უბედურება და მეფე კლავდიუ-
სის ვერაგობა ჰამლეტის ტრაგედიის მიზეზებია: კანტისა
და ჰამლეტის სოფლშეგრძნობაში ერთნაირად ისახება წი-
ნააღმდეგობა ბუნებისა და ანთროპომორფიული მორალის
შორის, შედეგი ამ წინააღმდეგობისა ჰამლეტში იწვევს სა-
შინელ ტკივილებს. ჰამლეტის ტემპერამენტი ემოციონა-
ლური თვისებით პასუხობს ყოველ უთანხმოებას მორა-
ლისა და სინამდვილისას. შემდეგ ჰეგელის ფილოსოფიაში
ასეთი ტრაგედიული სოფლშეგრძნობას ადგილი არ ექნება:
ჰეგელი პირდაპირ იტყვის — სინამდვილე გონიერია და ამ
თქმაში უკვე მოცემულია ჰარმონიული კორელიაცია ან-
თროპომორფიული სოფმხედველობისა და რეალობის,
რომლის იქით ტრაგედიას ეკარგება ფსიქოლოგიური სა-
ფუძველი და პრინციპი.

ტრაგედია ყოველთვის გამოსახავს კოლიზიას სინამ-
დვილისა და იდეალურ წარმოსახვისას; თუ იდეა და სინამ-
დვილე კორელიატიურია, ტრაგედია როგორც განცდა
უადგილოა და ადამიანი მიიღებს სინამდვილეს, როგორც
მიზანშეწონილ წყობას მოვლენებისას: ჰამლეტის ფილო-
სოფია ნატურალიზმის პირუკუღმა ფორმაა და ყველაზე
ადრე ეს იგრძნო მარქსმა, რომელმაც შეატრიალა მიმდევ-

ბა რეალობის ისე, რომ ბოლოს და ბოლბს თვით მიმლეობის საწომი გახდა რეალობა. გონების კათეგორიები შეიქნენ სოციალური ყოფის კოროლარიები და სინამდვილე შეიქმნა იდეის ფაბრიკანტი. ცხადია, თუ იდეა ფაბრიკული გამონაჟურია რეალური სიტუაციების, მაშინ პრიმატი მორალური და იდეოლოგიური არ არსებობს თავის თავად. აქედან არ არსებობს ტრაგედიის სუპერკონდიციური მიზეზი და მაშასადამე, არ არსებობს თვით ტრაგედია, როგორც გამოსახულება სუპერკონდიციური შეხვედრისა იდეის და არსებული პირობების.

ტრაგედია ამ შემთხვევაში გამოსახავს ფაქტიურ ფორმას იდეოლოგიისა და სინამდვილის ურთიერთობისას, რომელსაც არა აქვს ხასიათი სუპერკონდიციური და მარადიული; შეიცვლება თუ არა წყობა არსებული პირობებისა, შეიცვლება მასთან ერთად წყობა ადამიანის სულისა და განცდის. ამიტომ ჩვენ არ ვეთანხმებით „ჰამლეტის“ ცნობილ კრიტიკოსს მეზიერს, რომელიც თვლის ჰამლეტის ტრაგედიას ადამიანის სულის მარადიულ თვისებათ. მარადიულობაზე აქ ლაპარაკი შეიძლება იმდენად, რამდენად ცხორების *fiut et réflut éternel* გაიმეორებს არსებულის წყობას. ამ წყობის ამყოლებობაში იქმნება სული ადამიანისა და თუ ცხოვრება ფაქტებს გაიმეორებს, სულიც იძულებული იქნება, როგორც მარქათა, აეწყოს კორელიატურად და ორგანოტროპიულად. მთელი ისტორია ცივილიზაციის ეპოქებით და ფერადი სოციალური სტრუქტურებით ცხადყოფს იდეისა და სინამდვილის ორგანოტროპიულ ურთიერთობას, რომელსაც აწარმოებს ქვეცნობიერებითი პროცესი ცხოვრებისა: ქცევა ყოველი ეპოქისა და ადამიანის წინასწარ განსაზღვრულია იმ ესთეტიურ-ორგანიული ენგრამებით, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურად ვერ ვამჩნევთ და რომელნიც, გადალექილან რათანდათანობით განცდებისა და ცნობიერების სამყაროდან ქვეცნობიერებაში, მართავენ ჩვენს წუთისოფლიურ ყოფას და მოქმედებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ყოველ დღიურად ვაკეთებთ, რასაც ჩვენი სული და ნებისყოფა ყოველ წუთს ჩაიდენს, ასე თუ ისე გარ-

კვეულია ჩვენ მიერ, მაგრამ ღრმა ფილოსოფიური და-
კვირება გვეუბნება, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვა-
კეთებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოწვეულია ჩვენი
ინდივიდუალობის და მეობის ქვეცნობიერების სამყარო-
დან. რაც ჩვენ მიგვაჩნია გარკვეულად ჩვენი შეგნებისა და
წარმოდგენისათვის, რასაც ჩვენ ნებისყოფასა და გონებას
მივაწერთ, ის ნაყოფია იმ ორგანოტროპიული მიმართე-
ბის, რომელსაც აძლევს რეალურ ყოფას ორგანოტროპიუ-
ლადვე დაღეკილი ქვეცნობიერება.

დღეს ჩვენ არ გვახსოვს ბევრი იმ განცდებიდან და
იდებებიდან, რომელნიც ახალ-გაზრდობისას აწვალებდა
ჩვენს „მეს“: ვინ იცის რაოდენი მირიადი ამ განცდებისა და
იდებებისა ჩვენი წარმოდგენისა და გონების ფენებიდან
გადაილეკა ორგანიული ყოფის ქვეცნობიერებაში. ბუნება-
ში არაფერი იკარგება და არც ეს იდეები და განცდები
იკარგებიან. ისინი გადიან სულის აქტიური წყობიდან და
გადადიან ქვეცნობიერებაში. საიდანაც იძლევიან ჩვენი ყო-
ფის სურვილებისა და გააზრების მიმართებას. ყოველი
ფაქტი სულიერი და ინტელექტუალური გამოწვეულია
ქვეცნობიერების ბიოორგანიულ და ესთეტიურ ენგრამები-
დან და ის ეშმაკეული ხვეულები გონებისა, რომელთა
წყობაში საიდუმლოებას ეძიებს ნეოსქოლასტიური ფი-
ლოსოფიის ჩემპიონი კოპენი, გენეტიურად წარმოიშობიან
იმ სფეროდან, რომელსაც სამწუხაროდ ვერ ამჩნევენ ნეო-
კანტიანლები საერთოთ და კერძოთ კოპენი და ჰუსსერლი.

ოდესღაც ლოკის ცნობილ ფრაზის nihil est in intellectu,
quod non ante fuerit in sensu დიდმა ოპტიმიტმა ლა-
იბნიცმა უპასუხა nisi intellectus ipse. ამ პასუხში გამო-
სახულია მთავარი პრინციპი კრიტიკული ფილოსო-
ფიის, რომელიც ლიტერატურულად ჩამოაყალიბა კენის-
ბერგელმა ფილოსოფოსმა, კანტმა და რომელიც კან-
ტამდე ტრიალებდა იდეოლოგიურ ატმოსფეროში. ჰამლე-
ტის ტრაგედია იდეოლოგიის ტრაგედიაა განსაკუთრებულ
ეპოქებში, როდესაც ინტელექტი აცხადებს პრეტენზიას
ქვეყნის დაწყობაზე, მაგრამ არ იცის საიდან დაიწყოს —
ვერ ხედავს გარკვეულ გზას ქაოტიურ მოვლენათა განრი-
გებისათვის.

ჰამლეტის ტემპერამენტში არის ერთი მხრით ძლიერი ინდივიდუალიზმი, მეორე მხრით დიდი ანთროპომორფიზმი: ტყუილია ის აზრი, თითქო ჰამლეტი დროგამოშვებით პოზას აკეთებდეს, თითქო იგი გულწრფელი არ იყოს, პირიქით ჰამლეტი იშვიათი ტიპია გულწრფელობისა და მთელი მისი ტანჯვა იწყება სწორედ იქ, სადაც იგი ვერ ხედავს გულწრფელობას. მართალია ჰამლეტი ხშირად ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ არც ერთი მისი გამოთქმა არ არის რიტორიული და მშრალი: ყველგან ჩვენს წინაშე დგას ადამიანი, რომელიც განიცდის არსებობის საშინელებას და უსამართლობას მთელი თავისი ნერვებით და არსებობით და რომელიც ფსიქოლოგიურად დაძენილია ინტელექტუალიზმის ანთროპომორფიული ფილოსოფიით. ჰამლეტი ყველაფერს იჭვის თვალებით შეყურებს, მაგრამ მორალურ მსოფლშეგრძნებას ის იღებს როგორც ერთგვარ **უცვლელ უნივერსალიას**, რომელიც ღირებულია თავის თავად და რომლის მსგავსი უნდა იყოს ქვეყანა.

მაგრამ, რაკი ქვეყანა არ არის დაწყობილი ანთროპომორფიული მორალისა და ფილოსოფიის მიხედვით, ჰამლეტი იტანჯება: ჰამლეტი ფიქრობს, რომ ქვეყანა უზნეო და სწიწლარია, რადგან ჰერტრუდას პირველი ქმრის ნაყიდი ფეხსაცმელი ჯერ არ დაუცვეთია და სიყვარული, რომელსაც იგი ეფიცებოდა პირველ ქმარს, დაივიწყა. ჰამლეტი ამბობს: სამყარო გაუმარგლავი ყანაა, სადაც ხარობს ცუდი ბალახიო; ამ სიტყვებში ისმის დიდი საყვედური ინტელექტუალისტისა, რომელსაც უნდა ქვეყნის მოწყობა თავის მორალისა და გონების მიხედვით. ჰამლეტი მშვენივრად გრძნობს, რომ არ არსებობს ფსიქოლოგიური კავშირი ინტელექტისა და სინამდვილის შორის: „დაირღვა დროთა შორის კავშირი,—ამბობს დანიის რაინდი; დროთა შორის კავშირი მართალია დაირღვა იმ მხრივ, რომ სხვა დროს სხვა სახის პრინციპი და მორალი აქვს, ხოლო ჰამლეტის სული ისეთ პირობებშია აღზრდილი, რომ ვერ ეგუება იმას, რაც ხდება მის გარშემო. ჰამლეტი რომ ვიტენბერგის სტუდენტი არ იყოს, შეიძლება ჰამლეტის სოფლმხედველობა ყოფილიყო ისეთი, რომ შეგუებოდა იმას, რაც მის გარ-

შემო ხდება. მაგრამ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ჰამ-
ლეტი ისეთი კულტურის კაცია, იგი ისეთი წრიდან არის,
რომ თითქმის მთელი საუკუნით თავისიანებზე წინ დგას
ინტელექტუალურად და სწორედ ეს ათქმევინებს მას მწა-
რე სიტყვებს: „დაირღვა დროთა შორის კავშირი“.

ჰამლეტის ფილოსოფია ინტელექტუალიზმისა და
ანთროპომორფიზმის ფილოსოფიაა და რაოდენად ცალ-
მხრივად **ბრუტალური და ველურია** საქციელი კლავ-
დიუსის, იმდენად ცალმხრივად **რაციონალისტურია** ჰამ-
ლეტის მსჯელობა. კლავდიუსის ცხოვრების ფილოსოფია
კუნთებიდან და ფიზიოლოგიიდან გამომდინარეობს,
ხოლო ჰამლეტის მსჯელობა წმინდა გონებიდან — რაციო-
ნალიზმიდან. ტრაგედიას ამწვავენს ორი უკიდურესობა:
კლავდიუსისათვის სამყარო **მოტორულ - ინსტიქტიური**
გზნებაა; ჰამლეტი მოითხოვს, რომ სამყარო იყოს **სიყვა-
რულისა და პატიოსნების არენა**, მარგამ როდესაც და-
რწმუნდება, რომ ქვეყნად პატიოსნება არ არსებობს — რო-
დესაც დარწმუნდება, რომ ადამიანი შეიძლება თავის თავ-
ად ნოემბრის თოვლივით სუფთა იყოს და მაინც დაისვა-
როს წუთისოფლურ სიბინძურეში, საყვარელ ოფელის
ურჩევს მონასტერში წასვლას.

ჰამლეტი არ იღებს რეალურ ცხოვრებას — პოლონიუ-
სებისა და ლაერტის ქვეყანას: ჰამლეტი მოითხოვს ცხოვ-
რების დაწყობას და მორალურ მიმდინარეობას. ზრახვა
კეთილშობილია და **ადამიანის** თვალთახედვით კანონიერი,
მაგრამ თვით **ადამიანობის** პრინციპი თავის ანთროპომორ-
ფიული მორალით განა არსებობს ბუნებაში?

განა ბიოლოგიური ევოლიუციის თვალთახედვით **ადა-
მიანობის** ცნება არ არის ნაყოფი განსაკუთრებული ყო-
ფისა და ჩვეულებისა? ვინ არის თავდები იმისა, რომ ადა-
მიანი ობიექტიურად მსჯელობს? ან ადამიანის მსჯელო-
ბა განა სავალდებულოა ბუნებისათვის? ჰამლეტი ბევრს
ფიქრობს, მაგრამ იგი **ბრძენი** მაინც არ არისო, — ამბობს
მეტერლინკი და ამ სიტყვებში იმალება ერთგვარი სიმარ-
თლე: ჰამლეტის მსჯელობა ეგოცენტრისტულია თავიდან
ბოლომდე. განა ბუნება ვალდებულოა საკითხი ჰამლეტის
სასარგებლოდ გადასწყვიტოს მაინც და მაინც?

თუ ჰამლეტი ჩაუკვირდება ღრმად მდგომარეობას, თუ იგი „წესიერად“ ჩადგება არსთა ბიოლოგიურ რიგში და გადახედავს თავის ოჯახურ ტრაგედიას sub specie aeternitatis ყველაფერი რაც მას აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს, უმნიშვნელო გახდება უსაზღვროების არეზე, თვითონ მისი მსჯელობა და ლოლიკა თავის სილოგიზმებით ისე დაპატარავდება მის სივრცით წარმოსახვაში, რომ შურისა და მტრობის გრძნობა მასში შეიცვლება ისეთი არსებობის სევდით და სიყვარულით, რომელიც შეიგრძნო ზარატუსტრამ, როდესაც იგი დაჯდა უდაბნოს ერთ-ერთ ქვაზე და მწარეთ ატირდა.

სამყარო წარმოადგენს ისეთ რთულს და უსაზღვრო არეს, რომ ყოფა ადამიანისა თავის მორალით და პრინციპებით ამ საიდუმლოებით მოცულ არეში მოკლებულია ყოველგვარი სიდიადის საფაძველს: ქალამანებისა და მწერებიდან დაწყებული ადამიანამდე იმედენი საფეხურებია ევოლიუციისა და ამ საფეხურზე ადამიანს კოსმიურ მოვლენათა რიგში ისეთი უმნიშვნელო ადგილი უკავია, რომ ლაპარაკი ადამიანის ტრაგედიის შესახებ ზედმეტია, ან თუ ვილაპარაკებთ. ადამიანის ყოფის ტრაგედიაზე, მხოლოდ ანთროპოლოგიურად, მხოლოდ ანთროპომორფიული სოფლმხედველობის რელიაციის საზღვრებში. ვინაიდან გარეშე რელიაციისა ჩვენ არ ვიცით რა ხდება ქვეყანაზე: თვით ასტრონომია თავის ვარსკვლავებისა და პლანეტის სწავლებით განა **ანთროპომორფიული** ლექსიკონით არ ხსნის სამყაროს? განა ვარსკვლავებსა, მნათობებსა და პლანეტებს ჩვენ არ მივაწერეთ ჩვენი პლანეტარული ჩვეულებების გამომსახველი სახელები და განა ეს სახელები სიმბოლიურად არ გამოსახავენ ჩვენს განცდებსა და შთაბეჭდილებას, მიღებულს სოციალურ საჭიროებაში? ჩვენი თქმა და ფილოსოფია ჩვენი განცდების გამოსახულებაა და ამ განცდებიდან კოსმიურ, სიღრმეემდე ისეთი უფსკრულია, რომ გაგება ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის ანთროპომორფიზმის მიღება შეუძლებელია.

ამ რიგად ტრაგედია ანთროპომორფიული ცნებაა და ჰამლეტიც საუცხოვოდ გამოსახავს ზოგადად ადამიანის

ტანჯვა-წვალებას იმ ურთიერთობაში, რომელიც სოციალისტორიული ჩვეულებებით იქმნება: როგორც კი ჩვეულებელი გადასხვაფერდებიან გრძნობა ტრაგედიისა გადასხვაფერდება და ის, რაც ჩვენ ერთ დროს უდიდეს უბედურებად მიგვაჩნდა. რისთვისაც ოდესღაც თავს ვიკლავდით, სასაცილო ხდება. სხვა დროს მოაქვს **სხვა სული** და ძველს განცდას ყოფისას ეკარგება მნიშვნელობა და ღირებულება. რაც დღეს ჩვენ გვაშფოთებს, ის ხვალ სასაცილოა და რაც გუშინ ჩვენ გვაბედნიერებდა, ის დღეს საზიზღარია. ცხოვრებას ათამაშებს დრო: ადამიანები არტიტები არიან, დრო რეჟისორია. ქვეყანა ხან ქორწილია, ხან სასაფლაო, ხან საგიჟეთი. ცხოვრების ღირებულებას საზღვრავენ ყოფის კომბინაციები. სული ისე ეგუება პირობებს, როგორც როსკიპი: პირობებთან ერთად იცვლება სულიც, სამყაროში იმდენი სულია, რაოდენი ყოფა. ყოფის მიღმა სული ვერ იარესებებს. ამიტომ ვისაც ენატრება სულის გარდაქმნა, უნდა გარდაქმნას ყოფა: სხვა ყოფაში სხვა სული დატრიალდება.

ამ რიგად სულის ბედნიერება და უბედურება ყოფის რეფლექსებია: რასაც ჩვენ ტრაგედიას ვეძახით, ის მხოლოდ ჩვენთვისაა ტრაგედია; სამყაროში მას უჩვენოთ აზრი და მნიშვნელობა არა აქვს. კოსმიური თვალთახედვით ტრაგედია არ არსებობს: სხვა პლანეტაზე ჰამლეტს ვერ შეაწუხებს ის, რაც მას დედა-მიწაზე აწუხებს, თვით ჰამლეტი სხვა პირობებში სხვა ნაირი იქნებოდა, სხვა ტემპერამენტით და ნების ყოფით უპასუხებდა მდგომარეობას. ამ რიგად ჰამლეტის ტრაგედია **სიტუაციურია** და არა უნივერსალური: უნივერსალობა ჰამლეტის წვალებას ელსინორაში და ბელურას ფართხალს რომელიმე ტყეში ერთნაირად უყურებს.

როგორ მოქმედებს ჰამლეტი სიტუაციურად? სწორია თუ არა მისი მოქმედება რელიაციის მიხედვით, ჩვეულებათა და ტრადიციის ფარგლებში? ჰამლეტი სულ იმაზე ფიქრობს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ცოდვა ჩაიდინოს, მაგრამ შეცდომებს მაინც ვერ აცდება: მაგალითად, ჰამლეტი არ ჰკლავს მეფეს ლოცვის დროს, უთმობს ქრისტიან-

ნულ სოფლგაგებას. ხოლო შემდეგ მეფის მაგიერ ჰკლავს შემთხვევით უდანაშაულო პოლონიუსს: მეფე რომ ლოცვის დროს მოეკლა, პოლონიუსი არ გახდებოდა მსხვერპლი შემთხვევის, ვინაიდან პოლონიუსი ჰამლეტმა მოკლა იმიტომ, რომ მეფე ეგონა. თვით ქრისტიანული სოფლგაგების მიხედვით და ცოდვის იდეის თვალთახედვით უმჯობესია ერთი კაცი მოკლა ლოცვის დროს, ვიდრე ორი ლოცვის შემდეგ. ამასთან შეიძლება ტრაგედიის ბოლო არ ყოფილიყო ისეთი კომპარული, რომ მეფე თავის დროზე მოეკლა ჰამლეტს.

ამ რიგად ინტელექტუალიზმი თავის ანგარიშებშიაც შეცდა, ჰამლეტი აქ ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ესხილის ორესტი. ხოლო ორესტი, როგორც ელლინი, უფრო ძლიერია ნებისყოფით, ვიდრე ჰამლეტი, რომლის სული დაცრეცილია ქრისტიანული ფილოსოფიით. ორესტს ისე აწვალა ბუნებრივი ერივნები, როგორც ჰამლეტს მამის სული, ორესტი მიმართავს არეოპაგს სიმართლისათვის, ჰამლეტიც მიმართავს ადამიანებს სიმართლის გამოსარკვევად. ჰამლეტა ევროპის ორესტია: ჰამლეტის პრობლემა ისეთივე ოჯახური და სოციალური ხასიათისაა, როგორც ორესტის პრობლემა, ხოლო საშუალო საუკუნეთა ტანჯვამ სული ევროპიელის გახადა უფრო სათუთი და ნაზი, უფრო ღრმა და ჩაღვიძრებული, ვიდრე ანტიური ელლინი. **ანტიური სული პლასტიურ-კონკრეტიულია, ევროპიული სული განწვალალებული:** ორესტი გააზრებიდან მოქმედებაში გადადის ხანდახან უმეშვეოდ, ჰამლეტი აგვიანებს დაფიქრებაში და იტანჯება. ჰამლეტის დამახასიათებელია დიდი ინტელექტი და სუსტი ნებისყოფა, მუდმივი ფიქრი და ყოფის მორალიზაცია, მორალის ცხოვრებაში გატარება.

ტრაგედია ჰამლეტის ცხოვრების ფილოსოფიაა განსახიერებული მხატვრული ფორმაში და აწყობილი წმინდა გერმანული სოფლმხედველობით: ჰამლეტი—გერმანელია სულით — ამბობს შექსპიროლოგი გერვინიუსი. დიდი ინტელექტი, მორალი, ფილოსოფია, ცხოვრების ღირებულებათა გადაფასება ადამიანის გონების თვალთახედვით, მსჯელობა ღრმა, ორიგინალური, აზრიანი, სული პრო-

ტესტანტური ვიტენბერგის უნივერსიტეტიდან გამოყვა ჰამლეტს. ჰამლეტი აგვიანებს მოქმედების დროს არა როგორც ლაჩარი: ჰამლეტი მშიშარა არ არის, იგი სავსეა გამბედაობით. იგი რაინდია: როდესაც სული მას ელაპარაკება გამოძყევით, იგი მიდის, თუმცა ჰორაციო და მარცელი მას აფრთხილებენ — წასვლა საშიშიაო. გამბედავი და მარჯვე ჰამლეტი უშიშრად მისდევს აჩრდილს, ელაპარაკება მას რაინდულად და პირდება თავის მოვალეობის შესრულებას. ერთი სიტყვით ჰამლეტი არ არის მშიშარა, მაგრამ ნებისყოფა მისი შებოჭილია გონებით, აზროვნებით და თავის მონოლოგში იგი მშვენივრად ამბობს: „ჭქრება ძლიერი ნება, როცა ჩვენ მივეცემით მოფიქრებას, სუსტდება ცოცხალი ლტოლვა გაბედულ წამოწყებათა და გარკვეულ გზას მიზანი ეკარგება“. აზრი ასუსტებს ნებისყოფას, ბრძოლის ველზე ფილოსოფოსობა დამარცხებას ნიშნავს. აზრი ნებისყოფის მარქათაა. რაც უნდა დიდი აზრით ცხოვრობდეთ ქვეყანაზე, ჩვენ ბოლოს და ბოლოს ბრმა შემნახველი ვართ ჩვენი ვეგეტატიურ-ანიმალური ბუნებისა და მისი შეწყობითი რეფლექსების, რომელთა სიტკბოება ცხოვრების აზრს იძლევა: აქაც გააზრება მომდინარეობს, ქვეცნობიერებიდან და გადაწყვეტა ცხოვრების ღირებულების მართო ლოლიკით, შებრძოლება გონებისა ნებისყოფასთან დატრეცაც იჭვებით შეადგენს ჰამლეტის ტრაგედიას, მის ფსიქოლოგიურ საფუძველს. ბრძოლა ინტელექტისა და ნებისყოფის ჰამლეტის განცდაში თავდება ნებისყოფის დამარცხებით: ბოლოს და ბოლოს ცხოვრება თავისას გაიტანს, ნებისყოფა იზამს იმას, რაც მას სურს და სცენაზე დატრიალდება ის, რაც მიუღებელია გონებისა და მორალისათვის. მაგრამ გააზრება თანდათანობით აგვიანებს და ეს დაგვიანება მოქმედებისა თხოულობს აუარებელ მსხვერპლს, როგორც ჰამლეტისაგან, ისე იმ წრისაგან, რომელშიაც ჰამლეტი ცხოვრობს.

ჰამლეტის ტრაგედია გონების ტრაგედიაა: ჰიპერტროფია გონების თანდათანობით ახრჩობს ნებისყოფას და ინდივიდუმი ხდება მსხვერპლი თავის ფიქრების: ფორტინბრასი ტიპიური განსახიერებაა ნებისყოფის, ჰამლეტი ან-

ტიპოდია მთელი თავის არსებით: ფორტინბრასი ყოველ
გააზრებას ანხორციელებს ძლიერი ნებისყოფით, ჰამლე-
ტი იხრჩობა გააზრებაში. ჰამლეტი ემორჩილება გონებას,
ფორტინბრასი გონებას იმორჩილებს. ჰამლეტი იღუპება
თავის დიდი სულით და გონებით. ფორტინბრასი იმარ-
ჯვებს თავის ძლიერი ნებისყოფით. ჰამლეტი ტიპია ფილო-
სოფოსის, დიდი რაციონალისტის: ჰამლეტის ტრაგედია
რაციონალიზმის ტრაგედიაა. ვინ იცის რაოდენი დიდი
ადამიანი დაიღუპა იმ მორალურ ფილოსოფიურ ბორკი-
ლებში, რომელთა გახსნას ცდილობდა ჰამლეტი. ჰამლეტი
მართალია ხელმძღვანელობს ყოველთვის გონებით, მაგრამ
მწვავედ გრძნობს იმასაც, რომ რეალური ცხოვრება არ
ემორჩილება გონებას და მის მიერ ჩამოყალიბებულ მო-
რალს, ამ მხრივ ჰამლეტი ლეიბნიცზე უფრო რეალისტია
და არასოდეს არ იტყვის ქვეყანა კარგად არის მოწყობი-
ლი. ჰამლეტის საუბარი ჰორაციუსთან სასაფლაოზე
მწვენიერი განსახიერებაა ღრმად პესიმისტური ფილოსო-
ფიის: ცხოვრების აზრის უარყოფა აქ პირდაპირ რეალურ
შეგრძნობამდე მიდის და თქვენ გრძნობთ მთელს სიმართ-
ლეს იმ მწარე სიტყვებისას, რომელთაც ჰამლეტი ელა-
პარაკება თავის მეგობარს ჰორაციოს. ჰამლეტის ყოველი
სიტყვა — ოხვრათა დიდი მსოფლიო სევდისა, შექსპირმა
„ჰამლეტში“ მოგვცა პირველი და საუცხოვო ფორმა იმ
ლიტერატურული მიმართულებისა, რომელსაც შემდეგ
დაარქვეს „მსოფლიო სევდა“ და რომელსაც მეთაურობდა
დიდი ბაირონი.

სასაფლაოზე არის აგრეთვე საუცხოვო დახასიათება
კლასობრივი უთანასწორობისა და უთანასწორობით წარ-
მოშობილი პრივილეგიებისა; მესაფლავენი ირონიულად
აღნიშნავენ, რომ წარჩინებულთ საიქიოშიაც აქვთ პრი-
ვილეგიები, შექსპირის გენიოსური სული გრძნობდა კლას-
ობრივი უსამართლობის საშინელებას და მის ირონიაში
გამოთქმულია ყველაფერი, რის თქმა შეიძლებოდა იმ
ბნელ საუკუნეებში.

ტრაგედია „ჰამლეტი“ ერთად ერთი ნაწარმოებია ევ-
როპის ლიტერატურაში, რომელსაც არა აქვს არავითარი

ნაკლი, როგორც მხატვრული შემოქმედების სახეს: „ჰამლეტი“ უმშვენიერესი გამოსახულებაა კაცობრიობის დატანჯული სულის, მის მორალურ-ინტელექტუალური ძიებისა და წვალების, მისი რაინდული პრინციპებისა და იდეალური ზრახვებისა. ამ ტრაგედიაში ბუნების ბიოლოგიურ მორალს ადამიანი ამაყად და ლამაზად უპირდაპირებს თავის ანთროპომორფიულ სოფლგაგებასა და ფილოსოფიას. შეიძლება ადამიანის გონებისა და ბუნების შორის მართლა არ იყოს არავითარი კავშირი, შეიძლება ჩვენი თქმა და ლოდიკა მართლა უცნობია ბუნებისათვის, შეიძლება ყველა ამ კანონს, რომელსაც ჩვენ ბუნების მოვლენებს მივაწერთ, აქვს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი, შეიძლება სამყაროს უფსკრულში მთელი ჩვენი ფილოსოფიით ტექნიკით, მეცნიერებით და ხელოვნებით ჩვენ ვართ მხოლოდ წარმავალი და წუთიერი ეფემერიდა, რომელსაც შთანთქავს უსაზღვროება. შეიძლება ჩვენ ოჯახურ-სოციალურ მიზნებსა და ინტერესებს არა აქვთ ობიექტიური მნიშვნელობა და კოსმიური აზრი.

დეე. ანთროპომორფიზმის ზეწარი სამარადუბამოდ ფარავდეს ყოფის საიდუმლოებას და ცხოვრების მიზანს, ადამიანის რაინდული ბრძოლა და გმირული დამარცხება მაინც ლამაზია: პრომეთეს ტანჯვასა სკვითების ქვეყანაში და ჰამლეტის იჭვებში ელსინორაში უსათუოდ არის სილამაზე. ჰამლეტი და მინდია გაცილებით უფრო სიმპატიური სახეებია, ვიდრე ლოველასი და მუსუსი ფაუსტი: ჰამლეტმა არ დათმო ბოლომდე და დაიღუპა რაინდულად თავის მორალისა და პრინციპებისათვის, თავის ფილოსოფიისა და სოფლმხედველობისათვის; ფაუსტმა ცხოვრებაში გამარჯვებისათვის სული მიყიდა ეშმაკს.

არსებობის საჭიროება ატრიალებს კაცობრიობის სულსა და ზნეობას: სინიდისი და პრინციპი არსებობის საჭიროებაში იგლაკნებიან, როგორც ლერწამი. ყოველ საუკუნეში პრინციპი კვდება და იბადება — კვდება ძველი და იბადება ახალი. პრინციპი ეპოქის დიდი ფეოდალია, სინიდისი მისი თავგანწირული ვასალი. ფეოდალთან ერთად იღუპება მისი ვასალიც: პრინციპი მოკვდა, ფილოსოფოსების და რომანტიკოსების პრინციპი აღარ არსებობს. არსე-

ბოძის საჭიროებამ მანეთნახევარის სახით რასკოლნიკოს მოაკლევინა პრინციპი: მე ადამიანი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვკალიო, — სამართლიანად ამბობს რასკოლნიკოვი. მთელი უბედურება კაცობიობის იმაშია, რომ მას ყოველ საუკუნეში ეძნელება პრინციპის მოკვლა. ამავე დროს კაცობრიობას და კერძო ადამიანსაც ცხოვრება პირდაპირ ავალებს, რომ პრინციპი მოკლას: ტრაგედია ჰამლეტისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ვერ ჰკლავს პრინციპს თავის სულის სიღრმეში, ვერ ერკვევა ქაოსის შეგრძნობით ძველი სოფლმხედველობის ხავსმოდებულ კერპს — ისტორიული ჩვეულების გაუმაძღარ ნიანგს.

ჰამლეტში სუსტია ბიოლოგიური ეროსის შეგრძნობა და ძლიერია მორალური ისტორიზმი; ადამიანის მოქმედებას, ტემპერამენტის მიმართებასა და გადახრას სხვადასხვა შემთხვევებში დანიის თავადი აფასებს ყოველთვის იმ **რელიგიურ-მორალური ათვალებით**, რომელიც ისტორიულად განმტკიცდა ევროპაში და რომლის ვითარებას შექსპირი იცნობს კარგად, ისე კარგად, რომ აგრნობინოს თავის გმირს ისტორიული *idée-force* კაცობიობის ტრადიციისა. ჰამლეტმა მიიღო ქვეყანა ქრისტიანული რაციონალიზმისა და ტრანსცენდენტური მიზანშეწონილების: წუთისოფელი თავის შემთხვევებით და ირაციონალობით ჰამლეტმა დაუპირდაპირა სილლოგისტურ ლოდიკას და ქრისტიანულ ფილოსოფიას: მხოლოდ ამ დაპირისპირებაში თვითონ გადიხარა სილლოგისტური ლოდიკისა და ქრისტიანული ფილოსოფიისაკენ. რაციონალიზმი ისტორიულ-ქრისტიანული მორალით — სულისა და ინტელექტის კულტით — აი ჰამლეტის ფსიქოლოგია. ყოველი ფაქტი ცხოვრებისა, რომლის გამართლება შეუძლებელია ქრისტიანიზმისა და რაციონალიზმის თვალთახედვით, მიუღებელია ჰამლეტისათვის. წუთისოფლის სტიქიურ-ირაციონალურ როიას ჰამლეტი საზღვრავს ინტელექტუალიზმის ხორკლიანი ბარდებით და ანგარიშს არ უწევს სრულებით იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ბედისწერისა და ჩვენი ბუნების შორის; ბუნება და ბედი ყოველ წუთს ტრიალებენ ადამიანის გარშემო: ადამიანს, რომელსაც შეუძლია შეებრძო-

ლოს თავის ბუნებას, შეუძლია აგრეთვე ყოველ წუთს დაამარცხოს ბედისწერა, ბედისწერა ხშირად მეფისტოფელურად უკავშირდება ჩვენი ინსტიქტების მიმართებას და ფარავს სიტკბოებას მორალით; სანამ ადამიანი იმდენად ძლიერია, რომ თამამად ებრძვის თავის ბუნებასა და ინსტიქტს, მანამ შემთხვევა და ბედი ადამიანს ბევრს ვერაფერს დააკლებენ. სიბრძნე სპობს ბედისწერის გავლენას. სადაც ბრძენი გამოჩნდება, იქ ადგილი არა აქვს ტრაგედიას: ბრძენს ყოველ წუთს შეუძლია ღირებულებათა გადაფასება *sub specie aeternitatis* და იქ სადაც ღირებულებათა გადაფასებას აქვს ადგილი ისიც მარადობის თვალთახედვით, ცხადია ტრაგედიას ადგილი ეკარგება. სული, რომელიც იცნობს არსის ბედს წუთისოფლად, ტრაგედიასა და დრამას ერთგვარი ირონიით უყურებს: ტრაგედია პრომეთეოსისა სიმბოლიური გამოსახულებაა კაცობრიული, ისტორიულ-მეშხანური სულმოკლეობისა. ჰამლეტის ტრაგედიაც ისეთივე სულმოკლეობაა, როგორც ჰუსის ტრაგედია ზიარების მიღებისათვის: ჰამლეტი ბევრს ფიქრობს, მაგრამ ვერც ერთს მომენტს თავის სულისას მარადობას ვერ უკავშირებს, საგნებსა და წუთისოფელს ვერ ამჩნევს ბიოლოგიურ რიგში. ვერ ხიოავს—ვერ იყურება შინაგანი ხილვით ცვალებადობისა და წარმავლობის უსაზღვროებაში. განა ელსინორის დანაშაულობანი ჰამლეტმა გასინჯა მარკ ავრელიუსისა და ფენელონის თვალთახედვით? რა აწუხებს ჰამლეტს რომელ მოვალეობაზე ლაპარაკობს იგი ეგრე ინტენსიურად? — შურის ძიებაზე? განა შურის ძიება მისაღებია? შურის ძიება მიუღებელია როგორც ისტორიულ-მორალურად, ისე კოსმიურადაც: შურის ძიება მისთვის — ბიოლოგიური ეროსისათვის, მაგრამ ბიოლოგიური ეროსი—არსებობის ორგანიული თვისება სრულებით არ იცნობს წუთისოფლურ პრინციპებს, კაცობრიობის მორალს, ქრისტიანულ მოძღვრებას, კაცთმოყვარეობას. არსებობისათვის ბრძოლაში უსაზღვროების პატარა წერტილზე — ელსინორაში კლავდიუსმა დაინახა ლამაზი ქალი. თუნდაც ძმის ცოლი და შეირთო ერთგვარი მსხვერპლით. რა არის ძმა, ოჯახი, ნათესაობა?

რა არის ჩვენი წუთისოფლური ეგოცენტრიზმი თავის ფარისევლობით, რევერანსებით, ალერსით, ოჯახურ-მეშხანობით მყუდროებით უსაზღვროების არეზე? რას წარმოადგენს ჩვენი ყოფა და ნათესაობა, შემთხვევებისა, მიკრობებისა და ბაქტერიების ქვეყანაში? რა არის ნათესაობა თავისი მორალით და არსობით? — მხოლოდ აყროლებული ჰაერის გაცვლა-გამოცვლა, ვიწრო აპარტემანში. ოჯახი უსაზღვრესი ფორმაა ეგოიზმისა და ეგოცენტრიზმის: ჰამლეტი ღელავს, იბრძვის, იჭვიანობს: მამა რატომ მომიკლეს და ცოლი რატომ წაართვეს მასო? რატომ ჰამლეტი არ ხწუხს იმაზე, რომ დიდი ოკეანის კუნძულზე, ციმბირის ტაიგაში, ბრაზილიის ლიანებში ყოველ წუთს მკვლევლობაა. ქალმა მამაჩემს უღალატაო; როდის უღალატა? რა არის ღალატი? ერთ ხანს ქალი ყავდა ჰამლეტის მამას: ტანის სილამაზეს, ვნებას, ალერსს აძლევდა მას, ეხლა მეორეს აძლევს: თუ პირუტყვები ერთმანეთთან თანხმობით არიან, მდინარეში წყლის დაღევა შეუძლია რაოდენიმე პირუტყვს ერთად, თუ არა და წყალს დაღევეს ის, ვინც ღონიერია და ვინც სხვას მისავალი ადგილიდან განდევნის. ცხოვრება ბრძოლისა და გლეჯის არენაა — არენა შეუბრალებელი, დაუნდობელი, უპრინციპო, ამორალური, სტიქიურ-ირაციონალური. არსებობის ყოველი მომენტი თავის მწველი განცდებით და ლირწებრივი ატრაქციებით ქაოსის ხახაში იძირება. არა რა არის განსაზღვრული, გარკვეული და მიზანშეწონილი აბსოლიუტურად, ზედართულად, გარეშე მდგომარეობისა, პირობებისა: მხოლოდ რაც მდგომარეობისა და პირობების ფარგლებში გარკვეული და მიზანშეწონილია, ის მოკლებულია მიზანსა და აზრს უსაზღვროების არეზე — ის მხოლოდ დროულ-სივრცეული ეპიფენომენია. კათეგორიულობა და სილოგისტიკა კუთხებრივ-ტროპიული ეგოცენტრიზმის რეგალიებია, რაც არსებობის საჭიროებაში ერთდროს სასარგებლო და აზრიანია შემდეგი მოდემისათვის, სხვა ეპოქისათვის მიუღებელია და უშინაარსო, როგორც უძრავი მუშია, როგორც ტანი სულსა, აზრსა და ვნებას მოკლებული. ოჯახისა და ნათესაობის კათეგორია თემურ-პატრიარქალური არსე-

ბოზის გადანაშთია და სული გადაწოლილი უსაზღვროების არეში, სული, რომელიც გრძნობს ერთი და იმავე დროს დაუსრულებლობის სიცივეს და მარადობის ექსტაზს, ვერ მიიღებს ეგოცენტრისტულ კათეგორიას, ვერ მიიღებს ოჯახს, ნათესაობას, თემურ-კუთხებრივ ჩვეულებებს, როგორც ღირებულებებს და ფრიდრიჰ ნიცშესთან ერთად იტყვის: „ვინც მალალ მთებზე ადის, ის დასცინის ყოველგვარ ტრაგედიას და მწუხარებას“.

ფაუსტის ლეგენდაც საშუალო საუკუნეებიდან მომდინარეობს: ეს ლეგენდა მშვენიერი პოეტურ ფორმაში აქვს აწერილი ინგლისელ მწერალს მარლოს, რომელსაც გოეთე კარგად იცნობდა. ტიპი დახასიათებული მარლოს მიერ, ისეთივე ტემპერამენტის არის როგორც გოეთეს ტიპი: ფაუსტი მეცნიერია: მას აქვს მიღებული დოქტორის ხარისხი. მშვენივრად მოწყობილ კაბინეტში მუშაობს მეცნიერი და ეგრე მიდიან ცხოვრების დღენი. მაგრამ მეცნიერი კმაყოფილი არ არის პროფესიით.

ფაუსტის სიტყვები ფორმულაა ყოველი მეცნიერის სულიერი ტრაგედიის: მეცნიერი ნათლად ხედავს ცნობიერების საზღვარს და იტანჯება. მას სურს გაიგოს საიდუმლოება ქვეყნისა, პლანეტებისა, სულისა, მატერიისა: მეცნიერი გატაცებულია ცხოვრების ფილოსოფიით, მაგრამ აზრი ცხოვრების ვერ აღმოაჩინა.

ფაუსტი მთელი თავის ენერგიით სწავლოს ფილოსოფიას, უფლებათა მეცნიერებას, მკურნალობას და ღვთის მეტყველობას, მაგრამ კმაყოფილი არ არის თავის ცოდნით: მას არა აქვს სიხარული ცხოვრების. ვერ ამბობს, რომ ადამიანებს მოუტანა რაიმე სარგებლობა. ამავე დროს მას არა აქვს ფული, არც პატივისცემა. ასეთს ცხოვრებას ძალიან ვერ აიტანდა. ამიტომ იგი სწავლობს ღრმად (durchaus studiert) არა მარტო ფილოსოფიას, არამედ მაგიასაც: მას სურს შეიტყოს, რას შეიცავს მსოფლიო თავის შინაგონებაში.

ფაუსტი გრძნობს, რომ სამყარო დიადი და მშვენიერი—სამყარო სავსე საიდუმლოებით და სანახაობით უფრო შინაარსიანია, ვიდრე ის წიგნები, რომელნიც

აწყვია მის გარშემო: სავსე მთვარე უდარდელად მიცურავს ღრუბლებში და შორიდან დაყურებს საცოდავ მეცნიერს, რომელიც გარშემორტყმულია თავის წიგნებით და შუშებით, რომელსაც აქვს სურვილი გაისეირნოს მთვარის სხივებით განათებულ მთათა მწვერვალებზე, რომელსაც ენატრება ხეტიალი მინდვრად, გაქცევა მეცნიერებისა და წიგნების დახშულ ოთახიდან, ბანაობა ნამით აორთქლილ ნისლებში.

ჯდომა წიგნებში, რომელნიც დაღრღნილია ჭიებით და აწყობილი სხვენამდე დამტვერიანებულ ქალღღებთან ერთად, ჯდომა ბანკებსა და შუშებში, ჯდომა ჯურღმულში, რომელიც სავსეა ინსტრუმენტებით და ყოველ გვარი ხავსით, ტანჯავს ფაუსტს და იგი მზად არის გაიქცეს ბუნებაში, სადაც არის სიხარული და ბედნიერება, სადაც არსები ერთმანეთს აძლევენ ეთერის სასმისებს.

ფაუსტი გადაფურცლავს წიგნებს და შეაჩერებს თვალს საშუალო საუკუნეების ასტროლოგების „დედა-მიწის სულზე“: „რა სხვანაირად მოქმედებს ჩემზე ეს ნიშანი, შენ უფრო ახლო ხარ ჩემთან სულს ჩემო, როცა შენზე ვფიქრობ, ვგრძნობ, რომ ძალა მემატება და სისხლი ინთება როგორც ახალ ღვინოსაგან. მეზადება გამბედაობა გავქანდე სამყაროში, ვატარო მწუხარება და სიხარული, ვებრძოლო ქარიშხალს და ხომალდის დაღუპვას.... ჩემს გარშემო იკრიბება ნისლი, მთვარე ფარავს თავის სინათლეს, ლამპა ჰქრება, ჩემს ზევით წითელ სხივთა გაალებათა, გუმბათებიდან რაღაც შიში ჩამოდის და სულს მიხუთავს. მე ვგრძნობ შენ ხარ ჩემთან ახლო, შევედრილო სულს“.

მშრალი გონება თანდათანობით ოცნებათა გრძნეული ლანდებით იცვლება და სული დაქანცული წიგნებით, სული, მოღლილი გააზრებასა და იჭვებში, გადადის თავის მეორე ნახევარში, რომელიც იმალებოდა ქვეცნობიერების არეში; გონებამ, რომელიც ახრჩობდა ფაუსტს ისე, როგორც ჰამლეტს, ამოწურა თავის შინაგანი მძლეობა და სულს დარჩა მხოლოდ ქვეცნობიერების მარაგი, დაწყობილი ნაწილობრივად მემკვიდრეობით, ნაწილობრივად ინდივიდუალურ შეგრძნებათა ესთეტიური ენგრამებით.

მე ადამიანისა დამარცხდა ინტელექტის არეში — დამარცხდა მორალურად, დადგა სულის კრიზისი: ყველაფერი, რაც დარჩა გონებაში — რაც დარჩა სულსა და წარმოდგენაში **ცნობიერების** სახით, გამოიფიტა, გამოცარიელდა; ხოლო ქვეცნობიერების ორგანიულ-ინსტიქტიური მარაგი თხოულობს არეს მოქმედებისათვის, თხოულობს გაშლას და მოძრაობას, სიხარულსა და სანტიმანებს. მართო გონების არეში ცხოვრება მიღებული უაზროა, ხოლო ქვეცნობიერების დიდი დუდილი სავსეა წყურვილით არსებობისა და შეგრძნობის.

ამიტომ ფაუსტი მზად არის დაუთმოს მეფისტოფელს თავისი სული ტრადიციული მორალით და ინტელექტით, ოღონდ დააკმაყოფილოს ქვეცნობიერების ორგანიული ჟივილი და თრთოლვა, ოღონდ მისცეს „მე“ გიჟურ ლტოლვას ცხოვრების წყურვილისას: „ნორჩი, წმინდა ბედნიერება ცხოვრების, აინთო, რა ახალი ცეცხლით, დარბის ჩემს ნერვებსა და კუნთებში... ვგრძნობ რომ მანათებს სინათლე“... ამბობს ფაუსტი სიმბოლოს ხედვის დროს. ამ სატყვეებში ისმის რუსსოს ექსტაზი და მთვრალი გრძნობა ბუნებრივობისა.

მაგრამ უფრო გარკვეულად და კათეგორიულად ამბობს ფაუსტი რუსსოს აზრს — ცხოვრების შესახებ შემდეგ სიტყვებში: „ცოცხალი ბუნების მაგიერ შენ გარემოცული ხარ მტვერითა და ხავსით ძვლებისა და ჩონჩხების“, უსაყვედურებს ფაუსტი თავის სულს და ზიზღით იყურება ირგვლივ.

ფაუსტს მეტი არ შეუძლია შინ ჯდომა და გარბის ბუნებაში: მასთან სასეირნოდ მიდის მშრალი პედანტი ვაგნერი, რომელიც ტიპიური გამოსახულებაა „ობივატელური“ ფსიქოლოგიის, მის მეშინურ-რაციონალისტური გულუბრყვილობის. ვაგნერი მარტივი და უბრალო ფსიხიკის ადამიანია: ძლიერ ემოციებს იგი არ იცნობს, სული მისი მდორეა, როგორც ჭაობის წყალი.

ფაუსტი იწვის გრძნობებში: იგი გულის ფანცქალით შეყურებს გამოცოცხლებულ სუნთქვას გაზაფხულისას, მინდვრების ამწვანება ბალახით ბედნიერების მარაოს

შლის მის სულში და უსაზღვროების კალთაში აძინებს მას ყნოსვა სურნელებისა. ფაუსტი სულით ელლინია: ექსტაზი მისი სულის ორგანიული მოთხოვნილებაა და ყოველ წუთს თავის ცხოვრებისას იგი განიცდის გრძნობის სილაძაზვს. სეირნობიდან დაბრუნებისას ფაუსტი გარკვევით გრძნობს თავის სულის გაორებას: „სხეულის ფრთები ვერ ეგუებოდა სულის ფრთებსო“, ამბობს ფაუსტი, როდესაც ბრუნდება შინ ვაგნერთან, ერთად და შემდეგ განაგრძობს: „ჩემში არის ორი სული და ორივეს უნდა ერთმანეთის მოშორება, ერთს უნდა მიეწებოს მაგრად ტანის ტლანქ სიამოვნებას, მეორე მიეჩქარება მოშორდეს სხეულს, რომ გადაფრინდეს პირველყოფის დასაწყისში („მაღალ წინაპართა ქვეყანაში“).

ფაუსტი გაორებულია: ერთი ფაუსტი არის ფაუსტ ტრადიციის, კაცობრიული, ადამიანური, ისტორიული წყობის და გაგების ფაუსტი — ფაუსტი რაციონალისტი, ქრისტიანი, მოქალაქე, მეორე ფაუსტია ფაუსტი ქვეცნობიერების, ნებისყოფის, გრძნობათა და გატაცებათა ფაუსტი. ერთია მეცნიერი, სქოლასტიკოსი, მეორე ელლინი, პანტეისტი. ერთ მშვენიერ დღეს მინდვრად გასეირნების შემდეგ პირველი ფაუსტი ადგილს უთმობს მეორე ფაუსტს; ფაუსტი იღებს თავის სულის მეფისტოფელურ მხარეს როგორც ჭეშმარიტ რეალობის და უდიდეს ღირებულებას ცხოვრებისას. დღეიდან ფაუსტის სული მეფისტოფელის ხელშია: ფაუსტმა მიიღო რეალური ცხოვრება და გამოიცვალა მორალური პრინციპები. მწარე პესიმიზმი ირონიად გადაიქცა და რასაც ფაუსტის გონება ვერ ამართლებდა ვერავითარი სილლოგიზმებით, იმას ეხლა მეფისტოფელი (ფაუსტი — რეალისტი, მეორე ფაუსტი) მხოლოდ დასცინის. კეთილშობილი რაინდი მორალის ყავახანის ვაგაბონდად გადაიქცა და იღეა უნივერსალობისა სულმა გარდაქმნა *carpe diem*-ის პრინციპად.

გონებას აღშფოთებდა დროულობა და წარმავალობა ცხოვრების; სულმა, განთავისუფლებულმა გონების მარჯვლებისაგან, მიიღო „დროული“ და „წარმავალი“, როგორც უდიდესი ღირებულება, უმშვენიერესი მოვლენა.

აქედან პრინციპის გამოცვლა სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ და ბიბლიის ცექსტის გადაკეთება: ფაუსტმა გაშალა ბიბლია — „ცხოვრების წიგნი“ და მონახა ადგილი, სადაც ეწერა: „პირველად იყო სიტყვა“... ფაუსტს არ მოეწონა ეს: სიტყვა კი არ იყო, არამედ აზრი, — ამბობს ფაუსტი, მაგრამ რომ დაფიქრდება არც ეს მოეწონება. განა გონება ყველაფერს ჰქმნის და აკეთებს? — არა: პირველად იყო ძალა“, — ამბობს ფაუსტი. ცოტა დაფიქრების შემდეგ ფაუსტი სწრაფად წერს: „პირველად იყო საქმე“.

მთელი ფილოსოფია ვოლიუნტარისტული და ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის აქ არის მოცემული: **პირველად იყო საქმე.** რაციონალიზმისა და წმინდა ინტელექტუალიზმის ეპოქა, ეპოქა ფეოდალურ-არისტოკრატიული ჰვრეტისა და მისტიური ზმორების არ იტყვის — პირველად იყო საქმეო. ინდივიდუალიზმი გატყდა თავის განცდებში და კასტიურ-სტატიური ფორმიდან, რომელიც მან მიიღო წოდებრივი არისტოკრატიის ხელში, გადავიდა პრაქტიციზმში. საქმე — სოციალური ყოფის პრაქტიკა ფაუსტის ახალი ფილოსოფიის საფუძველია. ეს არის ფილოსოფია კაპიტალისტური და ქალაქური ევროპის — ფილოსოფია მოქმედებისა, ბრძოლისა და პრაქტიკის, ფილოსოფია გამარჯვებისა და დამარცხების:

მეფისტოფელი: ამ რიგად შენ გწყურია სახელი, — ტყვილად არ ყოფილხარ გმირთან.

ფაუსტი: არა — უფლება. დამორჩილება, საქმე სახელში კი არ არის, ბრძოლაშია.

ამ სიტყვებში გვესმის ნიცშეს ცნობილი *Wille zur Macht* ფაუსტი იბრძვის უფლებისათვის როგორც დიდი ინდივიდუალისტი: სიამოვნებით ჩემს ვნებას ვაქრობ და სიამოვნების დროს ახალი ვნებით ვიწვევი“ — აცხადებს ფაუსტი. ფაუსტი უფლებისა და სიამოვნებისათვის ცხოვრობს: „რაა, ცხოვრება არ მოგწონს თუ? რას მიდიხარ ეგრე შორს. მე მესმის ეგ ერთხელ ქნა, რომ კვლავ მიენდო ცხოვრების ქარიშხალს“ — ელაპარაკება ფაუსტის ორეული ფაუსტს. „გამარჯვება და ბრძოლა გაივლიან ჩქარი რიგით, მე ადამიანი ვარ და დასვენება არ მიწერია“, —

იმეორებს ფაუსტი, ანთებული ბრძოლის სურვილით. „გამბედაობას ნუ დააგვიანებ, ბრძოლამ ილაყლაყოს და იცადოს, ყველაფერის მიღწევა შეიძლება ხერხით, ჩქარა იარე, იარე წინ“ — აი ფილოსოფია მებრძოლი ინდივიდუალიზმის — ფილოსოფია ფაუსტისა.

ფაუსტი ბრძოლის ტიტანია და ჰამლეტის პრობლემის მორალურ პრინციპს იგი თამამად უარყოფს. მარგარიტა მსხვერპლია ფაუსტის ტიტანიური სურვილების: წყნარი, მშვიდი, უბრალო, ბავშვივით მარტივი მარგარიტა მთელი თავის არსებით ეძლევა დიდ ინდივიდუალისტს. ფაუსტმა იცის, რომ დალუპავს მარგარიტას, მაგრამ იგი მზად არის მიიღოს მსხვერპლი: „დე იყოს, რაც ბედისგან გადაწყვეტილია, ეშმაკო დამეხმარე, გადამატარე შიშის საზღვარი, დე ჩემთან ერთად უფსკრულში იგიც, მარგარიტაც გადავარდეს“. ფაუსტმა დალუპა მარგარიტა, როგორც ლერმონტოვის დემონმა თამარი: მარგარიტა სუსტი და ნაზი იყო, ფაუსტმა დაწვა იგი. სიყვარული იქცა ტრაგედიათ. რომანტიზმი, რომელიც ესტუმრა ფაუსტს გრეტხენის ოთახში, მალე განიავდა ვნების დაკმაყოფილებასთან ერთად და ინდივიდუალისტმა იწყო ლტოლვა ახალ მიზნებისაკენ. ფაუსტმა გაიარა ინტელექტუალიზმის კრიზისი, გადასცა სული ეშმაკს. სულმა მიიღო რეალური ცხოვრება, ცხოვრება ტანჯვისა და ბრძოლის. საზოგადოება წვრილმანი ინტერესებით და ყოველდღიური პრაქტიკით ითხოვს კერძო ადამიანის მოქნილობას, ელასტიურობას: ვინც სოციალურ არეს ვერ ეგუება, ის იღუპება. ფაუსტმა ეს იცის კარგათ, ხოლო მისი ძლიერი მე ცდილობს საზოგადოებრივი არე გამოიყენოს მის სასარგებლოდ.

ფაუსტი მებრძოლი და უშიშარი ტიპია ინდივიდუალისტისა. გრეტხენთან დამოკიდებულებაში ფაუსტმა ამოწურა სიამოვნება რეალური ცხოვრების. ეხლა ფაუსტი ეძიებს სიამოვნებას ხელოვნებაში: მშვენიერი ელენე მას ევლინება, როგორც წმინდა სილამაზე, როგორც იდეა მარადიული ქალურობისა.

ფაუსტი ხშირად გრძნობდა თავის ცხოვრებაში ამ იდეას, იგი განიცდიდა მას ორგანიულად; ელენეს ტანი-

სამოსი, რომელიც რჩება ფაუსტს ხელში, სიმბოლოა ხელოვნებისა და სილამაზის დიდი ფორმის: „დაიკავე მაგრად მაღალი და დაუფასებელი საჩუქარი, მოგაშორებს იგი საზიზღრობას და აგწევს მაღლა ეთერში სამარიდჟამოდ“, — ეუბნებიან ფაუსტს, როდესაც მას ხელთ რჩება ელენეს ტანისამოსი — სიმბოლო სილამაზისა და მარადიული ქალურობის — სიმბოლო წარმავალისა და მარადობის გრძნეული შეკუმშვის სიყვარულის წუთებში.

მშვენიერ ელენეს მოჩვენება სივრცეში ამტკიცებს იმას, რომ ფაუსტის სულში არის ელლინური შენაკადი: ევროპის რენესანსი მდიდარი შინაგანი განცდებით და ემოციებით განა ისტორიულად მშვენიერ ელენეს მოჩვენება არ იყო? განა რენესანსის შემდეგ არ დარჩა მდიდარი ტანისამოსი ელლინური ცივილიზაციისა ევროპის ლიტერატურაში? რენესანსის იდეა ყველაზე უფრო ასახიერებს ევროპის კულტურის ელლინურ გადახრას. ამ მხრივ მშვენიერი ელენე „ფაუსტ“-ში ისტორიული სიმბოლოც არის და როგორც ასეთი შეიცავს დიდ შინაგან ესთეტიურ განსახეობას. გოეთეს ფაუსტი ახალი საუკუნეების ტიპია: ფაუსტი არ არის ნატურალური მეურნეობის ფსიქოლოგიის მატარებელი; **ფაუსტის** ესთეტიური სოფლომხიობა დიდი ქალაქის ფსიქოლოგიური ამყოლოებაა: სუბტილიზმი განცდებისა და იდეების, რომელსაც მთავარი ადგილი უკავია ფაუსტის ტემპერამენტში, ახალი ევროპის სოციალური სტრუქტურის ნაყოფია. მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს: „შენ ააშენებ სატახტო ქალაქს, სახლები და წვრილი ქუჩები ჭუჭყით და ტალახით... შუაში სავაჭრო მოედანი: ხახვი, ნიორი, კომბოსტო, საყასბოები, ბუზების ჯოგი დამპალ ხორცზე. ერთი სიტყვით — სიმყრალე და ხმაურობა. ქალაქის მეორე ნაწილში აუცილებლად ააშენებ სასახლეებს, გაშლი მოედნებს, ქალაქის გარეთ კი გააკეთებენ ფობურებს და დაინახავ შენ ადამიანთა აჩქარებულ მოძრაობას, ეტლების ქროლვას....“

ევროპის ქალაქური ცივილიზაციის იდეა ფაუსტს აძლევს გრძნობას დინამიური მოძრაობისა და ცვალებადობისა — გრძნობას მოქმედებისა და ბრძოლისა.

ჰამლეტი იცნობს ისტორიას და წარსულს, მაგრამ ისტორია ჰამლეტისათვის სასაფლაოა დიდებისა და მშვენიერების: ადამიანები მხოლოდ ტანჯვისა და წვალებისათვის არიან გაჩენილი. ცხოვრებას არა აქვს არც შინაგანი სიმართლე, არც მიზანი. ცხოვრება საზიზღარი მინდორია, სადაც ხარობს მხოლოდ ცუდი ბალახი. სიკეთე და სიმართლე არ არსებობს ქვეყნად.

ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის სახელმწიფოებრივი კულტურის ევოლიუციისათვის: ასეთი პესიმისტური ფილოსოფია სოციალური ყოფისა რეფლექსია იმ უწყესრიგობის, რომელსაც ეტყობა ადგილი ჰქონებია სინამდვილეში. ცხადია პესიმიზმი მაჩვენებელია არა მარტო ინდივიდუალური ტემპერამენტის და ფსიხიკის თასებურობის, არამედ იმ სოციალ-კულტურული სტრუქტურის, რომელშიაც იქმნება ყოველგვარი ტემპერამენტი და ფსიხიკა. ჰამლეტი დიდი პროტესტანტი და რევოლუციონერია: იგი კეთილშობილი დამცველია ადამიანისა და მის სამართლიანი ყოფის. ჰამლეტს შეეძლო თამამად ეთქვა ის, რასაც ამბობს ბაირონი: „ყველაფერი, რაც ადამიანს ჩაგრავს, ჩემში მოწინააღმდეგეს დაინახავს“-ო.

ჰამლეტის ფილოსოფია მორალის ფილოსოფიაა: იგი ებრძვის ბიოლოგიას რეალური ცხოვრებისას.

სულ სხვაა ფაუსტი: ფაუსტმა მორალი უარყო ბიოლოგიისათვის, რეალური ცხოვრებისათვის. ფაუსტმა მიიღო ცხოვრება ისე, როგორც გვეძლევა ყოველდღიურად — ცხოვრება ბრძოლისა და ცვალებადობის, ცხოვრება ტანჯვისა და სიამოვნების. ფაუსტმა ისწავლა კიდევაც, როგორ უნდა მიიღოს ქვეყნად მაქსიმუმი სიამოვნებისა, ფაუსტი მოხერხებული **ინჟენერია** პრაქტიკული ცხოვრებისა.

ფაუსტის იდეოლოგიური პრინციპია არა მორალი, არამედ მოქმედება, პრაქტიკა. ჰამლეტს ყოფა დროული გადააქვს მარადობასა და უნივერსალობაში. ფაუსტს მარადობა და უნივერსალობა გადმოაქვს დროულ ყოფაში. სავსე ექსტაზით იგი არტისტულად გაიძახის: „მშვენიერო წუთო, შეჩერდი“. ეს ეპიკურეიზმის *carpe diem*-ია. აქ მა-

რადობა შეკუმშულია წუთის განცდაში და ცხოვრების აზრი გადმოტანილია უნივერსალობიდან მიმდინარე შეგრძნობაში. ჰამლეტი ისტორიული მორალის და ანთროპომორფიზმის ტრაგედიული რაინდია. ფაუსტი აპოლოგეტი ბურჟუაზიული კულტურისა და ქალაქური ცივილიზაციის ამორალიზმის.

ცხოვრების უსაზღვრო დენაში, სანამ ჩვენი ჭუჭყიანი პლანეტა არ გაცივდება, გარდამავალ ეპოქებს ყოველთვის ეყოლებათ თავიანთი ფაუსტები და ჰამლეტები, როგორც ბარომეტრები სოციალური სულის მწარე ტკივილებისა და რყევის. პრომეთე, ორესტი, ოიდიპოსი, მინდია, ჰამლეტი, ფაუსტი, ზარატრუსტრა ცივილიზაციის ისტორიულ-მორალური რეფლექსების დიდი სახეებია: ყოველი მათი სიტყვა და მოქმედება ცხადყოფს კაცობრიობის იდეოლოგიური ევოლიუციის, იდეოლოგიის ევოლიუცია ბოლოს და ბოლოს ესთეტიური სახეების ევოლიუციაში ირკვევა: ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“, იძლევა ადამიანის სულის ტრაგედიას თემობრივი წესწყობილების პერიოდში *): ადამიანი ჯერ კიდევ არ არის დაშორებული ბუნებას. შექსპირის „ჰამლეტი“ ადამიანის სულის ტრაგედიას ფეოდალური არისტოკრატის და ინტელექტუალიზმის დროს.

„ფაუსტი“ ევოლიუტარიზმის აპოლოგიაა. უსაზღვროების არეზე შეშინებული სულისა.

*) იხ. ჩვენი წიგნი. „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“. ტფილისი, 1926 წ.

მალვა ამირანაშვილი.

ქართული საერო მხატვრობის განვითარება.

წინამდებარე წერილი არ წარმოადგენს სავსებით დამთავრებულს კვლევის შედეგს. ქართული საერო მხატვრობის გეგმის საკითხი ძეტად რთულია და მოითხოვს დიდ წინასწარ მუშაობას. სიძნელეს ართულებს უმთავრესად ის, რომ ქართული ხელოვნების შესწავლა მხოლოდ უკანასკნელ დროს დაიწყო და წმინდა მეცნიერულს სახეს. ამასთანავე ერთად დღემდის ქართულ საერო ხელოვნებას აქცევდნენ ნაკლებ ყურადღებას, ვიდრე საეკლესიო ხელოვნებას.

ქართულ საეკლესიო მხატვრობას აქვს თავისებური მხატვრული სახე, რომლითაც იგი არსებითად განსხვავდება ბიზანტიურ საეკლესიო მხატვრობისაგან. ქართულ საეკლესიო მხატვრობას ფორმის გადმოცემასა და ტექნიკურ შესრულებაში ეტყობა ძლიერი გავლენა მონუმენტალური საერო მხატვრობისა. თითქმის ყოველ ძველ ქართულ საეკლესიო მხატვრობაში ჩვენ ვპოულობთ ისტორიულ მხატვრობას „აღმაშენებელთა“ ანუ „შემომწირველთა“, პორტრეტულ გამოსახულების სახით. ისტორიული მხატვრობა გვაძლევს ძვირფას მასალას ქართული რეალიზმის ისტორიული შესწავლისთვის. პირველად აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქცია სახელოვანმა ისტორიკოსმა ვახუშტიმ. ამავე მასალით ისარგებლა პროფ. ავ. ჯავახიშვილმა ქართული ჩანაწერების ისტორიისათვის. სამწუხაროთ აღნიშნული გამოკვლევა, რომელიც არკვევს ქართული კულტურის ერთ საყურადღებო დარგს, ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

ხელოვნების ისტორიკოსისათვის ისტორიული მხატვრობა საყურადღებოა უმთავრესად თავისი სტილით და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით. იგი არსებითად განსხვავდება საეკლესიო მხატვრობისაგან და ამავე დროს ამტკიცებს ქართული საერო კედლის მხატვრობის არსებობას.

ქართული საეკლესიო მხატვრობის საკუთარი მხატვრული სახე და შესრულების მანერა გასაგებია, თუ ჩვენ დაუშვებთ საერო მხატვრობის გავლენას საეკლესიო მხატვრობაზე.

საეკლესიო კედლის მხატვრობას საქართველოში, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ჰქონდა საკუთარი დამუშავებული იკონოგრაფიული შემადგენლობა, ტოპოგრაფიული სქემა, რომელსაც ეკლესია ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. მხატვრის თავისუფლება იყონაწილობრივ შეზღუდული ძველი ტრადიციით და ეკლესიის კონტროლით. მისი თავისუფლება გამოიხატებოდა უმთავრესად განსაზღვრულ ციკლების შერჩევაში და აგრეთვე ცალკე სიუჟეტის დამუშავებაში. მხოლოდ აქ შეეძლო მას, სიუჟეტის ტრადიციულ გაგების ნაცვლად ქართული რეალიების გამოყენება და ინდივიდუალური სახე მიეცა მთელი კომპოზიციისათვის.

ქართულ კედლის მხატვრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ღვთის მშობლის აპოკრიტულ ცხოვრებას, წმიდა გიორგის ცხოვრებას (უკანასკნელი უფრო გავრცელებულია ქართულ საეკლესიო მხატვრობაში, ვიდრე ქართველ წმიდათა ცხოვრებიდან ამოღებული სიუჟეტები). განსაკუთრებით დიდი სიყვარულით ასურათებენ ღვთის მშობლის აპოკრიტულ ცხოვრებას, სადაც ჩვენ ვპოულობთ ადამიანური გრძნობის, სიყვარულის გამოსახულებას. ბიზანტიურ მხატვრობაში ღვთის მშობლის აპოკრიტული ცხოვრებიდან ცალკე სიუჟეტები ცნობილია მე-XI- ს., მთელი ცხოვრების დასურათება მონუმენტალურ მხატვრობაში ცნობილია მხოლოდ მე-XIV ს. (კაპრიე-ჯამის მოზაიკები, მისტრის ტაძრების კედლის მხატვრობა) ქართული კედლის მხატვრობა ჩვენ გვაძლევს უძ-

ველეს ძეგლს, სადაც წარმოდგენილია ყველა სიუჟეტები ღვთის მშობლის აპოკრიფულ ცხოვრებიდან (ატენის ძე-X ს. კედლის მხატვრობა), რომელიც რა თქმა უნდა ბევრად წინ უსწრებს ჯოტტოს მხატვრობას „Capella del' Arena-ს პადუაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღვთის მშობლის ცხოვრების დასურათებას ზარზმის კედლის მხატვრობაში (XIII ს. ბოლო), რომელიც ადამიანური გრძობის გამოსახვით და რეალიზმით არ ჩამოუვარდება ჯოტტოს აღნიშნულ მხატვრობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველ წმიდანთა ცხოვრების დასურათებას; ქართულმა მხატვრობამ აქ შექმნა ორგინალური კომპოზიციები და თავისებური ციკლი, მაგრამ ჯერ ეს მასალა მოელის მკვლევარსა.

ტრადიციულ ტიპების გარდა ქართულ კედლის მხატვრობაში ჩვენ ვპოულობთ ქართულ სინაღვილიდან აღებული ტიპებს. ხშირად ტრადიციულ კომპოზიციებში ჩვენ ვპოულობთ ქართულ ისტორიულ ჩაცმულობას და ქართულ ხუროთმოძღვრების ფორმებს. (მაგალით. ბერთუბნის სატრაპეზოს მხატვრობა — „ქორწილი კანაში“, „ხარება“ უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის № 26 ხელნაწერიდან და სხვ.).

ქართული საერო მხატვრობის არსებობის შესახებ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობებიც. არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს რომ, ზუგდიდის სასახლე მოხატული ყოფილა სპარსული სტილის მხატვრობით. რუსეთის ელჩი ნიკიფორე ტოლჩანოვი ¹⁾ აღნიშნავს, რომ ქუთაისის სასახლეში, რომელიც აუქსენებია ალექსანდრე მეფის მამას, ყოფილა გამოსახული კედელზე ქართველ მეფეთა ომები.

«И поставили посланников, меня Микифора в палате, а в ней письмо стенное... А сделал тое палату отец царя Александра, царь Георгий. А стенное письмо по-грузински». მეორე ადგილას თავისი

1) სტოლნიკი ტოლჩანოვისა და დიაკი იელევის ელჩობა იმერეთში 1650–1652 გამოც. მ. პოლიევქტოვის მიერ, ტფილისი 1926, გვ. 73, 144.

თხზულებისა ამავე მხატვრობის „შესახებ იგი აღნიშნავს“
„В городе ис палата на столбах, выведена в реку
Реон, а в палате стенное письмо, писаны бои
прежних царей“. პროფ. კ. კეკელიძეს ქართული ლიტ.
ისტორიაში ტ. II, გვ. 181-182 მოყავს ძვირფასი ცნობა
თეიმურაზ მეII-რისა, საიდანაც ირკვევა, რომ როსტომ
მეფეს თავისი სასახლე მოუხატვინებია როსტომიანიდან
ამოღებული სცენებით:

„როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელოანი
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატნეს რქიანი,
შეემკო დიდად, დაედო სახელად როსტომიანი“.

მოხატული ყოფილა აგრეთვე გრემის სასახლაც, რო-
გორც ეს ირკვევა თეიმურაზ მეფის ლექსიდან ¹⁾, მაგრამ
რა ყოფილა სახელდობრ გამოსახული არა ჩანს.

„სახლი შევმზადე სალხინოდ, მეფემ თეიმურაზო,
შევაძკე კედელ ყურენი, ვეჭვ თავსაც კარგად ბურავსო,
დავხატე ფერად-ფერადად, ჰგავს რომე იყოს მურასო
ტალახიანის ფეხითა, ნურავინ გაიმურავსო“.

ქართული საერო კედლის მხატვრობიდან ჩვენამდის
მოულწევია ერთ ძეგლს, სხვა ჯერ აღმოჩენილი არ არის.

სახელდობრ სვანეთში ლაშთხვერის მთავარანგელო-
ზის ეკლესია (ლენჯერის თემი) მოხატულია გარედან
საერო შინაარსის სიუჟეტებით ²⁾. სიუჟეტები განმარტე-
ბულია ასომთავრული წარწერით ³⁾; წარმოდგენილი ყოფი-
ლა ამირანის ბრძოლა ვეშაპთან და ბაყბაყ დევთან.

1 ოდეს: ამირან: ვეშაპმა
ნ: ჩანთქა: ვეშაპი მ
ოკლა: და გამოვიდ(ა);

2 ჭომი ამირანისი: და ბაყბაყ დე-
ვისა

¹⁾ ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან 1591—1665,
გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფილისი 1886 გვ. 57.

²⁾ Б а р т о л о м е й, Поездка в вольную Сванетию в 1853
году, тб. II, № 20.

³⁾ ქვემოთ მოყვანილი წარწერები ადგილობრივ წაკითხული აქვს
ვ. თოფურჩიას, რომელმაც გადმომცა გადმოწერილი ტექსტი.

ამირანი ებრძვის დევს. იგი ცხენოსანია და ხელში ხმა-
ლი უჭირავს. იქვე წარმოდგენილი არიან ცხენოსნები: ბა-
დრი, სეფედავლა, უსიბ. თვითეულ მათგანს აქვს სახელის
აღმნიშვნელი წარწერა. ამირანი, ბადრი და უსიბი ცნო-
ბილია ქართულ ხალხურ თქმულებაში; ცნობილია აგრე-
თვე ორივე ზემო მოყვანილი ეპიზოდი ამირანის თავგადა-
სავალიდან.

რადგანაც სეფედავლე ცნობილია მხოლოდ ამირანდა-
რეჯანიანში, ამიტომ ლაშთხვერის ტაძრის მხატვრობა
წარმოადგენს ამირან დარეჯანიანის ილუსტრაციას და
არა ხალხური თქმულებისას. საინტერესოა მხატვრობის
თარიღის გამორკვევა; საჭიროა ადგილობრივ მხატვრო-
ბის გასინჯვა და შესწავლა. ფოტოგრაფიული სურათის
გასინჯვა ამტკიცებს რომ, აღნიშნული ეპიზოდები უცვ-
ლელად უნდა იყოს გადაღებული დასურათებულ ამირან-
დარეჯანიანიდან..

*

* *

ქართული საერო მინიატიურის ისტორიას ჩვეულებრი-
ვად იწყებენ მე-XVI ს. ამასთანავე ერთად ქართული საე-
რო მინიატიურის საუკეთესო ძეგლებს სთვლიან საკუთ-
რივე სპარსულ ხელოვნების ნიმუშებად. ამ შემთხვევაში
ჩვენ საქმე გვაქვს იმავე მოვლენასთან, რომელიც კარგად
ცნობილია ქართული საეკლესიო ხელოვნების სპეციალის-
ტებისათვის. საუკეთესო ნიმუშებს ქართული საეკლესიო
მხატვრობისას სთვლიან ბიზანტიური ხელოვნების კუთვნი-
ლებად. ხოლო შესრულების მხრით სუსტ მხატვრულ ნა-
წარმოებს მიაკუთნებენ ქართულ ხელოვნებას. ორივე შე-
ხედულება, თუ ოდესღაც გასაგები იყო ქართული მასა-
ლების სრული უცოდინარობით, დღეს სრულებით მიუ-
ღებელია. ქართული საეკლესიო მხატვრობის წარმო-
შობისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა სა-
კუთრივე ქრისტიანულ აღმოსავლეთის ხელოვნებას, ვი-
დრე ბიზანტიურს. ჩვენ გვაქვს საბუთი დამყარებუ-
ლი ქართული მონუმენტალური მხატვრობის შეს-

წავლაზე, რომ საქართველოში მე-VII საუკ. პირველ ნახევარში არსებობდა თავისებური მხატვრული ტრადიციის და რეჩნიკურ ხერხის მქონე კედლის მხატვრობა (წრომის მოზაიკა), რომლითაც იგი არსებითად განსხვავდება ბიზანტიურ მხატვრობის ძეგლებისაგან. ასეთივე მოვლენას ადგილი აქვს საეკლესიო მინიატიურის დარგშიაც. ბიზანტიური მხატვრობის გავლენა ქართულ მხატვრობაზე იწყება მხოლოდ მე-X ს. და ისიც უმთავრესად საქართველოს გარეშე არსებულ ქართული კულტურის და მწიგნობრობის ცენტრებში (ათონის მთა, კონსტანტინოპოლი და სხვ.). ბიზანტიური მხატვრობის გავლენა უფრო ეტყობა ქართულ მინიატიურას, განსაკუთრებით იმ ხელნაწერებისას, რომელნიც გადაწერილია საქართველოს გარედ ბიზანტიური კულტურის ცენტრების მახლობლად, ვიდრე ქართულ კედლის მხატვრობას. ბიზანტიური მხატვრობის გავლენა იწყება სწორედ იმ დროს, როდესაც ქართულ მხატვრობას ჰქონდა საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული საკუთარი მხატვრული ტრადიცია.

საქართველო თავისი კულტურით ბიზანტიის და საკუთრივ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნების გარდა დაკავშირებული იყო მუსლიმანურ ქვეყნებთან. საქართველო უშუალოდ იკნობდა მუსლიმანურ კულტურას, მწერლობას, ხელოვნებას. მუსლიმანურ ხელოვნებაში ჩვენ ვპოულობთ ქართულ ხელოვნებიდან მომდინარე ელემენტებს, განსაკუთრებით ხუროთმოძღვრებაში და ორნამენტიკის მოტივებში. (ჩრდილოეთ სპარსეთის ხუროთმოძღვრება და სელჯუკიანთ ხელოვნება). ამ მხრით საჭიროა სპეციალური კვლევა: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებს.

თუ ქართულ ხელოვნებას აქვს თავისი წვლილი ისლამურ ხელოვნებაში, მით უფრო მეტი იქნება მისი მნიშვნელობა ბიზანტიური ხელოვნებისათვის. საქართველო თავისი კულტურული ცენტრებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ დაეწაფა უდიდესს ბიზანტიურ კულტურას. ბიზანტიაში არსებული ქართული ცენტრები იყვნენ

au courant ყველაფერი იმისი, რაც ხდებოდა ბიზანტიური კულტურის სფეროში. ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას ამ კულტურის შექმნაში. მათი როლი არ ამოიწურებოდა ბიზანტიური კულტურის გავრცელებით საქართველოში. პირიქით ჩვენ გვაქვს არა ერთი საბუთი ვიფიქროთ, რომ ქართული ცენტრები უცხოეთში ხელს უწყობდენ ბიზანტიურ კულტურის აღორძინებას. ქართული კულტურის სიდიადე გამოიხატება სწორედ იმაში, რომ შეითვისა დიდი ბიზანტიური კულტურა, ხელი შეუწყო მის განვითარებას, მისცა მას თავისი ეროვნული ელფერი და ამავე დროს შეინარჩუნა ეროვნული სახე თავისი კულტურისა. ბიზანტიურმა ხელოვნებამ გაამდიდრა თავისი შინაარსით და ფორმით ქართული ხელოვნება, დაუახლოვა ძველ ელინისტურ ხელოვნებას. რომლის ცხოველმყოფელი ნაკადით იკვებებოდა ბიზანტიური ხელოვნება კონსტანტინოპოლის განადგურებამდის. ელინისტურ ხელოვნებას იცნობდა ქართული ხელოვნება ბევრად უფრო ადრე, ვიდრე დაიწყო ქართული და ბიზანტიური ხელოვნების დაახლოვება. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ საქართველოში ელინისტური ხელოვნება სხვა და სხვა გზით უნდა შემოსულიყო მე-VI საუკუნეზე უფრო ადრე. მე-X ს. მომხდარი ქართული და ბიზანტიური კულტურის ურთიერთობის განვითარებამ ხელი შეუწყო ელინისტური ელემენტების გაცხოველებას: განსაკუთრებული სიცხადით ეს ჩანს ქართული მხატვრობის ძეგლთა შესწავლის დროს.

ქართული ხელოვნება მე-XII ს. წინ უსწრებს ბიზანტიურ ხელოვნებას. განსაკუთრებით მხატვრობის დარგში. ლათინთა ბატონობამ აღმოსავლეთში, კონსტანტინოპოლის 1204 წ. აღების შემდეგ, გამოიწვია ბიზანტიის ხელოვნების ბუნებრივი განვითარების შეჩერება: მხატვრული ტრადიცია შესუსტდა: კონსტანტინოპოლი ჰკარგავს ბიზანტიური ეროვნული კულტურის ცენტრის პირველობას. ბიზანტიური კულტურის და სახელმწიფოებრივობის ცენტრი გადადის ნიკიაში და ტრაპეზუნთის სამეფოში, რომელიც თავისი წარმოშობით და კულტურით მჭიდროდ დაკავშირებული იყო საქართველოსთან.

მე-XIII ს. დასასრულს იწყება ბიზანტიური ხელოვნების უკანასკნელი აღორძინება, რომლის მთავარი ცენტრად კვლავ კონსტანტინოპოლი იქცა. ბიზანტიური კედლის მხატვრობა აღნიშნული ხანისა განიცდის დიდ ცვლილებას, რომლის მიზეზები ჯერ გამორკვეული არ არის.

არსებობს სამი თეორია, გამოთქმული ბიზანტიური ხელოვნების საუკეთესო სპეციალისტების მიერ, სამივე თეორია ერთი მეორეს არსებითად ეწინააღმდეგება. ქართული კედლის მხატვრობის დათარიღებული ძეგლები ამტკიცებს, რომ ბიზანტიური მხატვრობის აღორძინების ნიშნები ბევრათ უფრო ადრე ემჩნევა ქართულ ძეგლებს, ვიდრე ბიზანტიურს. შესაძლებელია ბიზანტიური მხატვრობის აღორძინებაში ქართულ ხელოვნებას თვალსაჩინო მონაწილობაც მიეღოს. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საზოგადო ხელოვნების ისტორიისათვის და მოითხოვს ფრთხილს და დაკვირვებით ნაწარმოებ კვლევას.

ჩვენ გვაქვს მე-XVI ს. ცნობა, რომ საქართველოდან საგანგებოთ გამოუწვევიათ ათონის მთაზე მხატვარი მარკოზ, რომელსაც მოუხატავს მთელი ტაძარი.¹⁾ ქართულ საისტორიო წყაროებში, სახელდობრ ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში, მოიპოვება საინტერესო ცნობები ათონის მონასტრების მოხატვის შესახებ, რომელიც ქართველ მოღვაწეთა და შემომწირველთა თაოსნობით ხდებოდა²⁾.

ბულგარეთში პეტრიწონის სახელგანთქმულ ლავრაში დაცულია ქართული კედლის მხატვრობა, რომლის ნაწილი ეკუთვნის გამომცემლის აზრით მე-XII ს., ხოლო მეორე ნაწილი კი მე-XIV ს.³⁾ მხატვრობას ზოგ შემთხვევაში აქვს ქართული ასომთავრული წარწერები; სხვათა შორის ამ მხატვრობაში გამოსახულია პეტრიწონის და-

1) შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები, გვ. 43 („არილი“. 1926 წ.)

2) ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, 1901 წ., გვ. 268-269, 267, 254 და სხ.

3) А. Н. Грабаръ, Роспись церкви-костницы Бочковского монастыря (Известия на болгарския Археологически Институт, т. II, 1923-24).

მარსებელი ცნობილი მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანი თავისი ძმით. გამომცემელი პეტრიწონის მხატვრობისათვის ამ მხატვრობას ბიზანტიურად. მხატვრობის შესრულების ტექნიკა, სტილი, ტოპოგრაფიული სქემა და იკონოგრაფიული შემადგენლობა (ვედრება გამოსახულია საკუთხეველის კონქში) ტიპურია ქართული მხატვრობისათვის. ამიტომ პეტრიწონის მხატვრობა წარმოადგენს ქართული ხელოვნების ძეგლს და ხელმეორეთ უნდა გამოიყოს, რადგანაც არსებული გამოცემა სუსტია, როგორც გამოკვლევით, აგრეთვე ილიუსტრაციების თვალსაზრისითაც.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ მკვლევარს მოეთხოვება დიდი დაკვირვება ქართული მხატვრობის შესწავლას დროს და საკითხის უცბათ წინასწარი შეთხზული უნდადგოდ თეორიის მიხედვით გადაჭრა ვერ ჩაითვლება მეთოდოლოგიურად მისაღებად.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე პირდაპირი ცნობები, რომ მუსლიმანურ აღმოსავლეთში განთქმული იყვენ ქართველი მხატვრები და კალიგრაფები. Huart-ს თავის საყურადღებო გამოკვლევაში სამუსლიმანო აღმოსავლეთის მინიატურისათვისა და კალიგრაფების შესახებ,¹⁾ დასახელებული ჰყავს ქართველი მხატვარი სიაუში, რომელიც სპარსეთში მე-XVI ს. ითვლებოდა გამოჩენილ მხატვრად. მას შეუქმნია საკუთარი მხატვრული სკოლა, ჰყოლია მოწაფენი, რომელნიც ამაყობდენ მასწავლებლის სახელით. ერთი მისი მოწაფეთაგანი საგანგებოთ ოსმალეთის სულთანს სპარსეთიდან გამოუწვევია ხელნაწერების დასურათებისათვის.

ქართული საერო მინიატურები დაცული უნდა ყოფილიყო უპირველეს ყოვლისა საერო შინაარსის ხელნაწერებში. არსებობს აგრეთვე ცნობა, რომ ძველად საქართველოში უნდა ყოფილიყო დასურათებული საისტორიო თხზულებანი. აფხაზეთის კათალიკოსს ეფთვიმე სა-

1) Cl. Huart, Les Calligraphes et les Miniaturistes de l'orient musulman, Paris, 1908, p. 324, 332.

ყუარელიძეს ბიჭვინტის ტაძრისათვის შეუწირავს „დახატული ქართლის ცხოვრება“. ¹⁾ სამწუხაროთ დასურათებული ქართლის ცხოვრება ჯერ აღმოჩენილი არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს იმავე ხასიათის მოვლენასთან, როგორც ცნობილია სპარსეთის ხელოვნების ისტორიაში. Blochet აღნიშნავს, რომ სასანიანთა სპარსეთში იყო დასურათებული ხელნაწერი, რომელსაც „სასანელთა გვარის მეფეთა სურათები“ ეწოდებოდა. ²⁾ იგი შეიცავდა ოცდა შვიდ სასანელთა გვარის მეფის სურათს, არდაშირიდან დაწყებულს და თავდებოდა უკანასკნელი მეფის სურათით, რომელიც დაიღუპა არაბების შემოსვლის დროს. ისტორიკოსი მასსუდი (X ს.) ³⁾ გადმოგვცემს, რომ მის დროს ერთ ოჯახში მას უნახავს ასეთივე ხელნაწერი.

გარდა საისტორიო თხზულებათა ჩვენში ყოფილა დასურათებული საერო მწერლობის ძეგლებიც. სხვათა შორის დასურათებული ყოფილა ამირან დარეჯანიანი, რომლის ილუსტრაციები იმდენათ ყოფილა გავრცელებული, რომ იგი წარმოუდგენიათ ტაძრის კედლებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლაშთხვერის მხატვრობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა დასურათებული ამირან დარეჯანიანი და არა ხალხური თქმულება ამირანის შესახებ.

საერო თხზულებათა ძველი ხელნაწერები ჩვენ არა გვაქვს და ამიტომ ჩვენ არ გვაქვს არც ძველი სურათები. ხელნაწერების დასურათების დროს ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ძველ დასურათებულ ხელნაწერებს. ძველ ბიზანტიური მხატვრობის შესწავლა დამყარებულია მე-X ს.

¹⁾ ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი (საისტორიო მოამბე II, წელ. II, 1925, გვ. 186). ამ ცნობას ჩემი ყურადღება მიაქცია ნ. ბერძნიშვილმა, რომელსაც მადლობას მოვასენებ.

²⁾ Blochet, Les origines de la miniature en Parse (Gazette des Beaux-Arts, 1905, 2, p. 115).

³⁾ Migeon, Manuel d'art musulman. p. 26.

პირების შესწავლაზე (მაგალითად პარიზის ნაციონალური წიგნთსაცავის დასურათებული დავითნი № 139). ამგვარვე მოვლენას ადგილი აქვს ქართულ საეკლესიო მინიატიურის ისტორიაში. მაგალითად შატბერდში გადაწერილი სახარება 926 წ. და დასურათებული 940 წ. რომელიც წარმოადგენს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის საკუთრებას, გვაძლევს საუკეთესო მაგალითს. სახელდობრ ამ ხელნაწერში დაცულია სურათების სტილი და იკონოგრაფიული ანალიზი ამტკიცებს, რომ მათ საფუძვლად აქვთ მე-VI ს. დედანი. ამ გვარვე მოვლენას ადგილი აქვს ქართული საერო მინიატიურების დასურათებაში. საჭიროა მხოლოდ შესწავლა მათი სტილისა და შესრულების ტექნიკისა. პირველ რიგში ჩვენ შევუდგებით ვეტხისტყაოსნის სურათების ანალიზს. ჩვენთვის ქართულ ორგინალურ საერო ნაწარმოებთა მინიატიურების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნათარგმნ თხზულებათა ილუსტრაციების შესწავლას. განსაკუთრებით საინტერესოა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი № 65, რომელიც გადაწერილია 1188 წ. როგორც გამოარკვია პროფ. აკაკი შანიძემ.¹⁾ ამ ხელნაწერში რომელიც წარმოადგენს სხვა და სხვა თხზულებათა კრებულს, დაცულია საყურადღებო ასტრონომიული შინაარსის დასურათებული თხზულება. იგი წარმოადგენს უძველეს ასტრონომიული შინაარსის დასურათებულ თხზულებას. თხზულების სათაური და ზოდიაკოს ნიშნების განმარტებითი წარწერანი მოყვანილია ქართულად და არაბულ ენაზე. თვით თხზულება უნდა იყოს ნათარგმნი არაბულიდან: სურათების სტილი და შესრულების ტექნიკა არსებითად განსხვავდება ძველ არაბულ და სპარსულ მინიატიურებიდან. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს ამ ხელნაწერის სურათები იმ მხრივაც, რომ იგი ბევრად ძველია ვიდრე უძველესი დათარიღებული დასურათებული არაბული და სპარსული ხელნაწერები. უძველესი არაბული

1) თარგმანებაჲ ქებისა ქებათაისი, პალეოგრაფიული რვეული გამოქვეყნებული აკაკი შანიძის მიერ, 1924 წ., წინასიტყვაობა.

დათარიღებული დასურათებული ხელნაწერი შესრულებულია 1222 წ. ¹⁾ (ხარირის მაკამა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის); სპარსულ უძველეს დათარიღებულ ხელნაწერს წარმოადგენს „ქილილა და დამანა“, რომელიც დასურათებულია 1236 წ. ²⁾ ამ რიგათ ქართული ხელნაწერი № 65, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გადაწერილია 1188 წ., წარმოადგენს უძველეს დასურათებულს ხელნაწერს, რომლის სურათების შესწავლა და სტილის გენეზისი მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას და ჯერ ჯერობით ჩვენთვისაც სავსებით გამორკვეული არ არის.

*

* *

ვეფხის ტყაოსნის მინიატიურების პირველი მიმოხილვა ეკუთვნის დ. პ. გორდეევს ³⁾. იგი არჩევს ორ ხელნაწერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერს № 599, გადაწერილს 1646 წ. მამუკას მიერ და წერაკითხვის გამაგრ(კვლევები) საზოგადოების მოუზიუმის ხელნაწერს № 5006. მისი აზრით მამუკა მდივნის მიერ გადაწერილი ხელნაწერის სურათები წარმოადგენს უძველეს ვეფხის ტყაოსნის ილუსტრაციების უძველეს რიგად, რომელიც მისივე აზრით უნდა ყოფილიყო წარმოშობილი ქართულ მხატვრობის განსაზღვრულ წრეში. ხოლო მეორე ხელნაწერის სურათების სტილი და შესრულების ტექნიკა იმავე ავტორის აზრით დამახასიათებელია წმინთა სპარსული ხელოვნებისათვის.

ავტორი ამ ხელნაწერის სურათებს ჰყოფს ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფის მინიატიურები შესრულებული

¹⁾ Blochet, Peintures de manuscrits arabes à types byranntius (Revue archeologique, 1907).

²⁾ Marteau et Vaver. Miniatures Persanes exposées au Musée des Arts Decoratis, Paris 1913, pl. XLIV.

³⁾ Д. П. Гордеев, Иллюстрации к поэме Шоты Руставели, стр. 1-4 („Феникс“, октябрь, 1918 г. № 1). მას გამოცემული აქვს ს.ს.ს.მ. ხელნ. № 599 დაცული შოთას პორტრეტი.

უნდა იყოს დახელოვნებულ მხატვრის მიერ სპარსულ ყა-
იდაზე, ხოლო დანარჩენი კი უფრო ნაკლებ ოსტატის მიერ,
რომელიც იმავე სპარსულ რიგზე მუშაობდა.

„Персидский мастер исполнил основную начальную
часть... Конец был иллюстрирован другим, более
слабым, но работавшим все же в духе персид-
ских миниатюристов, мастером“.

ავტორი აგრეთვე ეხება შოთა რუსთველის პორტრეტს
და დასძენს. რომ მამუკა მდივნის მიერ გადაწერილ ხელ-
ნაწერში დაცული პორტრეტი წარმოადგენს პოეტის უძ-
ველესს გამოსახულებას.

საინტერესო დაკვირვებას და სწორ ანალიზს შოთას
პორტრეტულ გამოსახულობისას გვაძლევს პავლე ინგო-
როყვა თავის „რუსთველიანაში“: ¹⁾ მისი აზრით გაგარინის
მიერ გამოცემული პორტრეტი წარმოადგენს შოთას უძვე-
ლეს გამოსახულებას. რასაც მე, სავსებით ვიზიარებ. ს. კა-
კაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ვეფხის ტყაოსნის
ილუსტრაციების და შოთას პორტრეტის შესახებ ²⁾, რომე-
ლიც წარმოადგენს უმთავრესად დ. პ. გორდეევის შეხე-
დულების განმეორებას მიუღებელია.

*

* *

ვეფხისტყაოსნის დასურათებული ხელნაწერები გა-
ნიყოფება ორ ძირეულ ჯგუფად. პირველი ჯგუფის ხელ-
ნაწერები შეიცავენ მხოლოდ მოხატულ არშიებს და ამი-
ტომ ამ ჯგუფს ჩვენ დეკორატიულს ვუწოდებთ. დეკორა-
ტიული ჯგუფის ხელნაწერთა შორის უპირველესობა ეკუ-
თვნის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუ-

¹⁾ პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიან, 1926, ტფილისი, (შო-
თას იკონოგრაფია გვ. 348—374)

²⁾ ვეფხის-ტყაოსანი. ს. კაკაბაძის რედაქტორობით, მეორე გა-
მოცემა, ტფილისი 1927, გვ. CXXXIX—CXLI (განხილულია შოთას
პორტრეტული გამოსახულება), გვ. CXLI—CXLII (ვეფხის ტყაოსნის
ილუსტრაციები).

ზეუმის ხელნაწერებს № 54 და № 2074. ხელნაწერი № 54 კარგად ცნობილია ვეფხის ტყაოსნის მკვლევართა შორის; იგი გადაწერილია ბეგთაბეგის მიერ 1680 წ.¹⁾ არშიები შემკულია ოქროთი ნაწერი ცხოველების და მცენარეულობის დეკორატიულ გამოსახულებით. ამგვარი მოხატული არშიები გავრცელებულია სპარსულ ხელნაწერში. სპარსული მოხატული არშიებისაგან განსხვავდება ხსენებული ხელნაწერის არშიები სტილით და შესრულების მხრითაც. ქარ. ხელნაწერის არშიები უფრო სადაა, მოხაზ. ცხოველებისა და მცენარეულობის მოტივების უფრო მსხვილად ნაწერია და შედარებით უფრო ძეტი ზოძისაა. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერი № 2074 აგრეთვე შემკულია მოხატული არშიებით. პალეოგრაფიული ნიშნების წყალობით ს. კაკაბაძე²⁾ ტექსტს და მხატვრობას მიაწერს იოანე ავალიშვილს და ათარიღებს 1590 — 1600 წ. პირდაპირ ცნობას ამის შესახებ თვით ტექსტი არ შეიცავს. აღვნიშნავ მხოლოდ რომ ბორდიურები მიწებებულია შემდეგ, როდესაც თვით ტექსტი უკვე დეწერილი ყოფილა. გადასატანი სიტყვები დაწერილია ტექსტის ხელით ბორდიურებზე ზემოდან. შესრულების მხრით მოხატულ არშიებს არ ეტყობა ერთნაირობა; პირიქით ყოველი არშიის ცალკე გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ არშიები შესრულებულია რამოდენიმე ხელით. ამიტომ შეუძლებელია არშიების მოხატვა მივაწეროთ იოანე ავალიშვილს. რაც შეეხება ტექსტის გადამწერის ვინაობას, მე საკითხს ვტოვებ ღიად, რადგანაც ეს შეადგენს ქართული პალეოგრაფიის მცოდნეთა კომპეტენციას.

არშიების შესრულების ტექნიკა და სტილი ენათესავება სპარსულ ხელნაწერთა მოხატულ არშიებს, რომელიც დაცულია ცნობილ სპეციალისტის სარრეს და შულ-

1) ვეფხის ტყაოსანი, იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი 1926, შესავალი, გვ. XII-XIII

2) ს. კაკაბაძე, ვეფხის ტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი („საისტორიო მოამბე“. წ. II, 1925, გვ. 152-158.)

ცის ¹⁾ კოლექციაში და ათარიღებენ მე-XVI ს. მიწურულით. არძიები სპარსულ ნიმუშებისაგან განსხვავდება იმავე ნიშნებით, რომლითაც ხეძოთ აღწერილი ხელნაწერი № 54 განსხვავდება წმინდა სპარსულ ბორდიურებისაგან.

ამავე ხელნაწერში მოთავსებულია სამი დიდი ზომის მინიატიურა ამოღებული სხვა და სხვა დასურათებულ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებიდან. მათი გარჩევა გვეჩვენებს ცალკე მოთავსებული, როდესაც ჩვენ შევუდგებით ძეგრე ჯგუფის ძირითად ხელნაწერების გარჩევას.

ქართული საერო ძიხიატიურის შესწავლისათვის შედარებით ძეტ მასალას გვაძლევს მეორე ჯგუფის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომელნიც შეიცავენ თვით ტექსტის ილუსტრაციას. ქართულ საერო მხატვრობას უხდა შეექმნა ორგინალური ციკლი ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებისა, ვინაიდან იგი ვერ ძიმართავდა სპარსულ მხატვრობის ნიმუშებს, როგორც ჩვენ ვპოულობთ სპარსულ ენითგან ქართულად ნათარგმნ თხზულებათა ილუსტრაციების შესწავლის დროს. ქართულმა საერო მხატვრობამ ძველ დროშივე შექმნა საკუთარი ციკლი ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებისა და იმავე დროს საკუთარ გემოვნების და სტილის კვალობაზე შეცვლა თვით სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებათა ილუსტრაციების, როგორც ციკლი აგრეთვე თვითეული მინიატიურის ხასიათიც. ნათარგმნ თხზულებათა მინიატიურების ტექნიკური შესრულება, აგრეთვე განსხვავდება, ხშირად არსებითად სპარსულ ნიმუშებისაგან განსხვავებას ჩვენ ვპოულობთ თვით საღებავების და ფერების ხმარებასა და შეხამებაში. რა თქმა უნდა ქართულმა საერო მხატვრობამ ბევრი რამ შეითვისა სპარსულ მხატვრობისგან, მაგრამ ამავე დროს მან შეინარჩუნა თავისებურობა თვით ნათარგმნ თხზულებათა დასურათების დროს. ქართული საერო მხატვრობა, როგორც ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, ბევრათ უფრო ძველი

1) Meisterwerke Muhamedanischer Kunst (Ergänzungsband 693.—I, 687—I.

მოვლენაა და მისი წარმოშობა არ მიეწერება სპარსული ხელოვნების გავლენას. აქ მოყვანილ დებულებათა დამტკიცებას ნაწილობრივ ვეცდებით ამ წერილში, ხოლო ზედმიწევნით განხილვა ყველა იმ საკითხებისა, რომლებიც უნებლიეთ გვესახება ქართული საერო მხატვრობისა და სპარსული მხატვრობის შედარებითი შესწავლის და ანალიზის დროს, განძრახული გვაქვს ცალკე შევეხოთ სპეციალურ გამოკვლევაში.

საყურადღებო მასალას გვაძლევს მეორე ჯგუფის ვეფხისტყაოსნის დასურათებული ხელნაწერები წ. კ. გ. ს. ხელნაწერი №5006,¹⁾ ს. ს. ს. მუზეუმის ხელნაწერი №599²⁾ და სამი მინიატიურა იმავე მუზეუმის ხელნაწერისა № 2074 ამავე ჯგუფს ეკუთვნის პარიზის დასურათებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რომლის ტექსტიც და სურათებიც ეკუთვნის მე-XVII ს.

ს. კაკაბაძემ ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემაში,³⁾ სადაც დაბეჭდილია ყველა ხელნაწერიდან, ამოღებული

1) Е. Такашвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“ т. II. Тифлис, 1906—1912, стр. 569-572.

2) Е. Такашвили, op. cit. стр. 566—568.

3) ვეფხისტყაოსანი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფლისი 1927. ს. კაკაბაძემ გამოცა სურათები შემდეგი ხელნაწერებიდან წ. კ. გ. ს. მ. № 5006—XXII, XVIII, XIX, XXI, XXI, XXII, XXIII, XXIV, XXV, XXVI, XXVII, XXVIII, XXIX, XXX, ს. ს. მ. № 599 (მამუკას მიერ გადაწერილი 1646 წ.)—II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, ს. ს. ს. მ. ხელნ. № 2074—I, პარიზის ხელნაწერიდან XV, XVI, XVI; აგრეთვე მან გამოსცა დედანი გაგარინის მიერ პირველად გამოცემული მინიატიურისა ცინკოგრაფიით გვ. XXIX და ფერადი ლითოგრაფიით პოეტის სურათი ამავე მინიატიურადან წიგნის თავში. აგრეთვე მას აქვს მამუკა მდივნის მიერ გადაწერილ ხელნაწერში დაცული შოთას გამოსახულება გამოცემულია წინასიტყვაობის შემდეგ ცალკე ტაბულაზე. გარდა მინიატიურებისა ამავე ავტორმა გამოსცა ვეფხისტყაოსნის მოხატული ბორდიურები ს. ს. ს. მუხ. ხელნ. № 2074. გვ. VI, X, LXXVII, CIX, CXXVI და ს. ს. ს. მ. ხელნ. № 54—გვ.

ნიმუშები ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებისა, გამოაქვეყნა სამი სურათი პარიზის ხელნაწერიდან. სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს ამ ხელნაწერის ყველა ილუსტრაციის აღწერილობა და ამიტომ ჯერ-ჯრუბით თავი უნდა შევიკავოთ ამ მინიატიურების დედნის დათარიღებისაგან.

მეორე ჯგუფის ხელნაწერთა მინიატიურების შედარებით შესწავლა არკვევს, რომ ნაწილი ილუსტრაციებისა შეთხზულია ხელნაწერის გადაწერის დროს, ხოლო დანარჩენი მინიატიურები ემყარება სავსებით ძველ დედანს, ზოგ შემთხვევაში საჭმე გვაქვს ძველ ნიმუშების გადაკეთებასთან ხელნაწერის გადაწერის დროს.

მამუკა მდივნის მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსანი 1646 წ. შეიცავს 39 მინიატიურას. ერთი მათგანი შეიცავს გადამწერის ავტოპორტრეტს (38), რომელიც იმავე დროს უნდა იყოს ხელნაწერის დამსურათებელიც. მეორე მინიატიურა რომელიც ხელნაწერის თავშია, იყოფა ორ ნაწილად. ზედა ნაწილი სურათისა დაკავებული აქვს მეფის გამოსახულებას, ხოლო ქვემოთ პოეტი რუსთველი უკარნახებს თავის მდივანს პოემას. შოთას გამოსახულებას ჩვენ შევხებით ცალკე როდესაც სპეციალურად განვიხილავთ შოთას პორტრეტულ გამოსახულებას. მეტი რომელიც წარმოდგენილია აღწერილი სურათის ზიდა ნაწილზე უნდა იყოს ლევან II რომლის ბრძანებით უნდა გადაეწერა მამუკა მდივანს ტყვეობის დროს ვეფხისტყაოსანი. ლევან დიდის პორტრეტული გამოსახულება

LXXII, LXXX, CXI, CXXIII. ეს გამოცემა წარმოადგენს პირველ ცდას ვეფხისტყაოსნის ყველა დასურათებულ ხელნაწერთა ნიმუშების გამოცემისა, მაგრამ სამწუხაროდ გამოცემას უხვად მოთავსებულია ზედმეტი ილუსტრაციები, რომელიც გაუგებარია (მაგალითად განმეორებულია გაგარინის მიერ გამოცემული აღნიშნული მინიატიურა, რომელსაც არაფერი მნიშვნელობა არა აქვს დედნის აღმოჩენის შემდეგ, მით უმეტეს რომ მასვე დედანიც გამოცემული აქვს, გაუგებარია აგრეთვე ხელმეორედ ზიხის უხეირო ილუსტრაციების გამოცემა იმ პირის მიერ, ვინც პირველად ვეფხისტყაოსნის გამოცემაში ისარგებლა ქართული მინიატიურების მასალით.

ცნობილია ქართულ კედლის მხატვრობაში, მაგალითად წალენჯიხის, კორცხელის და ხოფის კედლის მხატვრობაში და აგრეთვე ვერცხლით ნაჭედ ხატებზე (კორცხელის ტაძრის წინასწარმეტყველთა ხატი, ელდათის წმინდა გიორგის ხატი და სხ.). პირისახე, ჩაცმულობა მეფისა, რომელიც გამოსახულია აღნიშნულ მინიატიურაზე გვაძლევს გასაოცარ მსგავსებას ლევან დიდის პორტრეტულ გამოსახულებასთან. მამუკა მდივანს მოუთავსებია ხელნაწერის თაგში იმ ისტორიული პირის გამოსახულება, რომლის ბრძანებით მას დაუწყია სამეგრელოში ყოფნის დროს ქართული ხელნაწერების გადაწერა. დანარჩენი მინიატიურები გვაძლევს ძვირფას მასალას სამეგრელოს ყოფა ცხოვრების შესწავლისათვის ლევან დიდის ეპოქისას. მინიატიურების სტილისა და იკონოგრაფიული შესწავლა ამტკიცებს უდავოთ, რომ მამუკას ხელთ არ ჰქონია დასურათებული ვეტხის ტყაოსნის ხელნაწერი. მინიატიურებში წარმოდგენილ მომჩმედ პირთა ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება, პურის ჭამის წესი და სხვ. დამახასიათებელია მე-XVII ს. სამეგრელოს ცხოვრებისათვის. მე-XVII ს. სამეგრელოს ყოფა ცხოვრების, დიდებულთა ზნეჩვეულების, ჩაცმულობის შესახებ ჩვენ გვაქვს ძვირფასი მასალა: არქანჯელო ლამბერტის თხზულება, ¹⁾ პატრის კასტელლის მიერ დახატული სურათები, ²⁾ რუსეთის ელჩების ცნობები, ³⁾ შარდენის ⁴⁾ თხზულება და აგრეთვე ის უხვი მასალა, რომელსაც გვაძლევს წალენჯიხის, ხოფის, კორცხელის და მარტვილის ისტორიული მხატვრობა. ⁵⁾ აღნიშნული მასალის შედარები-

1) არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიას, ტფილისი, 1901 წ. გვ. 39.

2) საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო მუზეუმში დაცულია კასტელლის მიერ დახატული სურათების ფოტოგრაფიული ალბომი.

3) Посольство дьяка Елчина и священника Павла Захарьева в Дадиянскую землю, 1639—1640 г. (А. Белокуров, Материалы для русской истории).

4) Chardin, Voyage de Paris à Ispahan. Paris, 1830 p. 1-214

5) გ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი წიგნი მეორე, ტფილისი 1914.

თი შესწავლა ამტკიცებს, რომ მამუკას ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების სახით, დაუხატავს მისი დროის სამეგრელო და მას თვით შეუთხზავს ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციათა თავისებური ციკლი.

შედარებით უფრო რთულია წ. კ. გ. ს. ხელნაწერის № 5006 მინიატიურები თავისი შემადგენლობით. სულ ხელნაწერში მოთავსებული ყოფილა 87 მინიატიურა, ამ შამად 10 მინიატიურა ცალკე ინახება. ამ ხელნაწერში დაცულია ერთი მინიატიურა (გვ. 240). რომელიც არ ეკუთვნის ამ ხელნაწერში მოთავსებულ მინიატიურებს, და სტილის და შესრულების მხრით უნდა იყოს არა უადრეს მე-XVIII ს. მეორე ნახევრისა. დანარჩენ მინიატიურებს დაკრული აქვს ზემოდან და ქვედა ნაწილზე ქალაქდის არშია, რის გამო მინიატიურიანი ფურცელი დებულობს ტექსტის ფურცლების ფორმატს. შესრულების ტექნიკა ამ მინიატიურებისა და აგრეთვე სტილი ამტკიცებს, რომ, ჩვენ საქმე გვაქვს ორ არსებითად განსხვავებულ ჯგუფთან. პირველ ჯგუფს ეკუთვნის 24 მინიატიურა; მხატვარი დახელოვნებული ოსტატია და ამავე დროს იგი სარგებლობს ძველი ნიმუშებით, როგორც ეს ცხადათ ირაკვეთა სურათების ანალიზის საშუალებით. იმავე დროს ხსენებული მინიატიურები ძველია ვიდრე მეორე ჯგუფისა. მეორე ჯგუფის მინიატიურები უფრო სუსტია შესრულების მხრივ და არ ემყარება ძველ დედანს. იმ ათ მინიატიურიდან, რომელნიც ცალკე ინახებიან რვა ეკუთვნის პირველ ჯგუფს, ხოლო ორი კი მეორეს. როგორც აღვნიშნეთ დ. პ. გორდიევი პირველი ჯგუფის მინიატიურებს დაკრული აქვს ზემოდან და ქვედა ნაწილზე ქალაქდულების გაზიარება ეხლა შეუძლებელია. გარდა სტილისტიურ და შესრულების ტექნიკის საზოგადო ხასიათისა დ. პ. გორდეევის მიერ გამოთქმულ დებულებას ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოება. პირველი ჯგუფის მინიატიურები გვაძლევს რამოდენიმე მაგალითს, სადაც გამოსახულია წერის პროცესი მარჯნიდან მარჯვნივ. ამგვარ მაგალ. გვაძლევს მინიატიურა მოთავსებული ფ. 40, რომელიც განმარტებულია შემდეგი წარწერით: აქა ავთანდილ: შერმანდინ:

თავისი ვეზირი შექნა. ავთანდილი ზის და წერს გრაგნილ-ზე; ტექსტი მის მიერ დაწერილი შეიცავს ასოების მოხაზულობის მიბაძვას, მისი კალამი შეჩერებულია შუა სტრიქონზე, რის გამო წერის პროცესის დახასიათება არავითარ გაუგებრობას არ იწვევს. იგი წერს მარცხნიდან მარჯვნივ; სპარსელ მხატვარს, რომელიც დახატავდა წერის პროცესს, ფსიქოლოგიურად არ შეეძლო დაეხატა მარცხნიდან მარჯვნივ წერა. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე მაგალითი პირველ ჯგუფის მინიატიურებში, რომელიც ამტკიცებს ჩვენ მიერ გამოთქმულ დაკვირვებას.

მეორე ჯგუფის მინიატიურების მხატვარი ქართველი უნდა იყოს; პირველ ჯგუფის მინიატიურები აგრეთვე ქართველ მხატვრის ნაწარმოებს წარმოადგენენ. მეორე ჯგუფის მინიატიურებს ემჩნევა სხვათა შორის ერთი თავისებურება. რომელიც უდავოთ ამტკიცებს მხატვრის ვინაობას. აფერადებულ მინიატიურას საღებავის ქვემოთ აქვს წარწერები საღებავის აღმნიშვნელი, მაგალითად: ლაჟვარდი, ყირმიზი, ყვითელი და თეთრი, და სხვ. (246. 237 და სხვ.). ეს წარწერები გაუკეთებია მხატვარს სურათის მოხაზვის შემდეგ სანამ საღებავებით წერას დაიწყებდა. წარწერები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ქართულ მხატვრობაში მიღებულ საღებავთა სახელწოდებას და მათ ფერად შესატყვის ვტყობილობთ. მხატვარი თავისი მუშაობის გააღვილებისათვის მინიატიურის მოხაზვის შემდეგ ქართულად აღნიშნავს საჭირო საღებავთა სახელწოდებას განსაზღვრულ ადგილას (ტანსაცმელი, დეკორატიული ხუროთმოძღვრება, ავეჯეულობა და სხვ.).

პირველი ჯგუფის მინიატიურების, ანალოზი არკვევს მეტად საინტერესო მოვლენას, რომელიც მოთხოვს განსაკუთრებულ განმარტებას.

განსაკუთრებით საინტერესო ფორმებს გვაძლევს პეიზაჟი. პეიზაჟის ფორმა და მისი მნიშვნელობა სურათის კომპოზიციაში განსხვავდება წმინდა სპარსულ მინიატიურებში მიღებულ პეიზაჟისაგან. საზოგადო პეიზაჟს აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს სურათის კომპოზიციაში. დიდრე სპარსულ მხატვრობაში. სპარსულ მხატვრობაში პეი-

ზაჟს აქვს წმინდა დეკორატიული მნიშვნელობა. ჩვეულებრივად სპარსულ მინიატიურაში პეიზაჟი გაყოფილია ორ ნაწილად წინა და უკანა რიგი. წინა და უკანა რიგი პეიზაჟისა განსხვავდება აფერადებითა (ორი სხვა და სხვა ფერი) და აგრეთვე ფორმით. წინა რიგი პეიზაჟისა წარმოადგენს ვაკე ადგილს, უკანა რიგი კი პატარა მომრგვალო რამოდენიმე დანაწილებულს გორაკს. სპარსული ტიპის პეიზაჟი ცნობილია აგრეთვე ქართულ საერო მინიატიურებში, მაგალითად იოსებ ზილიხანიანის მინიატიურებში¹⁾, რომელიც ჩემი აზრით უნდა ყოს მე-XIV ს. შესრულებული და არა მე-XVI ს. ჩვენი მინიატიურების პეიზაჟი გვაძლევს სხვა ფორმებს მეორე რიგზე მოთავსებულ გორაკებისას; გორაკები წვეტიანი, კლდოვანი წვერით იწყებიან. მოყვანილობა მათი ხაზოვანია და ბუნებრივ ფორმის მაგივრად ჩვენ ვპოულობთ გორაკების წვერის სტილიზაციას, რომელიც ხშირად მეტად ფანტასტიურია. ამასთანავე ერთად პეიზაჟის ძირითად ნაწილს ორფერად აფერადებას ჩვენ ვერ ვპოულობთ. პირიქით ჩვენ გვაქვს სულ სხვადასხვა ფერის გორაკების წვერები ლურჯი, წითელი, იისფერი, ყვითელი, მწვანე და სხვ. ერთ და იმავე კომპოზიციაში. ამგვარ აფერადებას გორაკების წვერებისას ჩვენ ვპოულობთ ჩინურ მხატვრობაში (საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეიაში დაცულია დიდი ზომის ჩინური სურათი, სადაც გორაკების აფერადება ანალოგიურ მოვლენას გვაძლევს). განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ გვარი აფერადება გორაკებისა. მათი ფანტასტიური ფორმა ინდურ-ჩინურ მხატვრობისათვის. საინტერესო ფორმას გვაძლევს გამოქვაბულის გამოსახულება და აფერადება ჩვენს მინიატიურებში. (ფ. 48, 50, 52, 54, 57, 60 და 63). გამოქვაბული ფანტანსტიური ფორმისაა და აქრელებულია სხვა და სხვა არა ბუნებრივ ფერადებით.

¹⁾ Д. Г о р д е е в, Несколько слов о лицевом списке Иосеб Зилиханиани библиотеки общества распространения грамотности среди грузинского населения в Тифлисе (из сборника С. Г. Мельниковой, Тифлисе, 1919).

ამ რიგის გამოქვაბულები ტიპურია ჩინურ-ინდურ მხატვრობისათვის. მცენარეთა მოსახულება, ყვავილების და განსაკუთრებით კი ხეებისა, თავისი ფორმით და აფერადებით მოგვაგონებს ჩინურ-ინდურ მხატვრობის ძეგლებს (ფ. 38, 45, 133 და სხვ.) მოქმედ პირთა ჩაცმულობა 'ძეიცავს ისეთ ელემენტებს, რომელიც ქართულ ჩაცმულობას ახასიათებს, მაგრამ იმავე დროს კი უცხო ელემენტებს უფრო მეტი ადგილი უჭირავს ჩაცმულობაში, ვიდრე ქართულს. სამწუხაროთ ჯერჯერობით ქართული ჩაცმულობის ისტორია ჩვენ არ გვაქვს და ამიტომ დეტალურად გარჩევა იმ მასალისა, რომელსაც გვაძლევს ჩვენი მინიატიურები, ჯერჯერობით დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაგრამ ის აუცილებელია, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით მივიღებთ ჩვენ სანდო შედეგებსა და დასკვნებს. ჩემ მიერ აღნიშნული არა ქართული ჩაცმულობის გადაჭარბება ქართულ რეალიებისა ჩვენთვის არაფერ მოულოდნელს არ წარმოადგენს. თვით პოემის შინაარსი ავალბდა მხატვარს წარმოედგინა არაბები, ინდოელები და სხვ. ამიტომ უცხო ტომთა გამოსახვის დროს რა თქმა უნდა მხატვარს უნდა გაეწია ანგარიში უცხოელთა მიერ მიღებულ დამახასიათებელ ეროვნულ ჩაცმულობისათვის. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე გამორკვევა იმისა, რამდენათ მხატვარმა სწორათ გამოსახა უცხო ტომთა მიერ მიღებული ჩაცმულობა, ზნეჩვეულება ხუროთმოძღვრება, რასაც მოითხოვდა პოემის შინაარსი. რაც 'შეეხება ტიპებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტიპები უმეტეს ნაწილად წმინდა ქართულია და სრულებით არ გავს მონღოლური ხასიათის ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო სპარსულსა და სპარსულ-მონღოლურ მხატვრობაში. საინტერესოა ერთი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული საერო მხატვრობის დახასიათებისათვის. ჩინურ-ინდურ მხატვრობის გავლენის წყალობით (განსაკუთრებულს მნიშვნელობა ჰქონდა ჩინურ გავლენის გავრცელების საქმეში მანიქეველთა სექტას) გაბატონდა მონღოლური ტიპი მხატვრობაში, რომელიც განსაკუთრებით დამკვიდრდა სპარსულ მხატვრობაში მონღოლთა ბა-

ტონობის დროს და სჭარბობს მე-XVIII საუკუნეებში, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრები უმთავრესად სპარსელები იყვნენ და სპარსელებს რასიულად არა აქვთ არავითარი ნათესაობა მონღოლებთან. ქართულმა საერო მხატვრობამ კი ძველ დროშივე მოგვცა ჩვენ ქართული ტიპი თვით უცხოელთა გამოსახვის დროსაც.

აღნიშნული სტილისტიური ხასიათი განხილულ ჯგუფის მინიატიურებისა მოწმობს, რომ მათ საფუძვლად აქვთ ძველ ვეფხის ტყაოსნის დასურათებული ხელნაწერი. ბოლოში მოთავსებული მინიატიურები უნდა იყოს მე-XVII ს. თავისი სტილისა და შესრულების თვალსაზრისით. საინტერესოა აგრეთვე რომ უკანასკნელ ჯგუფის ილუსტრაციებში ჩვენ ვერ ვპოულობთ იმავე ხასიათის ელემენტებს, რომელიც აღნიშნული იყო პირველ ჯგუფისათვის. მიუხედავად იმისი, რომ მეორე ჯგუფის მინიატიურების მხატვარი ცდილობს საზოგადოთ მიბაძოს პირველ ჯგუფის მხატვარს. განსხვავება მათ შორის დიდია. საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ პირველი ჯგუფის მინიატიურები არ შეიცავენ ვეფხიტყაოსნის გაგრძელების ილუსტრაციას, ხოლო მეორე ჯგუფის მინიატიურები კი გვაძლევს ჩვენ ზოგ შემთხვევაში ვეფხის ტყაოსნის გაგრძელების დასურათებას.

ამ გარემოებას აქვს დიდი მნიშვნელობა პირველი ჯგუფის მინიატიურების დედნის დათარიღებისათვის. პირველ ჯგუფის ილუსტრაციები არ წარმოადგენენ გამონაკლის ქართულ საერო მხატვრობაში. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში დაცულია ვეფხიტყაოსნის ხელნაწერი № 2074, რომლის ბორდიურების გარჩევა და მნიშვნელობა უკვე აღვნიშნეთ.

ამ ხელნაწერში დაცულია სამი მინიატიურა, რომელიც მე-XVII ს. უნდა ეკუთვნოდეს. პირველი მინიატიურა მოთავსებულია ხელნაწერის თავში; იგი, როგორც ორი დანარჩენი, ამოღებულია სხვა დასურათებულ ხელნაწერიდან. კომპოზიციის და სტილის მიხედვით პირველი მინიატიურა არსებითად განსხვავდება დანარჩენ ორ მინიატიურისაგან, თუმცა სამივე უნდა იყოს ერთი და იმავე ხანაში

შესრულებული. პირველ მინიატიურას საფუძვლად აქვს ძველი დედახი, ხოლო დანარჩენი ორი მინიატიურა წარმოადგენს ძე-XVII ს. ძეგლს და ერთი და იმავე მხატვრის ხელს უნდა ეკუთვნოდეს. პირველი მინიატიურა (29,5×18,8 სანტ.) გახმარტებულია 'ძემდეგი წარწერით: აქა ავთანდილისა და სოკრატის. ხმობა: და: თინათინის: გაბატონებას... [ბჭობენ]. მინიატიურა გვაძლევს სასახლის დარბაზის სურათს; როსტევეან ძეფე, ავთანდილი და სოკრატი ბჭობენ. სასახლის კედელზე ოთხკუთხედ ჩარჩოში გამოსახულია პეიზაჟი, ხე, პატარა რუ და ყვავილები, ჩვენ გვაქვს წმინდა პეიზაჟის გამოსახულება. სურათის ზედა ნაწილი წარმოადგენს სასახლის სახურავს. მარცხნივ გამოსახულია კვიპაროსი; სახლის სახურავის წინა რიგზე და არა უკანაზე ჩვენ ვპოულობთ იმ ხის ტოტებს ფოთლებით შემოსილს, რომელიც გამოსახულია სასახლის კედელზე ოთხკუთხედ ჩარჩოში. ამგვარი გამოსახვა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მხატვრის შეცდომას, რომლის ახსნა არ წარმოადგენს სიძნელეს. ოთხკუთხედ ჩარჩოში მოთავსებულ პეიზაჟს ჩვენ თუ მივიღებთ, იმ ბუნების გამოსახვად რომელიც მოსჩანს სასახლის სარკმლიდან ან და ღია კარებიდან, მაშინ ხის გაგრძელება უნდა ყოფილიყო სასახლის სახურავის შემდეგ უკანა რიგზე გამოსახული. მაგრამ ჩარჩოს ფორმა არ შეეფერება არც სარკმლის და არც ღია კარების ჩარჩოს. სასახლის კედელზე უნდა იყოს გამოსახული ჩინური სურათი; ჩინური სურათები გავრცელებული იყო მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი სპარსეთში. წმინდა პეიზაჟის გამოსახვა წარმოადგენს საკუთრივ ჩინური ხელოვნების მიღწევას; ჩინურმა მხატვრობამ ბევრად უფრო ადრე ვიდრე ევროპიულმა მხატვრობამ, მოგვცა წმინდა პეიზაჟის გამოსახვა მხატვრობაში. ჩვენი მინიატიურის ძველ დედაზე სასახლეში იყო გამოსახული კედელზე ჩინური სურათი, რომელიც ვერ გაუგია ახალ მხატვარს, რომელსაც მიუმატებია სურათის ზედა ნაწილზე და ისიც, როგორც აღვნიშნეთ, შეცდომით ხის გაგრძელება ფოთლიან ტოტების სახით.

რით აიხსნება ქართულ საერო მხატვრობაში ჩინურ-ინდური ელემენტები?

ლიტერატურული ცნობების მიხედვით სასანიანთა დროს სპარსეთში ყოფილა განვითარებული მხატვრობა. ამ მხატვრების შექმნას მიაწერენ მანიქეველთა სექტას დამაარსებელს მანის, რომელიც მოკლული იყო 275 წ. სასანიელთა მეფის ბაჰრამ I მიერ. ტრადიცია მანის სთვლის გამოჩენილ მხატვრად. სპარსელ მწერლობას განსაკუთრებით ფირდუსს აქვს ცნობა, რომ სპარსეთის წიგნთსაცავებში ინახებოდა მანის მიერ დასურათებული ხელნაწერები. ამ შემთხვევაში Franz Cumont¹⁾ აღნიშნავს, რომ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს იმავე მოვლენასთან, რომელიც ცნობილია ქრისტიანულ ხელოვნების ისტორიკოსისათვის. ოვთის მშობლის გამოსახულებას საეკლესიო ტრადიცია ჩვეულებრივად მიაწერეს ლუკა მახარებელს. ყოველ შემთხვევაში ძველად გავრცელებული ყოფილა მანიქეველთა წრეში ხელნაწერების დასურათება. არაბი მეცნიერი ჯახიზი IX ს. ²⁾ გადმოგვცემს, რომ მას არასოდეს არ უნახავს ისეთი დიდი ღირსების ქალაქი და დახელოვნებული კალიგრაფები, როგორც მანიქეველთა წრეში არსებობდაო. წმინდა ავგუსტინე აქებს აფრიკის მანიქეველთა დასურათებულ ხელნაწერებს.

ქრისტიანულ მწერლობისათვის, რომელნიც მანიქეველთა დასურათებულ ხელნაწერებს აქებენ, მანი წინასწარმეტყველია, ახალი სარწმუნოების დამაარსებელი; სპარსული გარდმოცემა მას უმთავრესად გამოჩენილ მხატვრად სთვლის. ფირდოუსი ამბობს, რომ მანი ჩინეთიდან გამოცხადდა სპარსეთში, რომელიც მხატვრობის საშუალებით ავრცელებდა თავის სარწმუნოებრივ შეხედულებას. სხვა გარდმოცემის მიხედვით მანი ერთი წლის განმავლობაში იმალებოდა ჩინეთში სადაც მან დახატა დიდი

¹⁾ Franz Cumont, Mâni et les origines de la miniature persane, p. 82-86 (Revue archeologique, t, XXII, juillet-août 1913)

²⁾ Franz Cumont, op. cit. p. 84.

სურათი. სპარსეთში დაბრუნების შემდეგ, ამ სურათით, ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი ღვთაებრივი დანიშნულება და ამბობდა, თითქოს მას ეს სურათი ზეცით მიეღოს. ¹⁾

მიუხედავად იმისა, რომ სპარსელი მწერლები კარგად იცნობდნენ მანის ეროვნულ ვინაობას, მაინც მას ჩინელ მხატვრად სთვლიდნენ. მანიმ, რომელიც სპარსელი იყო, პირველად ასწავლა სპარსელებს აბრეშუმზე წერა ახალი საღებავებით, რაც არსებითად ალბათ განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც ქმნიდნენ შუამდინარის სირიის მხატვრები.

მონასტრები მანიქეველთა მიერ დაარსებულნი ხდებიან ხელოვნების განსაკუთრებით კედლის მხატვრობის და მინიატიურის განვითარების ცენტრებად. მანიქეურ მხატვრობას ახასიათებს ჩინური და ნაწილობრივ ინდური მხატვრობის გავლენა. მანიქეველთა მნიშვნელობა სპარსული კულტურის ისტორიისათვის თან და თანობით ირკვევა.

ისლამურ მინიატიურის წარმოშობაში მანიქეველთა დიდი ღვაწლი მიუძღვის. მე-8 ს. არ არსებობდა ისლამური მხატვრობა. ისლამურ მხატვრობის უძველეს ძეგლად ა. მუზილის მიერ აღმოჩენილი კუსეირ-ამრის კედლის მხატვრობა ითვლება. ამ კედლის მხატვ. სტილი, ალიგორიული გამოსახულებანი ამტკიცებს, რომ მხატვრები უნდა ყოფილიყვნენ ან სირიელები ან და ბერძნები ²⁾. ნამდვილი ისლამური მხატვრობა ჩვენ გვაქვს მინიატიურის სახით. ისლამური მინიატიურა წარმოიშვა ნესტორიანთა და მანიქეველთა ზეგავლენით ბალდადში მე-IX ს. მანიქეველნი მერვე საუკუნეში მკვიდრდებიან შუამდინარეში და არაბი ხალიფები მათ მფარველობას უწყვიენ როგორც მწიგნობრებს და იმავე დროს გამოჩენილ მხატვრებს.

მე-X ს. აღმოსავლეთში იწყება ალორძინება სამანიდეების მმართველობის დროს (874 — 999), რომლის ცენტრი

¹⁾ Академик Ф. И. Шмит, Китай—Персия—Византия? стр. 313—327 (Новый восток, 1923, в. 4).

²⁾ Dr. Ernest Diez, Die Kunst der islamischen Völker S. 24—28.

არის ბუნარა. ხელოვნებას განსაკუთრებით ყურადღებით ეპყრობიან. სპარსეთის მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ფირდოუსის პოეზიას. გადმოგვცემენ, რომ მეფეს პოეტი-სათვის აუშენებია საგანგებო ბინა, რომელიც ყოფილა მონატული მეფეების და სახელგანთქმულ გმირთა სურათებით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფირდოუსისათვის მხატვრობის იდეალად ჩინური მხატვრობა იყო, გასაგები იქნება, როგორი იქნებოდა აღნიშნული მხატვრობა¹⁾. საშინელმა განადგურებამ. რომელიც განიცადა სპარსეთმა, მონღოლთა წყალობით, მოსპო ძველი მხატვრობის ძეგლები. გამარჯვებულნი ითვისებენ თან და თანობით სპარსულ კულტურას და ისლამს. სპარსეთი მე-XIV ს. ბოლოს კვლავ აღსდგა კულტურულად, ხელოვნება გასაოცარი სისწრაფით განვითარდა. მონღოლები უფრო ადრე იცნობდენ ჩინურ კულტურას ვიდრე სპარსულსა. მონღოლთა კარზე მრავალი ჩინელი მხატვარი მუშაობდა. მონღოლებს მწიგნობრებათ ყავდენ უიგურები, რომელნიც ძველდროიდანვე მანიქეველები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში უდიდესი მათი ნაწილი. მანიქეურ ელემენტებს ხელოვნებაში ჩვენ მე-XIII ს. ვპოულობთ. მანიქეველობა თავის თავად არ იყო უცვლელი²⁾; მან განვლო განვითარების რამოდენიმე ეტაპი; მანიქეველობაში ჩვენ ვპოულობთ რამოდენიმე მიმდინარეობას; ასკეტიური მიმდინარეობა დაკავშირებული იყო ბუდისტურ მიმართულებასთან, გასავალი ჰქონდა მას მხოლოდ განსაზღვრულ წრეში; განსაკუთრებული თავისუფლება აზროვნებისა და ზნე ჩვეულებისა ახასიათებს მანიქეველთა იმ წრეს, რომელშიაც ხელოვნება, პოეზია ჰყვარდა. მე-IX ს. არაბი პოეტის აბან ლახიკიას

1) Ф. Розенберг. Об индо-персидской и новоперсидской живописи, стр. 84 („Восток“, книга 2, 1923).

2) Die Religion in Geschichte und Gegenwart, B. IV, 1913 S. 121—123 (Tubingen).

K. Kessler, Mani, Manichaeer. Realencyclōpaedie für protestantische Theologie und Kirche, L, 1903, s. 163—228.

პოეზია¹⁾ თავისი ფორმით და განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებით არაფრით არ მოგვაგონებს ასკეტიურ მიმართულებას. მონღოლთა კარზე უიგურების გარდა, რომელთა უმრავლესობა მანიქეველობას მისდევდა, იყო სხვათა შორის ერთი სომეხი მანიქეველიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მანიქეველთა მხატვრობისა გამოიკვეთა მის შემდეგ, რაც აღმოსავლეთ თურქისტანში აღმოჩნდა მანიქეური და მწერლობის ძეგლები. დასურათებული ხელნაწერები. მეტად საინტერესო მასალა აღმოაჩინა ლეკოკის ექსპედიციამ ჩინურ თურქესტანში²⁾. სხვათა შორის ამ ექსპედიციამ აღმოაჩინა ორი სურათი VIII — IX საუკუნეების. რომელიც მოთავსებულია მანიქეურ ხელნაწერის ერთი ფურცლის თვითეულ გვერდზე. ერთ მინიატიურაზე გამოსახულნი არიან ორ მწკრივით თეთრ სამღვდლო ტანსაცმელში. ფოთლებით შემოსილ ხეების ქვეშ ქურუმები; თავზე ახურავთ მაღალი თეთრი ქუდები; ისინი სხედან და წერენ. მეორე გვერდზე კრელ ტანსაცმელიანი მუსიკოსები სხედან ხალიჩებზე. ეს ფრაგმენტები თუმცა ეკუთვნის უიგურთა შორეულ ქვეყანას, მაგრამ მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა; მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის სტილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ერთ დროს ბაღდადის მხატვრული სკოლის წარმოშობაში. კიუმონის აზრით³⁾ მინიატიურები ლეკოკის მიერ პოვნული შეიცავენ სასაზურ ელემენტებსაც.

¹⁾ А. Крымский, Абан Лахынкий, манихействующий поэт (ок. 750-815 г.). М. 1913.

²⁾ Von Le Coq. Chotoscho. Facsimile. Wiedergaben der wichtigeren Funde der erster Königlich Preussischen Expedition nach Turfan in Ost—Turkistan, Berlin 1913, f. 5. რადგანაც ეს გამოცემა ტფილისში არ მოიპოვება ვსარგებლობ ამ გამოცემიდან ამოღებულ სურათების გამოცემით Cumont-ის წერილში: Manietles origines de la miniature persane, f. 1 et f. 2 p. 83 et p. 84. (R. Arch. f. XXII 1913)

³⁾ Fr. Cumont, op' cit. p. 85.

მეტად საინტერესო ძეგლი აღმოაჩინა აგრეთვე რუსეთის სამეცნიერო ექსპედიციამ თურქისტანში 1909—10 წ. ს. თ. ოლდენბურგის მეთაურობით. მინიატიურა ნაპოვნია ტურფანში¹⁾ იგი წარმოადგენს ბევრს, რომელსაც ხელში უიგურული წიგნი უჭირავს, და დაწვრილებითი აღწერილობა მოყვანილი აქვს ს. თ. ოლდენბურგს. იგი სამწიგნაროთ არ ათარიღებს მინიატიურას; ჩვენის აზრით იგი უნდა ეკუთვნოდეს დაახლოვებით იმავე ეპოქას, რომელსაც ეკუთვნის ლეკოკის მიერ გამოქვეყნებული ფრაგმენტები.

აღნიშნული მინიატიურები გვაძლევს მეტად საინტერესო იკონოგრაფიულ ტიპს; პირველი მინიატიურა ლეკოკის მიერ გამოცემული და ს. თ. ოლდენბურგისა გვაძლევს მწერლის ტიპს (პირველ შემთხვევაში ჩურჩინები სხიდან და წერინ. ბერი ზის და ხელში წიგნი უჭირავს). მანიქეურ ხელოვნებაში შემუშავდა მწერლის ამგვარი გამოსახულება, რომელიც საფუძვლად დაედვა ჩვენი მოსაზრებით, ისლამურ ხელოვნებაში მიღებულ პოეტის გამოსახულების ტიპს. ქართულმა საერო მხატვრობამ იმავე წყაროდან შეიმუშავა მგოსნის ტიპი, რომელსაც გვაძლევს ჩვენ შოთას ორივე პორტრეტული გამოსახულება. ამ საკითხს ჩვენ უფრო დაწვრილებით ცალკე განვიხილავთ.

ამ რიგად მანიქეურ მხატვრობას ჰქონდა იიდი მნიშვნელობა მუსლიმანურ მხატვრობის წარმოშობისათვის. იგი არსებობდა თითქმის მე XIII ს. და მას სხვათა შორის უმთავრესად ახასიათებდა ჩინური ელემენტები და ნაწილობრივ ინდურიც.

ქართულ მინიატიურების განსაზღვრული ჯგუფი ზოგ შემთხვევაში, როგორც წინეთ გამოვარკვით, ამავე ელემენტებს შეიცავს. ამიტომ აღნიშნული ჯგუფის მინიატიურები უნდა წარმოშობილიყო ისეთ ქართულ სამხატვრო წრეში. რომელშიაც (კოკხალი იყო მანიქეური მხატვრობის ტრადიციები დაახლოვებით არა უგვიანეს მე-XIII ს.

1) С. Ф. Олденбург, Русская туркестанская экспедиция 1909-1910 г. Спб. 1914 г. рис. 68, стр. 78.

შოთას პორტრეტის შესახებ ვრცელი გამოკვლევა არსებობს, რომელიც ეკუთვნის პ. ინგოროყვას.¹⁾ მკვლევარი არჩევს იმ მინიატიურას, რომელიც პირველად გამოსცა გაგარინმა, და რომლის დედანი ამ უამად ინახება უნივერსიტეტის სიძველეთა საცავში. მამუკა მდივნის მიერ გადაწერილ ვეფხვის ტყაოსანში მოთავსებულ სურათს დ. პ. გორდეევი, სთვლის შოთას უძველეს პორტრეტულ გამოსახულებად. პავლე ინგოროყვა ათარილებს შოთას პირველ პორტრეტულ გამოსახულებას მე-XV ს. (1465-1498). ორივე პორტრეტული გამოსახულება ჩვენ მეტად საინტერესო მასალას გვაძლევს სხვადასხვა დროისას და სხვადასხვა მეცნიერულ ღირებულებისას.

მამუკა მდივნის მიერ გადაწერილ ვეფხვის ტყაოსანში მოთავსებული პორტრეტული გამოსახულება შოთას არ არის ძველი. იგი უნდა ეკუთვნოდეს ხელნაწერის გადაწერის და დასურათების დროს. ე. ი. 1664 წ. შოთა ზის და უკარნახებს მის პირდაპირ მჯდომარე მდივანს თავის პოემას. მას ტანს აცვია მე-XVII ს. ტიპიური ტანსაცმელი. შოთა წარმოდგენილი ყოფილა თავდაპირველად უწვირებოდ მერმე ტლანჩი ხელით ვილაცას შავი მელნით წვერები დაუხატავს. მამუკა მდივანს ხელთ არ ჰქონია შოთას ძველი პორტრეტული გამოსახულება.

მეორე პორტრეტული გამოსახულება პოეტის გარკვევით უფრო ძველია, როგორც ეს პირველად დაამტკიცა პ. ინგოროყვამ. შოთას პორტრეტის ტიპის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმოიშო მანიჩიურ მხატვრობის წრეში. პოეტის გამოსახულებას ისლამურ ხელოვნებაში საფუძვლად აქვს მანიჩიური მხატვრობის მიერ შექმნილი ტიპი მწერლისა. ჩართულ მხატვრობაში ცნობილია მახარებელთა ტიპის გამოსახულება, რომელიც ელლინისტური წარმოშობისაა და საქართველოში მიიღო ბიზანტიური ხელოვნებიდან მე-IX ს. (აღიშის სახარების მინიატიურები). ჩართულმა ხელოვნებამ

¹⁾ პ ა ვ ლ ე ინ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, ტფილისი 1926 (შოთას იკონოგრაფია გვ. 348—374).

მახარობელთა გამოსახულება იცის ორი იკონოგრაფიულად სხვადასხვა ტიპისა. პირველი ტიპი გვაძლევს მახარობელთა გამოსახულებას en face — წიგნით ხელში, მთელი ტანით (ჯრუჭის სახარება გადაწერილი 936 წ. და დასურათებული 940 წ. მე-VI ს. ორგინალების მიხედვით). მეორე ტიპი წარმოადგენს მახარობელს, რომელიც ზის ჩაფიქრებული მაგიდის წინ და წერს. მეორე ტიპის წარმოშობას ი. სტრიგოვსკი მიაწერს სირიულ-ეგვიპტურ მხატვრულ წრეებს. მეორე ტიპი განსაკუთრებით გავრცელდა ქართულ და ბიზანტიურ მხატვრობაში მე-X ს. და განდიგნა პირველი ტიპი. ადიშის სახარება მე-IX ს. გვაძლევს მახარობელთა გამოსახულების ორივე ტიპს.

შოთას გამოსახულებას არავითარი გენეტიური კავშირი არა აქვს ქართულ საეკლესიო მხატვრობაში მიღებულ მახარობელთა მეორე ტიპთან, რომელიც წარმოიშვა ელლინისტურ ხელოვნებაში მიღებულ პოეტის გამოსახულების ტიპისაგან. შოთას პორტრეტული გამოსახულება მომდინარეობს, როგორც აღვნიშნეთ, ქართული საერო მხატვრობის სულ სხვა წყაროდან.

შოთას პორტრეტს, როგორც პავლე ინგოროყვამ აღვნიშნა, ძველ დროშივე მიუღია განსაკუთრებული მნიშვნელობა. შოთას პორტრეტი თავისი ატრიბუტებით ქართულ მხატვრობაში გარდაიქცა პოეტის გამოსახულების დაკანონებულ თავისებურ იკონოგრაფიულ ტიპად. პატრიარქისტეფორე კასტელის მიერ დახატული სურათი 1640 წ. გურია-ოდიშში განთქმულ პოეტის სულხან ავთანდილის ძისა¹⁾, შეთხზულია, ალბად პოეტის სურვილის თანახმად, შოთას პორტრეტის მიხედვით.

შოთას პორტრეტის აღწერას ჩვენ აქ არ შევუდგებით, რადგანაც პავლე ინგოროყვამ მოგვცა გრძელი აღწერა და ანალიზი შოთას პორტრეტისა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მე ვიზიარებ იმავე შეხედულებას მინიატიურის ბორ-

¹⁾ Материалы по Археологии Кавказа, в XIV, М. 1916 г. тб. 1, 2.

¹⁾ ვეფხისტყაოსნი ს. კაკაბაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1927 წ. გვ. XXXVI.

დიურის დათარიღებაში, რომელიც მოყვანილი აქვს პ. ინგოროყვას. შოთას ჩაცმულობა; გრძელი კაბა, მოკლე სახელოებიანი წითელი ყაბარჩა ბეწვ მოვლელი არშიებით, წამოსასხამი ძვირფასი ბეწვეულით მოვლებული, ამტკიცებს, რომ პორტრეტის ორიგინალი ძველია. გრძელი კაბა, ყაბარჩა და წამოსასხამი დამახასიათებელია ქართულ ისტორიული მხატვრობისა მე-XII — XIII ს. ამიტომ ჩვენი მინიატიურის დედანი მე-XIII ს. უნდა ეკუთვნოდეს. შოთას პორტრეტი, რომელსაც გვაძლევს განხილული მინიატიურა წარმოადგენს პოეტის უძველეს გამოსახულებას; თუმცა იგი, როგორც წერის მანერა ამტკიცებს, მე-XV საუკუნეზე ძველი არ არის, მაგრამ იმეორებს ძველ ორგინალს, რომელიც მე-XIII ს. უნდა ეკუთვნოდეს.

საინტერესოა ერთი გარემოება პოეტის პორტრეტულ გამოსახულებისა, რომელიც ჯერ ჩემთვის სავსებით გამორკვეული არ არის. ეს არის მაღალი ბეწვეულის ქუდი. მაღალი ქუდი ცნობილია ისტორიულ მხატვრობაში მე-XII ს. (ბეთანიის მხატვრობაში დაცული აღმაშენებელის სურათი). ბეწვეულის მაღალი ქუდი ჯერ შემჩნეული არ არის ქართულ ისტორიულ მხატვრობაში; შოთას პორტრეტი წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის ახსნა ჯერ ჯერობით ძნელია.

რაც შეეხება პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ოქროს კალმის შესახებ (ბატის ფრთის სახით), როგორც ემბლემის, უნდა ითქვას, რომ ეს დებულება წარმოადგენს საინტერესო მოსაზრებას, მაგრამ ჯერ ჩვენ არ გვაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები.

*

* *

ქართული საერო მხატვრობის მიმოხილვას ჯერ-ჯერობით დავამთავრებთ ვეფხიტყაოსნის მინიატიურების განხილვით. ქართული საერო მხატვრობა ჩვენ გვაძლევს აგრეთვე სხვა მეტად საინტერესო მასალას. ქართული საერო მხატვრობის განხილვა შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული მთელი მასალა, რომელიც არ-

სებობს. ჩემი მიზანი იყო რამოდენიმე ნიმუშის გარჩევის წყალობით გამომერკვია, რამდენად საინტერესო მასალას გვაძლევს ქართული კულტურის ისტორიისათვის ქართული საერო მხატვრობის ის მცირე მასალა, რომელიც მოყვანილი გვქონდა.

ქართული საერო მხატვრობა წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომლის ისტორიული წარმოშობა ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის. იგი წარმოადგენს რამდენადაც ეხლა ირკვევა დამოუკიდებელ მხატვრულ მოვლენას და განსხვავდება აღმოსავლეთ ქვეყნების მხატვრობისაგან თავის სტილით, ტექნიკური შესრულებით, მოქმედ პერსონაჟის ტიპოლოგიით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავის საერო კულტურით დაკავშირებული იყო მუსლიმანურ ქვეყნებთან და ხშირად აქტიურ მონაწილეობას იჩენდა თვით მუსლიმანურ ქვეყნების კულტურის შექმნაში.



ჩემი ავტობიოგრაფია.

ჩემი დაბადება და ბავშობაც თითქმის ზღაპრულია, თუ გავიმეორებ დედაჩემის ნაამბობს. მამაჩემი—მოხუცი შოტლანდიელი, დედა — ახლაგაზრდა გურული ქალი (ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია). მე დავიბადე ქალ. ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ეგრედ წოდებულ „ფერმაში“, სადაც მამა ჩემი ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლას. აქ მამა ჩემის მიერ იყო გაშენებული დიდი ბაღი სუბტროფიულ ფლორის ნიმუშებიდან. აქ იყო მაგნოლიების მთელი ტყე.

დედა-ჩემს ქონდა მიღებული შინაური განათლება, მამა კი უნივერსანტი იყო, ბუნების-მეტყველი და ისტორიკოსი. ყველაზე მეტად მამას აინტერესებდა ბოტანიკა. მატერიალურ გაჭირვების დროს მან დაიწყო მებაღეობა კავკასიაში. მან პირველად მოახდინა იბლიანი ცდა ჩაის ხის დარგვისა გურიაში.

თუმცა მამის ნათესავების მხრივ იყვნენ ფრანგებიც, რუსებიც და ესპანელებიც (ნათესავები მისი პირველი ცოლისა), მე გავატარე ბავშობა განსაკუთრებით ქართველებს შორის. ჩვენ ძალიან ადრე გადავსახლდით ქალ. ოზურგეთში, ქართველ ფეოდალების ღარიბ შთამომავლის ოჯახში; და აქ მე მაგონდება შეხვედრები, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე ჩამოსულ ქართველ მსახიობებთან და პოეტებთან, აგრეთვე ურთიერთობა მოსამსახურეებთან — მეჯინიბესთან და მემიმინოებთან, რომელნიც ყოველთვის გარშემოხვეულნი იყვნენ მწევრებით და მეძებრებით. აქვე, ეზოში ოსმალ-ბავშვები და მათი მშობლები,

უფრო ხშირად დედები, დაჭერილნი „კორდონზე“ (რამოდენიმე ვერსის მანძილზე იყო ოსმალეთის საზღვარი) მთელ დროს ვატარებდი ბურთაობაში და სირბილში, რამიდაც არ მყავდა მეტოქე. ყოველსაღამოს ქალიშვილი ქართულ სოფლიდან მიაშობდა სულ ახალ ახალ ქართულ ზღაპრებს, რომელნიც ჰგავდნენ შეხერხებას ზღაპრებს. აქვე გვერდით მამა ინგლისურ გაზეთით ან ინგლისურ წიგნით. შემდეგში იმ მწარე შენიშვნებიდან, რომელიც მე ამოვიკითხე მამისაგან დარჩენილ წიგნზე „მაკლეს სიტყვები), მე გავიგე რომ მამაჩემი იყო კონსერვატორი. მაგრამ მე მაშინ, ბავშობისას, არ შემეძლო ამაზე მსჯელობა, თვითონ ინგლისური კითხვა მე ვისწავლე გაცილებით უფრო გვიან. მამისაგან მე მივიღე ერთად ერთი დღოცვა: „არაფერი სახეირო შენგან არ გამოვა“. ეს ნათქვამი იყო მის მიერ დიდ დაკვირვების შემდეგ ჩემს თამაშზე და ჩემგანვე გაკეთებულ სათამაშოებზე. დედა პირიქით ამყარებდა გადამეტებულ იმედებს თავის შვილზე. ის ხედავდა ჩემში ყოველივეს, რაც მიაჩნდა მას იდეალურად. მაგალითად, მას უფრო მოსწონდა ქერა ადამიანი და ის არწმუნებდა ყველას, რომ მე გავშავდი მხოლოდ ზაფხულის მზისაგან, რომ თითქოს მე ყოველთვის თეთრი ვიყავი და წაბლის ფერი თმა მქონდა. (მე ყოველთვის მახსოვს ჩემი თავი შავგვრემანი, თითქმის შავი).

მამას და დედას არა ჰქონდათ საერთო ენა. მამა გარდა მშობლიურ ინგლისურ ენისა თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად; დედამ იცოდა მხოლოდ ქართული. ურთიერთობამ ფორმალურად შექმნილ ენაზე, რომელშიდაც არეული იყო დამტვრეული რუსული და ქართული სიტყვები, თავისებური გავლენა მოახდინა ჩემს ლექსიკონზე. მაგრამ საზოგადოთ მე მიმაჩნია სამშობლო ენად ქართული, უფრო კი გურული კილო. პირველი წერა-კითხვა მე ვისწავლე ქართულ ენაზე. შემდეგ მამასთან მეცადინეობა ფრანგულ ენაში, ქართული ასოების სარგებლობით ფრანგულ სიტყვებისათვის.

პირველი მეცადინეობა სამაზრო სასწავლებელში იწყება ცელქობით და გადამეტებული სიცილით., რომელიც

ედებოდა მთელ კლასს, რისთვისაც ძალიან ხშირად მტო-
ვებდენ უსადილოთ. ამ სასჯელის ტექნიკა იყო ასეთი: მე
მართმევდენ ქუდს და მტოვებდენ სკოლაში უყურადღე-
ბოდ; მაგრამ მე ეს არ მაკავებდა და მივიპარებოდი სახლ-
ში. თავდაუხურავი სასადილოთ, რის შემდეგ შეუმჩნე-
ვლად ვბრუნდებოდი სასწავლებელში და ველოდი, როდის
მომცემენ ქუდს.

რვა წლის ვიყავი, როდესაც მამა დანკარგე. ის დაასაფ-
ლავეს დიდი ამბით. მე და დედა-ჩემი ფაქტიურად უპატ-
რონოთ დავრჩით. ყველას ეგონა, რომ მე განწირული ვარ,
რომ მე ვიქნები უვიცი და მამისაგან დარჩენილ წიგნების
წაკითხვასაც ვერ შევსძლებ. სხვათა შორის ამ წიგნებს ეწ-
ვია სასტიკი ბედი — მამა-ჩემის ბიბლიოთეკა ჩვენი სახ-
ლის თავანზე ელაგა, და შემდეგ გამოყენებული იყო ბუხ-
რის დასანთებად, და კედლებისათვის შპალერის მაგივრად.
ნათესავეებმა მალე გამოგვრეკეს სახლიდან. დედამ მოახერ-
ხა ჩემი მოთავსება კლასიკურ გიმნაზიაში — ეს იყო პა-
ტივისცემა მამაჩემისადმი, რომელიც მოღვაწეობდა სა-
სოფლო მეურნეობაში. მე გიმნაზიაში მიმიღეს, მიუხე-
დავით ჩემი მოუმზადებლობისა განსაკუთრებით სამღვთო
სჯულში. ამ შემთხვევაში მე გადამარჩინა დირექტორის
განცხადებამ ჩემი ინგლისელობის შესახებ. პირველმა ჩემ-
მა წერიტი შრომამ რუსულ ენაში მოახდინა შემადრწუნე-
ბელი შთაბეჭდილება: იქ იმდენი შეცდომა იყო, რამდენიც
მარცვალია, ასოები თუ არა. მაგრამ რუსული ენის მას-
წავლებელმა ბლაგოდაროვმა რატომღაც მომაქცია ყურად-
ღება, უვიც ბავშვში მან დაინახა ნიჭიერი მოწაფე. მე გა-
მივიარდა სახელი სხვა დარგში, სადაც ჩვეულებრივად ხდე-
ბოდა ბავშვების ნამდვილი ჟღერა — ეს იყო ლათინური
ენა. კლასში, რომელიც განსაკუთრებით შედგებოდა ქარ-
თველებისაგან, არავის არაფერი არ გაეგებოდა, რადგანაც
მკვდარ ენას ასწავლიდენ რუსული ენის საშუალებით, რომ-
ელიც აგრეთვე გაუგებარი იყო მოწაფეებისათვის. მე კი,
მოულოდნელად გამოვდექი საუკეთესო ლათინისტი. მე
მიხდებოდა სუსტ მოწაფეებისათვის შრომების წერა და
ექსტემპორალიების შესრულება ლათინურად. უარის

თქმისთვის ან ცუდი შესრულებისათვის — მცემდენ სასტიკად, ერთხელ კიდევაც დამჭრეს დანით თეძოში. ხანდახან მასწავლებლები მიჭერდენ დანაშაულის ჩადენის დროს და მსვამდენ კარცერში, რომელიც იყო ერთი დაწესებულების გვერდით, რომლის სუნი ახლაც მაგონდება ძალიან მწვავედ. პივრელი წიგნი, რომელიც მე წავიკითხე ქართულ ენაზე იყო ზღაპრების კრებული, რუსულ ენაზე კი (უკვე გიმნაზიაში, მეორე კლასში) — „რობინზონ კრუზო“. წიგნებმა გადამიშალეს ახალი სამყარო. დედა-ჩემი, კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მეგრელს გაჰყვა ცოლად. შეძლებისდაგვარად ის თვალყურს მადევნებდა, მაგრამ პანსიონი და წიგნი იყო ის სამყარო, რომელშიდაც მე უმთავრესად ვსცხოვრობდი. ჩემი დაუდგრომელი ხასიათი აწუხებდა მასწავლებლებს, რომელნიც კარგად მეპყრობოდენ. ყოველი ჩემი ცელქობისათვის შეეძლოთ ჩემი გამოგდება გიმნაზიიდან მგლის პასპორტით. მაგრამ მე ყველაფერს მაპატიებდენ, რადგანაც მათასებდენ, როგორც მომღერალს და გიმნაზიის ორკესტრის მონაწილეს. (მე უკრავდი კლარნეტზე). უნდა ითქვას, რომ აქაც, საქმე არ თავდებოდა უსკანდალოთ, რაიც ახდენდა გავლენას ჩემს ნიშანზე ყოფაქცევაში. მე საშინლად მიყვარდა სირბილი, რაც უბედურებით გათავდა. ერთხელ მე ვიღებე ფეხი. ავადმყოფობა გართულდა და სპეციალისტების კონსილიუმის კომპეტენტურ გადაწყვეტილებით ჩემთვის ფეხი უნდა მოეჭრათ. მხოლოდ დედა ჩემმა უარი განაცხადა ფეხის მოჭრაზე, მე გადავურჩი დასახიზრებას და ადგილობრივი ქირურგის დახმარებით, რომელიც ძვლის ჩამყენი იყო, მე ფეხი მოვირჩინე. ამის გამო მე გამოვტოვე მეცადინეობის მთელი ნახევარი წელიწადი. დედას არაფერი გააჩნდა, ის უსახლკარო იყო. ამ დროს სკოლაში შემოიღეს ბერძნული ენა, მე ვაპირებდი გიმნაზიის დატოვებას და ტელეგრაფისტად შესვლას, რომ გამომეკვება რამენაირათ საკუთარი თავი და დედა ჩემი. მაგრამ დედა არ დამეთანხა ამაზე. ბერძნულ ენაში რომ დავწვოდო ამხანაგებს, მე ვმეცადინეობდი შაბის უქმეებზე, ქართულ ქოხში, რომელსაც არ ჰქონდა არც

ქერი და არც იატაკი, სიცივეში, ცეცხლის მკრთალ სისათ-
ლეზე. მე მოვახერხე მაინც მეცადინეობა და, როცა დავ-
ბრუნდი გიმნაზიაში, ვაოცებდი ძველ ენების მასწავლებ-
ლებს იმით, რომ წინასწარ ვხვდებოდი მათ განმარტებას.
მე ვიშოვე ამ მიზნით გერმანული კომენტარიები, რომე-
ლითაც ისინი თვითონ ემზადებოდნენ. გიმნაზიაში სწავ-
ლობდნენ ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს, ინგლისურს,
ბერძნულსა და ლათინურ ენებს, და რადგანაც მე მქონდა
კარგი მოწაფის სახელი, მე გადავდიოდი კლასიდან კლას-
ში, თუმცა უფრო ხშირად ვკითხულობდი წიგნებს,
ვიდრე ვამზადებდი გაკვეთილებს. ჩემს უცნაურ პა-
სუხებს მოუმზადებლობის თუ უყურადღებობის გამო
ხსნიდნენ ჩემი ჭირვეულობით. მე გატაცებული ვიყავი
ლიტერატურული მოღვაწეობით ქართულ ენაზე, ვწერ-
დი ლექსებს და ვცემდი გაზესთ, რის გამო მე შევეჩ-
ვიე ქართული სიტყვის ტენიკას, რომელიც შემდეგში გა-
დაიქცა ჩემი სპეციალობის საგნად. მაგალითად, მე მოვა-
თავსე ქალაქ ბათუმის სახელწოდების განმარტება, სხვა სა-
გაზეთო წერილების რიცხვში, ესე იგი გაბედულად ვამუ-
შავებდი საკითხს ისტორიულ ტოპონიმიკიდან, რომელიც
გადაიქცა ჩემ სპეციალობად უკნასკნელ წლებში.

პასუხად ცნობილ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს.
რომელმაც დასწერა 1 მარტის 1881 წლის ამბავის შესახებ
(ალექსანდრე მეორის მოკვლა) („ჩრდილოეთიდან მოფრე-
ნილი ჩიტის სასიხარულო სიმღერა“, მე მოვათავსე გა-
ზეთში ლექსი „მოწოდება“ — მოქმედებისაკენ, ჭიკჭიკის
მაგივრად.

კლასიკების კითხვა ფრანგულ და გერმანულ ენებზე
შეიცვალა რომანტიულ ლიტერატურის კითხვით, აგრეთვე
ზოლათი („რუგონების ოჯახი“). დიდი შთაბეჭდილება
მოახდინა ჩემზე წაკითხულმა გერმანულ ორიგინალში, იმ
დროს შერრის პოპულიარულმა წიგნმა „მსოფლიო ისტო-
რიის კომედია“. მოვიხსენიებ გიმნაზიიდან ორჯერ გაქ-
ცევას. პირველად გავიქეცი ტფილისში, ბოტანიკურ ბაღ-
ში, რომ მემუშავნა ბოტანიკაში. მაგრამ უსახსრობის გა-
მო მე გავხდი ბიბლიოთეკაში მომუშავე. გიმნაზიის მთავ-

რობამ გამომიგზავნა სარეკომენდაციო წერილი, რომელიც მიმართული იყო ხელისუფლებისა და დაწესებულებებისადმი, რომ ჩემთვის აღმოეჩინათ დახმარება, როგორც სამეცადინეოთ მივლინებულისათვის. მეორედ მე გავიქეცი გიმნაზიიდან, რადგანაც არ მსურდა ჩამებარებინა გამოცდა სიმწიფის მოწმობაზე, თუმცა სრული საშუალება მქონდა მიმეღო ოქროს მედალი. მე ისე ვიყავი გატაცებული ბერძნულ ენით, რომ მინდოდა მისი ზედმიწევნით შესწავლა უნივერსიტეტში შესვლამდე. სადაც ვაპირებდი მედიკურ ფაკულტეტზე მეცადინეობას. ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა შლეიდენის წიგნის „ზღვის“ კითხვა, სადაც ბლომად იყო ციტატები ბერძნულ ავტორებიდან, და მე გადავწყვიტე იმდენად შემესწავლა ბერძნული, რომ სრულიად შემეთვისებია ის. და აი კლასიციზმის ძალდატანებით გავრცელების დროს გიმნაზიაში, ჩემი სურვილი — დავრჩენილიყავი გიმნაზიაში კიდევ ერთი წელიწადი — ბერძნული ენის შესწავლისათვის, მიჩნეული იყო ფსიქიურ შეშლილობის დამამტკიცებლად, და მე გიმნაზიიდან გამომრიცხეს. გადამწყვეტი ნაბიჯი ბუნებისმეტყველებიდან და მედიცინიდან ფილოლოგიისაკენ, კერძოდ კავკასიის მცოდნეობისაკენ. მე გადავდგი ისტორიის მასწავლებლის სტოიანოვის ზეგავლენით, რომელიც კავკასიის ეტნოგრაფიის კვლევა-ძიებას ეწეოდა და მოგზაურობდა სვანეთში; აქ იყო აგრეთვე გავლენა. ფრანგული ენის მასწავლებლის ნარბუტის, რომელმაც შემათვისებინა მეთოდი რომანულ ენის შესწავლისა და ამ ახალ ენების დამოკიდებულებისა ლათინურ ენისადმი.

ხეთმეორედ მიღებულმა გიმნაზიაში, მე წარმატებით დავასრულე ის და გადავწყვიტე წინააღმდეგ ყველა რჩევისა შევსულიყავი აღმოსავლურ ენების ფაკულტეტზე. მასწავლებლები და ზოგიერთი ამხანაგები მეუბნებოდნენ: „ნუ მარხავ შენს ნიჭს, ნუ ღუპავ შენს თავს? რა უნდა გამოვიდეს შენგან ბოლოს და ბოლოს? მასწავლებელი ქართული ენისა, ესე იგი სოფლის მასწავლებელი და მეტი არაფერი“. ამის შემდეგ მე ყველას უსმენდი, ვინც რჩევას მაძლევდა. რომ, ხშირად მოვქცეულიყავ სრული-

ად სხვანაირად. მე კიდევ მაშინ დავისახე მიზნად გამომერკვია ქართული ენის წარმოშობა, კიდევ მაშინ მე ვადარებდი მას ჩემთვის ერთად ერთ ცნობილ, მეზობელ, აღმოსავლეთურ, ოსმალურ ენას. ეს აზრი, შემდეგში დროებით უკუგდებულ, ნამდვილათ არის ერთი უმთავრესი მეცნიერული და საზოგადოებრივი პრობლემა, რომელიც ეხლა წამოაყენა იაფეტიურმა თეორიამ; ჩვენთვის. სხვათაშორის ეს პრობლემა კი არ არის, არამედ არსებითად უდავო დებულებაა, რომელიც მოითხოვს დამუშავებას ოსმალურ მასალების მიხედვით. მე ვმაცადინებდი უნივერსიტეტში სამ დარგში: კავკასიურში, სადაც მაშინ იყო მხოლოდ სომხური და ქართული ენები, არაბული სპარსულ ოსმალურში და სემიტურში, სადაც მაშინ იყო ებრაული, არაბული და სირიული ენა, რომელიც ეკუთვნოდა ეგრედ წოდებულ ქალდეურ ენების ჯგუფს. 1836 წელს — არსებულ ენის შესწავლის დროს მე გამოაცა ქართულ ენის ნათესაობამ სემიტურ ენებთან. ჩემს განკვირებას ამის შესახებ შეხვდენ ძალიან სკეპტიკურად. ცნობილი ორიენტალისტი როზენი (არაბისტი) მიწინასწარმეტყველებდა სრულ დამარცხებას, ის ამბობდა: — რომ ეს მართალი ყოფილიყო, ისინი არ დაუცდიდენ კავკასიიდან ვისიმე ჩამოსვლას, და ეს დიდი ხანია ცნობილი იქნებოდა. ამხანაგებიც არ შეხვდენ უკეთესად ჩემგან დასმულ პრობლემას. მე იძულებული ვიყავი უფრო ღრმად შემესწავლა სემიტური ენები და ამ დარგის ლინგვისტიური ლიტერატურა. კავკასიელ სტუდენტების ნაციონალურ წრეში ყველაზე უფრო ადრე მხარი დამიჭირეს ქართველებმა, რომელნიც ნდობით მიყურებდენ გიმნაზიიდანვე. შემდგომ, როდესაც მე დავიწყე შემთხვევით ყოფილ ქალაქ ანის გათხრა. სომხები, ჩემი ამხანაგები უნივერსიტეტიდან, აგრეთვე მიჭერდენ მხარს. ქართველებთან მე მარტობდა საზოგადოებრივი აზრი. მახსოვს, სტუდენტობის დროს, მე და ერთი ჩემი ამხანაგი ფიცს ვაძლევდით ერთმანეთს, არ დაგეყარა იარაღი, სანამ არ გავანთავისუფლებდით საქართველოს. შემდეგში ის იყო ბანკის დირექტორი, მე კი აკადემიკოსი.

1888 წელს დაიბეჭდა პირველად ჩემი შრომა „ქართული ენის ნათესაობა სემიტურ ენებთან“, ეს შრომა დაწერილი იყო ფარულად, და დაბეჭდილი იყო ქართულ ენაზე გაზეთში შემდეგი სათაურით „ქართული ენის ბუნება და თვისებები“. მას შემდეგ აკადემიური ცხოვრების საერთო პირობები არ მაძლევდენ საშუალებას საჯაროდ დამემუშავებინა ეს პრობლემა სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე 1903 წელში, მხოლოდ 1908 წელს გამოქვეყნდა იაფეთიური თეორია შემდეგი სათაურით „წინასწარი ცნობა ქართული ენის ნათესაობისა სემიტურ ენებთან“. წერილი წარმოადგენს შესავალს „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითად ტაბლიცებში“ და პირველი ცდა ზმნების სტრუქტურის ახსნისა ხსენებულ ენაში. შრომა მიძღვნილია ჩემი ხელმძღვანელის, პროფესორ სემიტოლოგ როზენის ხსოვნისადმი, რომელზედაც მე დავალეული ვარ უმთავრესად შეთვისებულ ჩემს მიერ მეცნიერულ მეთოდით და კიდევ იმით, რომ მე დამტოვეს უნივერსიტეტის მეცნიერულ წრეში. ის გარდაიცვალა სამი დღის შემდეგ მის მერე, რაც მე წაუკითხე მას უკვე დაბეჭდილი წინასიტყვაობა შრომისა „ქართული ენის ნათესაობა სემიტურ ენებთან“. ის არა ერთხელ მაწყვეტინებდა კითხვას და აღევლებულად ამბობდა: თქვენ ყველაფერი დაგიმუშავებიათ, ყოველივე ეს ნათელია და დამტკიცებულია. წინად კი ის მიწინასწარმეტყველებდა სრულ დამარცხებას.

კიდევ სტუდენტობის დროს მე გავხდი უნებლიეთი მიზეზი ქართული ენის პროფესორის წყენისა, რომელსაც ვერ მოენელებია ჩემი ლინგვისტიური და ლიტერატურულ-ისტორიული დასკვნები, და ის ცდილობდა ჩემი სადიპლომო შრომის გაბათილებას. ის ხედავდა ჩემში პრეტენდენტს მის კათედრაზე, თუმცა მე არ მეხარბებოდა კათედრა და მინდოდა სამშობლოში მუშაობა. მაგრამ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანტიეროვნული პოლიტიკა სთვლიდა ქართულ და სომხურ ენების შესწავლას, ნაციონალურ მეტიზმობის აქტად და ცდილობდა დაეთესა კავკასიის ხალხთა შორის იდეოლოგიური განხეთქლებანი,

და ყოველვე ეს არ ჰქმნიდა ნორმალურ პირობებს მუშაობისათვის. 1889 წელს კავკასიის სამოსწავლო ოლქმა წინადადება მომცა წავსულიყავი სვანეთში; მაგრამ ქართველების წრეში იზრდებოდა უკმაყოფილება მის გამო, რომ მე ვამტკიცებდი ქართულ მწერლობის კავშირს სპარსულ მწერლობასთან და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმოშობას სპარსულიდან; ეს უკმაყოფილება გადაიქცა დიდ აღშფოთებად, როდესაც მე შეუდექი იმის გამოკვლევას, რომ ქართული მწერლობის პირველი ნაშთი—სახარება,, გადათარგმნილი იყო სომხურიდან. მე უნდა დავბრუნებულიყავი პეტერბურგში და გამეცხადებია თანხმობა არმიანისტის პროფესორ ივ. პატკანოვის წინადადებაზე — მზადება დამეწყო სომხურ ენის, სიტყვიერების და მწერლობის კათედრისათვის. გებრაისტ დ. ა. ხვოლსონის (მამა ფიზიკის პროფესორის ხვოლსონის) ვაკლენით მე საბოლოოდ გადავწყვიტე ამელო სპეციალურად სომხური ენა. მე მივიღე სომხური ენის კათედრა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორმა, ამ კათედრის პასუხისმგებელმა, უარი სთქვა მონაწილეობა მიეღო ჩემს სამაგისტრო გამოცდაში და აგრეთვე მიუხედავად სომხების დეპუტაციის თხოვნისა, არ ყოფილიყო მოწვეული სომხურ კათედრაზე არა სომეხი.

დროა შევწყვიტო ბიოგრაფიულ ფაქტებზე ლაპარაკი, ვინაიდან შემდეგში ისინი დაკავშირებული არიან დღესდღეობით აქტუალურ პირებთან და დაწესებულებებთან. აღსანიშნავია მხოლოდ ექსპედიციის რიგი, რომელნიც ხდებოდენ მასალების შესაკრებად სხვადასხვა ენებისათვის; უნდა ხაზი გაუსვა, რომ სრული ზღაპარია, თითქოს რებად; უნდა ხაზი გაუსვა, რომ სრული ზღაპარია, თითქოს მე ზედმიწევნით ვიცოდე ყველა კავკასიური ენები, მეორე მხრით ზღაპარი კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი სინამდვილეა ის, რომ ყველა ჩემი შემოქმედებითი ენად მცოდნეობის იდეების არიან შედეგი არა კაბინეტში მუშაობისა, არამედ ჩნდებოდენ და ვითარდებოდენ უშუალო კავშირში მის გამო ბუნებასათან და ადამიანებთან ქუჩებში, ძირელებზე, უდაბნოებში და ზღვებზე, მთებში და ტრადი-

ლებში მდინარეებთან და წყაროებთან, ცხენზე და ვაგონში, ყველგან, მხოლოდ არა კაბინეტში.

იყო ბევრი პრობლემები. რომელნიც ცვლიდენ ერთი მეორეს: შესწავლა კავკასიის, მისი კულტურული ისტორიის, ენის, მწერლობის და ნივთიერი კულტურის ნაშთებისა. მე დავიწყე ქართული და სომხური ენებით, მაგრამ დასახული ამოცანის არე თანდათან ფართოვდებოდა გარე-კავკასიური ენებით, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ქართულ და სომხურ ენებთან. ერთი პრობლემა, რომელიც წითელ ხაზივით სჩანს ყველა შრომებში, და რჩება დღემდე, ეს არის პრობლემა ენის შესახებ, რომელიც იკვლევდა ლიტერატურულ, სომხურ, ქართულ და შემდეგ ლინგვისტიურ ინტერესების ფარგლებში. ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესები იყო შეცვლილი არქეოლოგიურ ინტერესებით, რომელნიც ემყარებოდენ ანში — სომხეთის საშუალო საუკუნის ქალაქში — დაწყებულ გათხრებს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა კავკასიის ერების შესწავლისათვის, თუმცა პირველად ციხე სიმაგრეები და ძირითადი მოსახლეობა იქ სომხური იყო. აქვე იყო შექმნილი ლაბარატორია კავკასიის სიძველეების შესწავლისათვის. მაგრამ თანდათანობით საკითხი კავკასიის ენების წარმოშობის შესახებ გადაიქცა ადამიანის ბგერითი სიტყვის წარმოშობის პრობლემათ. თვით მასალები ხელს მიწყობდენ გამომერკვია დასახული პრობლემები. ეს დაგროვილი მასალები არ ზღუდავენ ჩემს ინტერესს ამა თუ იმ ენისადმი. მე გვერდი აუხვიე იმ ზღუდეებს, რომელიც შექმნეს ენის შესახებ გაბატონებულმა ცნებებმა: დასახულ პრობლემის გამორკვევას ხელს უწყობდა აგრეთვე აღმოსავლეთის ყველა ძირითად ენების ერთ ფაკულტეტზე დაჯგუფება. შემოჩამოთვლილ ენების გარდა მე ვსწავლობდი აგრეთვე სანსკრიტულს, სპარსულს და „პენლევი“-ს. მსოფლიოს ძირითად დამოუკიდებელ კულტურულ ენებიდან, როდესაც თეორიამ გამოარკვია მათი ცოდნის საჭიროება, მე მიხდება უკანასკნელ დროს ჩემი ენათმცოდნეობა შევავსო მხოლოდ შორეულ-აღმოსავლეთის ენებით.

იაფეთიური თეორია, რომელსაც დღეს დღეობით მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიო ყველა ენებთან, დასრულდა საკითხის დაყენებით ენათმცოდნეობის კავშირის შესახებ ნივთიერ კულტურის ისტორიასთან და საზოგადოებრიობასთან, და იმ დებულებით, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ყველა კულტურები და ერები არიან ერთ და იმავე შემოქმედებითი პროცესის შედეგი. გაუქმდენ არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ თვითეროვნული დაყოფები, როგორც ენის განვითარების შემოქმედებითი ფაქტორები. ის ენები, რომელნიც თავისი რასიული წარმოშობით სხვადასხვა ენებათ ითვლებოდენ, გამოდგენ სხვადასხვა ეპოქის ქმნილებად. ენების თვითეული რასიული ოჯახი წარმოადგენს განსხვავებულ ჯგუფს, არა თავის წარმოშობით, არამედ ის არის ახალი სისტემა, განვითარებული წინანდელ სისტემიდან. გაქრა არა მარტო ქართული ენის, არამედ ჩინურ ენის განცალკევებაც, და უკანასკნელ მომენტებში მტკიცდება ფაქტი, რომ დაწყებული იაპონიიდან და ჩინეთიდან ატლანტიურ ოკეანის ნაპირებამდე კულტურული და წინა ისტორიული სიცოცხლის ყველა ძირითადი ტერმინები ერთი და იგივეა. ყველა ენების ყველა სიტყვები უახლოვდებიან ოთხ ელემენტს.

ამ დებულების დამუშავებისათვის, კერძოდ თვითეულ ენაში, საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა; იმავე დროს საჭიროა კიდევ აფრიკის და ამერიკის ენების შესწავლა, რომელნიც დღემდე შეუსწავლელი იყვნენ. მაგრამ დღეს დღეობით მორიგი, წმინდა თეორიული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ გამორკვეული იყოს სხვადასხვა ენების სხვადასხვა სისტემათა წარმოშობის ქრონოლოგია და ამ ენებში სიტყვის სხვადასხვა წინად არ არსებულ ნაწილების სხვადასხვა სისტემათა გაჩენა, რომელნიც გაჩნდენ სიტყვიერ მასალის მეურნეობასთან და ნივთიერ კულტურის ისტორიასთან დაკავშირების პროცესში.

ომისა და კავკასიასთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო მე დროებით შევაჩერე მუშაობა კავკასიურ ენებზე და შეუდექი დასავლეთის ენების წარმოშობის საკითხის და-

მუშავენ — სახელდობრ ხმელთა შუაზღვის ერების და კერძოდ ბასკების, რომლების ენა წარმოადგენს ერთად ერთ ევროპის წინაისტორიულ ენების გადანაცხოვრს. მე მივიღე საშუალება წავსულიყავი დასავლეთში და ბასკების ენის შესწავლის დროს მე დავამტკიცე ბევრი ნიშნებით ბასკების ენის ნათესაობა ეტრუსკების მკვდარ ენასთან და კავკასიის იაფეტიურ ენებთან, მაგრამ უარი ვთქვი იმაზე, რომ დამეკავშირებია იაფეტიურ ენების წარმოშობა მხოლოდ ბასკების ენასთან, ისე როგორც მე უარი ვთქვი იმაზე, რომ ჩამეთვალა კავკასია ამ უძველეს ენების სამშობლოდ.

ჩემთვის შეუმჩნეველად, როდესაც მე ვარკვევდი საერთო ენის ანუ ადამიანის სიტყვის წარმოშობის პრობლემას, მე იძულებული ვიყავი დაგროვილ მასალების მიხედვით გადამეტანა კვლევთი მუშაობის სიმძიმის ცენტრი მკვდარ ენებიდან ცოცხალ ენებზე, და გამომერკვია ენის მოვლენათა თარიღები და თანდათანობა ფენებით, რომელთაც აქვთ ერთგვარი გეოლოგიური წარსული. ეს არის პალეონტოლოგიური მეთოდი. ის ისინჯება იმით, რომ მუშაობის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზები უნდა შეივსონ კავკასიის ახალი, წინათ შეუსწავლელი ენების შესწავლით აღვილებზე, მეზობელ ან ქართულ და სომხურ მონათესავე ენებთან ერთად. ეს დებულებები ნახულობენ თავის გამართლებას იმ ენებში, რომლებსაც ჩემი თეორიის შექმნის დროს მე არ ვიცნობდი და არ ვაპირებდი მათ შესწავლას.

როდესაც გამოირკვა ადამიანის სიტყვის განვითარების პროცესი, რომელიც მოდის მრავალრიცხოვან გაუნვითარებელ ენებიდან ნაკლებ რიცხოვან იდეალურ ენებისაკენ, განვლილმა გზამ დაამტკიცა აუცილებელი შეერთება ყველა ენების მომავალში და ცხად ჰყო ენათმცოდნეობის ახალი მნიშვნელობა, როგორც მეცნიერების, რომელიც უნდა იკვლევდეს არა მარტო ენის წარსულს, არამედ მის მომავალსაც, და რომელმაც უნდა დაისახოს მიზნად ხელმძღვანელობა და შეგნებული შეთვისება ადამიანის სიტყვისა და ამ სიტყვის პროცესისა, რომელიც ხდება ათი

ათასი წლები და რომელსაც მივყევართ ადამინის სიტყვის გაერთიანებისაკენ.

როდესაც მე დავბრუნდი ესპანეთიდან, პირველ მოგზაურობის შემდეგ, მე იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ იაფექტიურ ენების პრობლემის გამოკვლევისათვის მე ვერ შევძლებ ვძლიო ყველა საგნები, რომელნიც აუცილებლად საჭირო არიან თუნდაც ბასკური ენის გამოკვლევისათვის, რომელიც დაუშორებელია რომანულ და აგრეთვე დასავლეთის და აღმოსავლეთის ენებთან.

რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ შეიწყნარა ჩემი წინადადება და დაარსა იაფექტიური ინსტიტუტი დასახულ ამოცანების შესაფერ დამუშავებისათვის. მსოფლიოს ყველა ენები აღმოჩნდნენ ადამინის შემოქმედების ერთ მთლიან პროცესის შედეგი, და ამ პროცესის გამოკვლევა შეუძლებელია, თუ არ დავამუშავებთ თვითეული ენა, არა როგორც მონოლიტური მასივი, არამედ როგორც სხვადასხვა ფენების შეერთების შედეგი. ამ მოვლენის შესწავლა იაფექტიურ თეორიის თვალსაზრისით, თვითეულ ფენის და არა ენების ნახვა, მათი ქრონოლოგიის გამორკვევა — შესაძლებელია მხოლოდ დიდ და კარგად მოწყობილ კოლექტივის მიერ, რომელიც დაეპატრონება მთელ ამ საქმეს; მარტო მე ამ საქმისათვის უძლური ვიქნებოდი. მაგრამ, თუ კოლექტივი მოგვეხმარება, საქმიანად დავიმკლავოთ ხელები გიგანტურ მუშაობისათვის, და შესაძლებელი იქნება ახალის აშენება და ძველის უღმობელი ნგრევა. მიზანი ცხადია — მომავალ კაცობრიობის მთლიანობა, როგორც სიტყვაში ისე მეურნეობაში და საზოგადოებრივობაში; ცხადია აგრეთვე ჩემი სპეციალობის აქტუალური და ძირითადი პრობლემა: გამორკვევა მეტი სისწორით სიტყვის წამოშობისა და გაუმჯობესება მისი ცალკეულ სახეებისა, რომ შეგნებულ და მიზანშეწონილ ტექნიკით გაადვილებული იყოს კაცობრიობის ურთიერთობის საუკეთესო მთლიან იარაღის წარმოშობა, კოლექტიურად და შეგნებულად დასრულებული იყოს ის, რაც კოლექტიურად-ინსტიქტიუ-

რად გაჩნდა და იღებდა სხვადასხვა ფორმებს მრავალ
ათასეულ წლების განმავლობაში. ჯერ კი, ღონისძიებისა-
მებრ წავიდეთ წინ, დაუსვენებლივ, ვიმუშაოთ შესაფერ
გამოსაკვლევ ძალების მოსამზადებლად კოლექტივებისა-
თვის, რომელთა ორგანიზაციულ მუშაობაში ინდივიდუ-
ალური მიღწევები არ იქნებიან უმიზნო და ყველასათვის
უასრუებლო.

დონკუნიკა

მემარცხენეობის „რევიზორი“.

(ბენო გორდეზიანის წერილის საპასუხოდ. „მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში“. იხ. „ქართული მწერლობა“ № 5).

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟურნალ „მემარცხენეობა“-ს გამოსვლამ ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ გამოხმაურება გამოიწვია. მის გარშემო მოეწყო საჯარო დისპუტი, დაიწერა წერილები და ბიბლიოგრაფიები. ჩვენ ახლო მომავალში მოგვეცემა შემთხვევა ჯამი გაუკეთოთ ქართულ პრესაში „მემარცხენეობა“-ს შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და სათანადოთ დავაფასოთ ეხლანდელი ქართული კრიტიკის დამოკიდებულება თანამედროვე ლიტერატურულ პრაქტიკასთან.

ამ წერილში გვინდა შევეხოთ მხოლოდ ბენო გორდეზიანის გამოსვლას, რომელიც მართლაც თავისებური და სპეციფიური მოვლენაა. საკმაოდ ვრცელი „პამფლეტი“, რომლის ყველა სტრიქონი უკიდურესათ მტრული და დვარძლიანი განწყობილებით არის აღნიშნული, მოკლებულია რაიმე გარკვეულ ძირითად თვალსაზრისს. არ სჩანს ავტორის ორიენტაცია (არც სოციალ-პოლიტიკური, არც მხატვრულ-იდეოლოგიური), რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს კრიტიკოსი რაიმე მხატვრული ფაქტის ან ლიტერატურული დაჯგუფების შეფასებისა და ანალიზის პროცესში. ამის გარეშე კი, ცხადია, კრიტიკა შეუძლებელია. იგი მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ ღირსებასა და ინტერესს. ავტორი გვარწმუნებს, რომ მისი „ღალადისი“ გამოწვეულია „ქართული ლიტერატურის

დღევანდელი პირობებისა და ერის სოციალური მდგომარეობის“ (!) კარნახით. მაგრამ პირველი და უმთავრესი შთაბეჭდილება, რომელსაც იძლევა წერილი, არის ის, რომ ავტორი ხელმძღვანელობდა მხოლოდ პირადი განწყობილებით და ამ პირადი „გაბოროტების“ შტამპით აღნიშნულია აქ ყოველი სიტყვა. საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის „პირად ანგარიშის“ სიმდაბლემდე დაყვანა — ეს იყო უცუდესი ტრადიცია ძველი არისტოკრატიული ინტელიგენციისა. კარგა ხანია ეს „კინკლაობა“ ჩვენს საზოგადოებაში შესცვალა: პოლიტიკაში — პარტიულმა ბრძოლამ და ლიტერატურაში: შკოლათა შორის პოლემიკამ. ამ მხრივ გორდეზიანის „ღრიგინალობა“ სწორედ ხელსახებია და თვალსაჩინო. მაგრამ მის გამოსვლას კიდევ ერთი „დამსახურებაც“ აქვს. ლიტერატურულ პოლემიკაში მას პირველს შემოაქვს ცნობილი „რენეჯატობის“ ნიშანდობლივი თვისება: თავისი გუშინდელი ამხანაგების დაუზოგავი ლანძღვა-გინება.

მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ თავისებურობით იპყრობს ყურადღებას და საჭიროებს პასუხს გორდეზიანის წერილი, რათა ამთავითვე აღიკვეთოს ამ ყოველად უვარგისი პრეცედენტის მნიშვნელობა ქართული მწერლობის სარბიელიდან. მხოლოდ ამ მოსაზრებით, იძულებული ვარ გამოვეხმაურო ამ იაფფასიან „ფარიკაობას“.

ვიდრე წერილის განხილვაზე გადავიდოდე, საჭიროა რამოდენიმე ფაქტიური გარემოების აღნიშვნა: ჟურნალ „მემარცხენეობა“-ს რედაქციამ უარი სთქვა გორდეზიანის მიერ წარმოდგენილ წერილის დასტამბვაზე, რადგან იგი, რედაქციის აზრით, მთელრიგ გაუგებრობას შეიცავდა. საპასუხოდ რედაქციამ მიიღო გორდეზიანის ღია ბარათი, რომლითაც იგი აცხადებდა, რომ არ იზიარებს რედაქციის მიერ აღებულ ხაზს და ჟურნალში მოთავსებულ წერილების აზრს. ჩვენ გავაკეთეთ სათანადო დასკვნა ასეთი განცხადებიდან და სრული დამშვიდებით „გავანთავისუფლეთ“ გორდეზიანი ჩვენი აზრებისა და შეხედულებების გაზიარების საჭიროებისაგან. ეს გამოიხატა მის ჩვენგან ორგანიზაციულ დაშორების ფაქტში. აი — მთელი სათა-

ვე გორდეზიანის უკანასკნელი „ლაშქრობისა“. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ გორდეზიანი, განთავისუფლებული, ჩვენი ხაზის თავზე მოხვევისაგან, საკუთარი გაგებისა და თვალსაზრისის ნიადაგზე განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას. რა საჭირო იყო ამისათვის ეს გაუგებრობითა და უმეცროებით სავსე წერილი?

გორდეზიანი თავის წერილის დასაწყისშივე აცხადებს თავს ჩვენი ფრონტის ერთ-ერთ „მთავარ ორგანიზატორად“. ამის საპასუხოდ მე მხოლოდ ფაქტებს მოვიყვან: 1) არასოდეს გორდეზიანი არ ყოფილა ჩვენი გამოცემის რედაქტორი ან სარედაქციო კოლეგიის წევრი, 2) არასოდეს გორდეზიანს არ დაუწერია ჩვენი გამოცემებისათვის დეკლარაცია ან მეთაური, 3) არასოდეს გორდეზიანი არ ყოფილა მომხსენებლად ჩვენს მიერ გამართულ საღამო-დისპუტებზე, 4) არასოდეს იგი არ წარგვიგზავნია ჩვენს წარმომადგენლად იმ ორგანოებში, სადაც ჩვენ წარმომადგენლები გვყავს (მწერალთა საბჭო, ხელოვანთა მთავარი კომიტეტი, განსახკომის სახელოვნო საბჭო და სხ.) 5) არასოდეს გორდეზიანს არ უწარმოებია ჩვენი სახელით რაიმე მოლაპარაკება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, 6) გორდეზიანი არ მონაწილეობდა ქართველ მწერალთა ყრილობაზე, სადაც ჩვენ გვყავდა **ხუთი დელეგატი**. ამ რიგათ, ცხადია, თუ რა პასიური და უმნიშვნელო იყო გორდეზიანის მონაწილეობა ჩვენი ფრონტის იდეოლოგიურ-ორგანიზაციულ მუშაობაში. მხატვრულ პრაქტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია, გორდეზიანი მოვიდა ჩვენთან ჩვენი ორგანიზაციული ყალიბობის დასაწყისშივე, მაგრამ მას ჩვენგან აშორებდა, როგორც განწყობილება და გაგება, ისე მთელი ათეული წელი. ამიტომ ჩვენ შორის იგი ფაქტიურად ყველაზე უმოქმედო და პასიური იყო. ჩვენ შევეცადეთ რაიმე დანიშნულება გამოგვენახა ამ კაცისთვის და უკანასკნელად დავავალეთ მას კრებების მოწვევა და მდივნობა. ამის შემდეგ მართლაც „ხლესტაკოვის“ შუბლია საჭირო, რომ „მთავარი ორგანიზატორი“-ს პოზაში დადგეს კაცი და ლიტერატურული მიმდინარეობის „რევიზია“ დაიწყოს. გორ-

დეზიანის მთელი საქმიანობა გამოიხატა გარდა „H₂SO₄“ ში მოთავსებულ „სიბრძნეებისა“, იმ ორი წერილით, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „დროული“-ს პირველსა და მესამე ნომერში.

არ ყოფილა შემთხვევა რომ ვისმე, ვინც ჩვეულებრივ პოლემიკას აწარმოებს ხოლმე ჩვენთან, ბენო გორდეზიანის წერილი დაესახელებიოს და იქედან მოეყვანოს ციტატა, ასე, რომ ეს ორი წერილიც „ცარიელი ადგილის შესავსები“ მასალაა ფაქტიურად. არის თუ არა წრესგადასული კადნიერება ასეთი „მწერლის“ მხრივ ვისმე ლიტერატურულ ნაყოფიერებაში შეედავოს? მე მიმაჩნია ჩვენს დანაშაულად, რომ ყოველგვარი დამსახურებისა და ღირსების გარეშე რამოდენიმე წლის განმავლობაში ვითმენდით გორდეზიანს ქართველი მწერლის პოზაში. მარინეტი ერთხელ როგორღაც სწერდა: იდეალური სიყვარული პროტებმა გამოიგონეს და პროტებმავე უნდა წაიღონ იგი, რადგანაც მავნებელი აღმოჩნდაო. ბენო გორდეზიანის ლიტერატურული არსებობა მართლაც მხოლოდ გამოგონებაა, — იგი ჩვენი გამოგონილია (ვალდებოთ ამ დანაშაულს) და ჩვენვე შევეცდებით მოვხსნათ ეს მითი.

ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გორდეზიანის წერილს არ გააჩნია რაიმე მთლიანი კონცეპცია, ამიტომ იძულებული ვართ თანდათანობითი მიყოლით გავარჩიოთ ეს უმეცრებისა, ცილისწამებისა და გაუგებრობის „მოზაიკა“.

ავტორი იწყებს ქართული ლიტერატურული მემარცხენეობის აღმოცენების მიზეზების გამორკვევით, სურს ამ შემთხვევაში მარქ.-სოციოლოგიური მეთოდი მოიმარჯვოს, მაგრამ, როგორც ყველაფერში, აქაც დამახინჯებაა და გაუგებრობა. ის სწერს; „საბჭ. წესწყობილების დამყარების შემდეგ საქართველოში შეიქმნა ახალი ყოფა“. აქედან გამოყავს მას „ქართველი ფუტურისტების“ ორგანიზაციის დაარსების ფაქტის ახსნა. ეს მოხდა 1922 წელს. ამ რიგად გორდეზიანის წარმოდგენაში გასაბჭოების მეორე დღესვე „შექმნილა ახალი ყოფა“. ცხადია, ასეთ მექანიკურ აზროვნებას არაფერი აქვს საერთო მარქსის-

ტულ დიალექტიკასთან და ხელოვნებათმეტყველების სო-
ციოლოგიურ შკოლასთან. ცხადია, ავტორი ერთმანეთში
ურევს ორს ისეთ განსხვავებულ ცნებებს, როგორც არის
„ყოფა (БЫТ) და „ყოფნა“ „გარემოება“ (БЫТЬ). ასე იხ-
სნება „დიდი კულტუროსნობის“ მქადაგებელი წერილი.

გორდეზიანი აცხადებს, რომ ჟურნალ „მემარცხენეო-
ბა“-ს გამოსვლით მან იგრძნო, რომ ჩვენ ნაცვლად ნამდვი-
ლი „მემარცხენეებისა“ მხოლოდ „კარიერისტი ბუნტა-
რები“ ვართ. საინტერესოა: ოთხი წლის განმავლობაში
გორდეზიანს ლალატობდა „გრძნობა“ და მხოლოდ ჩვენი
უკანასკნელი ბეჭდვითი გამოსვლა, (რომელიც ყოველ
შემთხვევაში — H_2SO_4 -ზე მეტი მიღწევა მაინც არის) უხს-
ნის მას ჭეშმარიტების კარებს! ჩვენ ზევით უკვე გან-
ვმარტეთ ამ უეცარი „გრძნობის“ მიზეზი — მისი გარიცხვა
მემარცხენე ლიტერატურის საბჭოდან. ამითვე აიხსნება ის
გარემოება, რომ გორდეზიანი უმთავრესად დემნა შენგე-
ლაიას, სიმონ ჩიქოვანს და პირადათ მე გვიღებს ნიშანში.
ნიკ. ჩაჩავასთან ერთად ჩვენ დავაყენეთ საკითხი გორდე-
ზიანის ჩვენს შორის მუშაობის შეუძლებლობის შესახებ.

გორდეზიანი გვიწუნებს მემარცხენეობის გაგებას და
აყენებს საკუთარ განმარტებას. ის იძლევა ხუთ სპეციფიურ
თვისებას მემარცხენეობისათვის: 1) ენის რევოლიუ-
ცია, 2) სიტყვის ქმედობა აზრისა და ხმის მიხედვით. 3)
შინაარსს, 4) სიახლეს და 5) ენის ცოდნას. უკომენტარიო-
დაც ცხადია, რომ ამის ავტორს არავითარი წარმოდგენა
არა აქვს მემარცხენეობაზე ლიტერატურაში. აქ ჩამოთვლი-
ლი კატეგორიები ყოველად ზოგადი ცნებებია. ენის რევო-
ლიუციის გამოკლებით, ისინი ყოველგვარი ლიტერატუ-
რული ფაქტის თვისებებია და მემარცხენეობის სპეცი-
ფიურ ნიშნებს არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს. რაც
შეეხება ენის რევოლიუციას, გორდეზიანს უნდა მოეხსუ-
ნებოდეს, რომ არც ერთ „მხატვრულ ფაქტს“ მსოფლიოში
„ენის რევოლიუცია“ არ მოუცია. აქაც როგორც ყოფის
საკითხში გორდეზიანის მსჯელობა ობივატელურია. მას
ენის რევოლუცია მეტად მარტივად წარმოუდგენია. აქვე
უნდა აღვნიშნოთ გორდეზიანის აზროვნების კონსერ-

ვატიულობა ფორმისა და შინაარსის საკითხში. ის ცალკე იღებს „შინაარსს“ და თავის აღნიშნულ ხუთწევროვან კონსტრუქციაში მას დამოუკიდებელ ელემენტის სახით ასახელებს. ოთხი წლის განმავლობაში მას შეეძლო ამ საკითხში რაიმე ესწავლა თავისი ამხანაგებისაგან.

რაც შეეხება ჩვენს „პოლიტიკასთან დამოკიდებულების“ გაურკვევლობას, ეს უკვე მოძველებული ანკესია, — ამხ. გორდეზიანო! ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ გარკვეული და ნათელი ხაზი გვაქვს ალებული. ეს ხაზი ცნობილია, როგორც ჩვენი ბეჭდვითი, აგრეთვე ზეპირი გამოსვლებიდან. ამიტომ შრომა ამაოთ ჩაგივლისთ, ამით „წყალს ვერ აამღვრევთ“.

გორდეზიანი გარკვეული მიზნით სცდილობს ჩვენი შეხედულებების გაყალბებას. იგი ბრალს გვდებს: „ისინი ებრძვიან ინდუსტრიალიზმის იდეის აგიტაციას“-ო სწერს იგი. ეს არის შეგნებული ცილისწამება. ცნობილია, რომ ჩვენი ლიტერატურული მსოფლგაგება აღმოცენებულია სწორედ ურბანისტულ და ინდუსტრიალურ კულტურის საფუძველზე. ოდნავ კულტურული მკითხველისათვის ეს ალბად საკამათოც არ იქნება. როგორ შეგვიძლია ჩვენ ინდუსტრიალიზმის წინააღმდეგ ვიყოთ, როცა მთელი ჩვენი ორიენტაცია „მთვარის სამყაროს“ წინააღმდეგ ამხედრებიდან იწყება?! ზაჰესი ყველაზე ადრე ს. ჩიქოვანმა შეიტანა ლიტერატურაში. „მემარცხენეობა“-ს ამავე ნომერში ბ. აბულაძე უმაღლესი პათოსით სწერს:

„ზურგი ვაქციოთ ისტორიზმის მახეზარ დუდუნს, კივის მხეცივით ავჭალიდან მუგუზლის ზეცა“-ო.

ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ „ინდუსტრიალიზმის გაბანალების“, მის „რელიგიოზურ ფანატიზმამდე“ დაყვანის, მანქანის „ფეტიშიზმის“ წინააღმდეგ. ასეთი ტენდენციები არის ლიტერატურაში და სწორედ ამას ვებრძვით ჩვენ. ეს სრულიად ნათლად არის ნათქვამი „მემარცხენეობა“-ს სარედაქციო წერილში და ამის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მხოლოდ „გაბოროტებულ“ ენას შეუძლია.

გორდეზიანს მეტად აკვირვებს ის გარემოება, რომ ჩვენის წარმოდგენით, „მემარცხენეობის მთლიან ფრონ-

ტში“ შედიან სხვადასხვა ლიტერატურული შკოლისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები.

მისთვის გაუგებარია „კლუბის მუშაკების და ახალგაზრდა თეორეტიკოსების მემარცხენეობა“. გაუგებარია მხოლოდ ის, ამხ. გორდეზიანო, რაც არ იცით! საკმაოდ იყო გაცნობილით ჟურნალში მოთავსებულ იმ წერილებს, რომლებიც ქართული მემარცხენეობის რაობას შეეხება და თქვენი გაუგებრობაც მოიხსნებოდა, თუ, რასაკვირველია, განგებ არ დაეძებთ გაუგებრობებს.

„ფუტურიზმი ხომ დინამიკას ნიშნავს“, სწერს გორდეზიანი. აი რა არის მართლაც გაუგებარი და საოცარი. ფუტურიზმი მიმდინარეობაა ხელოვნებაში, რომლის ერთერთ დამახასიათებელ თვისებათ წარმოდგენილია დინამიზმი. რომელი ლოდიკით („ვექილურით“ თუ უსაქმოდ მოხეტიალეთა“ ლოდიკით) ნიშნავს ფუტურიზმი დინამიკას?

გორდეზიანი სწერს: ის „ახალი“, რაც დეკლარაციაშია გამოთქმული, დღეს ყველა „კომსომოლისტმა“ იცის. შეიძლება ეს ასეა, ამაში არაფერია საშიში და სასიროცხო. ცხადია მხოლოდ ის, რომ გორდეზიანმა არ იცის ის, რაც ყველა კომკავშირელი იცის. კომკავშირელი სწავლობს, გორდეზიანს კი თავი კულტურის მწვერვალებზე წარმოუდგენია — აი განსხვავება!

გორდეზიანი გადადის ჩვენი ქართულის დაწუნებაზე, საკვირველია რა უფლებით გამოდის იგი ლიტერატურული ქართულის კანონმდებლის როლში? ცნობილია, რომ ქართული ლიტერატურული ენა ჯერ აკადემიურად დაუმუშავებელია, მისი კანონები განმტკიცებული არ არის, ყოველი ქართული ფრაზა შეიძლება სადავოდ გავხადოდ, მაგრამ ქართული ენის გაწმენდისა და დახვეწის საქმე — ჩვენ ვფიქრობთ, ვერ გაკეთდება რაჭული ჟარგონის მქონე გორდეზიანისაგან, საკმაოა ერთი წინადადება მოვიყვანოთ მისი წერილიდან, სწორეთ ის ადგილი, სადაც „ენას გვიწუნებს“, რომ ნათელი გახდეს მისი „ტკბილსასმენი ენა“.

„დეკლარაციაზე ხელის მომწერი შეიძლება მემარცხენეობის გაგებაში შესცდენ, მაგრამ შეიძლება, რომ ეს შეცდომა კარგი ქართული ენით გამოთქმულია“.

აი, სწორი ქართული სინტაქსის „იდეალური ნიმუშები“!

გორდეზიანი გადადის ჩემი წერილის („მემარცხენეობის საზღვრები“) „განხილვაზე“. „აბდა-უბდა“, „მამა-შვილური თეორია“, „სჭრის და კერავს“, „ვექილური ლოლიკა“, ამ ამონაწერებით ცხადი ხდება „ობიექტიური კრიტიკოსის“ მიდგომის ფასი და ღირებულება. ავტორი ხშირად იხსენებს ჩემს იურისტობას. რა თქმა უნდა, გორდეზიანისთვის უმაღლესი განათლება ისევე გასაკვირი და სასაცილოა, როგორც ველურისათვის მთელი თანამედროვე ცივილიზაცია! პირველად მესმის, რომ კაცი თავისი გაუნათლებლობით ამაყობდეს და სხვის განათლებას დასაცინოდეს!

დავანებოთ თავი ამ „წვრილმანებს“, აგრეთვე ჩემი წერილიდან ფრაზების „ჟონგლიორულ“ ათამაშებას და გადავიდეთ შედარებით უფრო „სერიოზულ“ ბრალდებებზე.

ჩემს წერილში წარსულის მემკვიდრეობის საკითხის გადაჭრისათვის მე ვამბობდი, რომ ამ შემთხვევაში „მატერიალური კულტურის ანალოგია არ გამოდგება სულიერ კულტურის, იდეოლოგიის და კერძოდ ხელოვნების მიმართ“. მეორე ადგილას მე ვსწერდი ხელოვნების სოციალურ, პრაქტიკულ ღირებულების შესახებ. გორდეზიანს აქ წინააღმდეგობა აღმოუჩენია! რატომ, საიდან? რა წერტილში ხვდება და ეწინააღმდეგება ეს ორი მოსაზრება (სრულიად სხვადასხვა საკითხის შესახები) ერთმანეთს? ალბათ აქაც „მეტისმეტი მარქსისტობით“ მოდის მარცხი გორდეზიანს: როგორ შეიძლება მატერიალურ და სულიერ კულტურას რაიმე ერთმანეთის განმასხვავებელი ნიშნები და სხვადასხვაგვარი კანონები ქონდესო. ძნელია „ყურმოკრული“ მარქსისტობა!

გორდეზიანი განაგრძნობს: „საინტერესოა ჟღენტის სოციალური მიდგომა (თუ სოციალური თვალსაზრისით მიდგომა? ბ. ჟ.) ხელოვნებასთან“ და ამის გასაშუქებლათ — გამოურკვეველ მიზეზების გამო მოყავს ის ადგილი, რომელიც სულ სხვა საკითხს შეეხება. ახალ ხელოვნების თემატიური ბუნების გარკვევის დროს მე ვსწერდი, რომ

„ორი კულტურა — (კაპიტალისტური და სოციალისტური) ერთსა და იმავე ნივთობრივ ბაზისზე შენდება, ეს ორი კულტურა ურბანული, ინდუსტრიალური ხასიათისაა, ამიტომ მათი ინვენტარიც პრინციპიალურათ ერთგვარია“ გორდეზიანი აქედან რატომღაც ასკვნის, „ცხადია, პოლიტიკური ეკონომიის პირველი ფურცელიც არ წაუკითხავს ამის ავტორს“-ო. ჯერ ერთი აქ პოლიტიკური ეკონომია არაფერ შუაშია; მეორე, — პოლიტიკურ ეკონომიას ფურცლები არ აქვს, ის მეცნიერებაა და არა წიგნი! მაგრამ საინტერესოა — საიდან ასკვნის, რომ არ წამიკითხავს? ნუ თუ შეიძლება ასე ზეპირად უტიფრობა? ალბათ გორდეზიანი კიდევ მეტად განცვიფრდება თუ ვეტყვით, რომ სოციალიზმის არსი წარმოების ტექნიკურ პროცესის გარდაქმნაშიც არ მდგომარეობს. ნუთუ ეკონომისტობაზეც შეუძლია პრეტენზია ქონდეს ამ კაცს? ესეც მორიგი უტიფრობა და თავხედობაა!

გორდეზიანის „ჩხირკედელაობა“ იქამდე მიდის, რომ ჩემი წერილიდან კრებს ყველა არაქართულ თერმინს, რომელიც ჩემს 6 გვერდიან წერილში მიხმარია; საინტერესოა, რომ გორდეზიანი ამ „ოპერაციას“ შემდეგი მოსაზრებით ახდენს: „გავეცნოთ „ესთეტიურ ტრადიციებიდან განთავისუფლებულ“ ჟღენტსო“. რა შუაშია აქ ესთეტიური ტრადიციები? ნუ თუ თერმინების ხმარებით განისაზღვრება ესთეტიური ორიენტაცია? მე არ უარვყოფ, რომ არაქართული თერმინების ხმარება საჭიროა და შესაძლებელიც. სხვაგვარად ჩვენს დროში წერა შეუძლებელია, მით უფრო თუ რაიმე მეცნიერული იწერება, რადგან, ცნობილია, რომ ჩვენ საკუთარი მეცნიერული თერმინოლოგია არ მოგვეპოვება. აიღეთ ჩვენი სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემები და დარწმუნდებით ჩემი აზრის მართებულებაში. რუსული თანამედროვე კრიტიკა და ხელოვნების თეორიაც ჭარბათ ხმარობს არარუსულ თერმინებს, თუმცა იქ თერმინოლოგია უფრო დამუშავებული აქვთ. არის ისეთი თერმინები, რომელთაც ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობა მოიპოვეს და მათი ხმარების წინააღმდეგ ბრძოლა „გორდეზიანისებური ნაციონალიზმია“

ან უკეთ პრიმიტიული პროვინციალიზმი. მაგრამ მოვიყვანოთ გორდეზიანის ამავე წერილიდან (რომელშიაც უცხო თერმინების გაძევებას ქადაგებს) პატარა ამონაწერი — იგი, გარდა თერმინოლოგიის საკითხისა, მრავალმხრივ არის საყურადღებო:

„ქართულმა შემოქმედებამ იცის ორნაირი განწყობილება: ერთი იქმნება სოციალური ემოციებით, მეორე — ლირიკით. პირველ შემთხვევაში შემოქმედების შინაარსია ისტორიული პატრიოტიზმი, რომანტიული იდეალიზმი და დემოკრატიული მოტივი; მეორე შემთხვევაში სჭარბობს ნილილისტური სენტიმენტალიზმი. წმინდა ლირიკა იშვიათია, რადგან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მძლავრად მოქმედობს პოეტზე. ამიტომ ქართული ლირიკა უმთავრესად პატრიოტიზმში ან ეტნოგრაფიზმში იხრჩობა. ამით აიხსნება ქართული პოეზიის ერთფეროვნებაც. ასეთი განწყობილებით დალაგებული საგნები მისტიურ სახეს იღებს. საგანი კარგავს რეალურ ღირებულებას და გადადის ასტრალურ ყოფაში: ასტრალური საგნობრიობით მოცემული სახეები მუდამ ბუნდოვანია და სუბიექტიური. ასეთ შემთხვევაში საგნის სახე იკარგება ან სიმბოლიზმით ან ალეგორიით“.

ამ პატარა ამონაწერში 35%-ზე მეტი უცხო თერმინია. სჩანს გორდეზიანიც „სწყალობს“ უცხოეთის თერმინოლოგიას. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ გორდეზიანი თერმინებს ხმარობს მისი აზრისა და მნიშვნელობის შეუგნებლათ. მაგალითად რა არის — **ნილილისტური სენტიმენტალიზმი?** გორდეზიანმა რომ ამ ორი თერმინის აზრი იცოდეს შეაუღლებდა მათ? ან რას ნიშნავს „**ასტრალური ყოფა**“? გორდეზიანს რომ ესმოდეს, რომ ყოფა ცოცხალ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის კატეგორიაა, ხომ მიხვდებოდა, რომ იგი ასტრალური არ შეიძლება იყოს, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთს არ ეგუება. რა არის „**საგნის სახე იკარგება სიმბოლიზმით ან ალეგორიით**“. სიმბოლიზმი რა შუაშია? თუ **სიმბოლიკა** უნდოდა ეთქვა ავტორს? სახეები შეიძლება იყოს „**ბუნდოვანი და სუბიექტიური**“, მაგრამ თერმი-

ნების ხმარების დროს, ამხ. გორდეზიანო, ობიექტიურობა და გარკვეულობა სავალდებულოა. ცოტა ქვევით გორდეზიანს მემარცხენეობათ ესმის თუ ხელოვანი „საგნებს აითვისებს, როგორც თვითმყოფ ღირებულებებს და არა როგორც სიმბოლოს და ალევორიას“. გორდეზიანს, რომ წარმოედგინა, რომ ალევორიული ათვისება არ არსებობს, რომ ეს გამოხატვის ხერხია და არა ათვისების, ხომ არ დასწერდა ასეთ უაზრობას? მაგრამ შემოთმომოყვანილი ამონაწერები სხვა მხრივაც საყურადღებოა. დაუკვირდით მის მიერ წარმოდგენილ „კლასიფიკაციას!“ რა კრიტერიით ყოფს „სოციალურ ემოციებს“ და „ლირიკას“. განა ლირიკა არ შეიძლება სოციალურ ემოციებზე აშენდეს, ან ლირიკამ სოციალური ემოციები აღძრას? ან როგორ შეიძლება ორი სრულიად სხვადასხვა გვარეობით ცნებების დაპირისპირება? განა უაზრობა არ არის იმის თქმა, რომ სოციალურ ემოციებით შექმნილი განწყობილების დროს შემოქმედების **შინაარსი** (ხაზი ყველგან ჩემია. ბ. ჟ.) რომანტიული იდეალიზმი, ისტორიული პატრიოტიზმი და დემოკრატიული მოტივია, ხოლო ლირიკით კი — ნილილისტური სენტიმენტალიზმი? რა „თვითნებური“ თეორიაა! რატომ არ შეიძლება ლირიკაში მოცემული იყოს პატრიოტიზმიც, იდეალიზმიც, დემოკრატიული მოტივიც?

მაგ. ილიას „ელეგია“ ლირიკაა, თუ „სოციალური ემოციები“? მოგვეცი თქვენი საზღვარი. ანდა რა არის „წმინდა ლირიკა“, რომელზედაც გორდეზიანი ლაპარაკობს?

გორდეზიანი გვეუბნება: „იდეოლოგიის გაშლისათვის საჭიროა თქმის ახალი ტექნიკა. ტექნიკა გულისხმობს ენის რევოლუციას და სიტყვის შექმნას“ ჯერ ერთი გორდეზიანს უნდა განვუმარტოთ რომ, თუ ხელოვნება ნაწილია იდეოლოგიისა, მისი „ტექნიკა“ „იდეოლოგიის გაშლისათვის“ კი არ არის მოწოდებული, ისიც ელემენტია იდეოლოგიისა, აქ ისე, როგორც ფორმისა და შინაარსის საკითხში, გორდეზიანს წარმოუდგენია იდეოლოგია ცალკე, პროეტური ტექნიკა ცალკე. მაგრამ საინტერესოა რატომ გულისხმობს **ტექნიკა, ენის რევოლუციას?** ნუ თუ დაფიქრება, მოსაზრება არ სჭირდება წერას? ნუ თუ ასეთი ელემენ-

ტარული შეცდომები ეპატიება „უმაღლესი კულტურის“ პრეტენდენტს გორდეზიანს. ის აკი სწერს: „მემარცხენეობაში ვერ გამოდგება საშუალო კულტურის შემოქმედით“, ხანს თავი კულტურის მწვერვალზე წარმოუდგენია, მაგრამ „წყვეული ფაქტები და ამონაწერები“ სხვას გვეუბნებიან:

„მე მგონია, რომ მემარცხენეობა იგივეა, რაც ფუტურიზმი“, სწერს გორდეზიანი! მე კი მგონია და ვიცი, რომ ამას არ დასწერს ის, ვისაც თანამედროვე ხელოვნებაზე რაიმე წარმოდგენა შერჩენია. გორდეზიანისათვის ახალი ამბავი ყოფილა რომ თანამედროვე მემარცხენე ხელოვნება აღარ თავსდება ფუტურიზმის მოძველებულ ფორმულაში. მას უნდა განვუმარტოთ, რომ მარინეტის ფუტურიზმი ეხლა უკვე მემარცხენე და ახალი აღარ არის, რომ მაგალითად ფრანგული „სიურ-რეალიზმი“, ან რუსული „Лев“ — განსხვავდება ფუტურიზმისაგან, სცილდება მის საზღვრებს. ნუ თუ ასეთ ელემენტარულ საკითხებზე დაც საჭიროა კამათი?

საყურადღებოა გორდეზიანის შემდეგი „კონსტრუქცია“, მას წარმოუდგენია რომ ხელოვნებაში არის ამბოხების პერიოდი“ და ამის შემდეგ იწყება „მემარცხენე შემოქმედება“, აქაც მექანიკურ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. უნდა განვუმარტოთ ამხ. გორდეზიანს, რომ ყოველი „მემარცხენე შემოქმედება“, რამდენათაც იგი აგებულია ძველისაგან განსხვავებული კანონებით და ახალი ხერხებით თავის თავში ატარებს ძველის უარყოფას, და ამდენათვე „ამბოხების“ მომენტსაც. ლიტერატურის ისტორიაში ასე ხდება ახალი კანონების დამკვიდრება და საერთო ცვალებადობა. ამბოხებას სწორედ ახალი შემოქმედება ახდენს. ეს ორი მომენტი ასე განცალკევებულად არ არსებობენ ლიტერატურის ისტორიაში.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რამდენ გაუგებრობასა და უმეცროებაში იძირება გორდეზიანის თვალსაზრისი და კრიტიკული აღლო. აქედან აშკარაა თუ რამდენათ სწორი იქნება მისი წერილის ის ნაწილი, სადაც იგი აფასებს „მემარცხენეობას“ მხატვრულ პროდუქციას. „გამართუ-

ლი სტრიქონი“, „მემარცხენეობის ყნოსვა“, „გამართუ-
ლი ნიჭი“, „სანდომიანი პოეტი“ და სხვ. — აი ის
ყოველად უაზრო და ზოგადი ფრაზები, რომელიც
კარგად ახასიათებს ამ კრიტიკოსს. გადაჭრით იწუ-
ნებს. **შ. აღმაშენებლის ლექსს. დავით გაჩეჩილაძის „ზე-
ლიმხანი“**, ხომ ყოველგვარ გემოვნების დაკარგვით ეჩვე-
ნება? რა გაეწყობა, გემოვნება მეტად სუბიექტური!
გორდეზიანს ცხადია არ მოეწონება „ზელიმხანი“. აკი მის
საკუთარ კალამს ეკუთვნის ისეთი სტრიქონები, როგორი-
ცაა: „ცხრა უღელი კატა მიათრევს ტრამვაის“, „რა შუა-
შია აქ ყალიონი“, „ქოთანი, სააკაძე და მეწისქვილე“. ცხა-
დია, ასეთი დიდი გემოვნების პატრონს ძნელად მოეწონება
სხვისი ლექსი. „გემოვნებაზე არ კამათობენ“, მაგრამ კრი-
ტიკოსი მარტო საკუთარ გემოვნებას არ უნდა ემყარებო-
დეს. გორდეზიანი შენიშნავს ბ. აბულაძეს, რომ „საგნებს
ალაგებს **სიმბოლიური ხედვით და ლექსიკონიც სიმბო-
ლიური აქვსო**“. რაღა მოეთხოვება კრიტიკოსს, რომელმაც
არ იცის, რომ სიმბოლიური ხედვა არ არსებობს, მით
უფრო, სიმბოლიური ლექსიკონი (სულ სხვაა სიმბოლი-
სტური). გორდეზიანი ხუმრობასაც არ იკლებს და სწერს:
„ეტყობა, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას მემარ-
ცხენეობა და უნიჭობა ერთი და იგივე გონია“. ეს რომ ასე
ყოფილიყო, მაშინ გორდეზიანის წერილს დიდის ხალისით
დავბეჭდავდით „მემარცხენეობაში“ და მთელი ეს მისი
„რისხვაც“ აცდენილი გვექნებოდა.

გორდეზიანი ფიქრობს, რომ ჩაჩავას ხალხურ პოე-
ზიასთან დაახლოვება გორდეზიანისაგან უსწავლია.
„H₂SO₄-ში გადაჭრით განვაცხადე — ხალხური თქმა არის
საწყისი ჩვენი სიტყვის“. ეს ზურგიელიძის სიბრძნე „განუ-
ცხადებია“ გორდეზიანს! **ჩაჩავას** აქვს საკუთარი ხაზი ლექ-
სის შენებისა და გორდეზიანი მას ვერც ქართულში შეედა-
ვება, ვერც, თუ გნებავთ, „ნიჭში“. ჯერ-ჯერობით ასეთია
ფაქტური მდგომარეობა.

„კრიტიკოსი“ გადადის **სიმონ ჩიქოვანის** ლექსების „გან-
ხილვაზე“ გადმოგვცემს ლექსის „მოკლე შინაარსს“. ეს ყო-
ველად პრიმიტიული კრიტიკის თვისებაა, სად გაგონილა თა-

ნამედროვე კრიტიკა, რომ ლექსის „пересказ“-ს იძლეოდეს? „სენტიმენტალური და სიმბოლისტური შინაარსი“-აო ასკვნის გორდეზიანი, რადგან პოეტს ლექსში ქალი ყოლია ნაგულისხმევი. თუ ქალია და სეირნობბაც, სენტიმენტალიზმი და სიმბოლიზმი ყოფილა, ცხადია, ამის დამწერ კრიტიკოსს არ გაეგება, რომ სენტიმენტალიზმი და სიმბოლიზმი — სიუჟეტის და არც თემის მიხედვით არ განისაზღვრება, რომ აქ მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე, მიმღობისა და კონსტრუქციის თავისებურ ხერხებთან. გორდეზიანი ამოსწერს ჩიქოვანის ლექსებიდან მთელ რიგ სიტყვებს და უკვირს: როგორ შეიძლება მემარცხენე პოეტი ხმარობდეს სიტყვებს: წვიმა, წუხილი, წვეთები, თმები, მუხლები და სხ. ჯერ ერთი კრიტიკოსს უნდა გაეგებოდეს, რომ პოეტურ ლექსიკონში არ არსებობს „უფლებადაკარგული“ სიტყვები. ყოველი სიტყვა შეიძლება იქნეს აოიბული პოეტური კონსტრუქციის მასალათ. გარდა ამისა, გორდეზიანს არ გაეგება, რომ ჩიქოვანი მთელ რიგ შემთხვევებში სიტყვებს იღებს, როგორც ფონეტიურ მოვლენას (სიტყვა, როგორც ბგერითი მასალა, სიტყვა, როგორც ნივთი პოეტური მშენებლობისათვის) და არ საზღვრავს მას საკომუნიკაციო სემანტიკით. საჭირო კია თანამედროვე კრიტიკოსმა ცოტა რამ ისწავლოს ახალი პოეტური ლექსიკისა და სინტაქსის შესახებ. სიმონ ჩიქოვანი ძველ პოეზიას ემიჯნება ლექსის მშენებლობის ახალი მეთოდებით. ვისაც ჩიქოვანის კრიტიკა უნდა, მან ეს მეთოდები უნდა განიხილოს და არა „ლექსიკონი“, სჩანს გორდეზიანი ობივატელური გულუბევილობით კითხულობს ლექსებს! ეს არ ეპატიება „მემარცხენეობის“ „რევიზორს!“.

გორდეზიანი ჩიქოვანის მიმართაც შეგნებული ცილისწამებას ხმარობს. ჩიქოვანის დიალოგიურ ხერხით აგებულ ლექსიდან „(მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“), რომელიც აგებულია დაპირისპირებასა და კონტრასტის მეთოდით, მოყავს სტრიქონი, რომელსაც ავტორი ათქმევინებს ბარათაშვილს: „გამოსავალი ხალხში არ არის“. კრიტიკოსი ამ სტრიქონს მიაწერს სიმ. ჩიქოვანს და აქედან გამოყავს მთელი პოლიტიკური ფიზიონომიის შესახები დასკვნები. აქ

უკვე საქმე გვაქვს კრიტიკოსის უმეცრებასთან კი არა, ფაქტების განზრახ გაყალბებასთან.

გორდეზიანი გადადის „მემარცხენეობაში“ წარმოდგენილ პროზის ანალიზზე. **სტეფანე კასრაძის** ნამუშევარში პათოლოგიას ხედავს. საიდან? რატომ? აქ კრიტიკოსი მართლაც რომ პათოლოგიაში ვარდება, ხედავს იმას, რაც არ არსებობს, ეს პათოლოგიური მოვლენაა! ყველაზე მეტი სიმძაფრით თავს ესხმის **დემნა შენგელაიას** (დემნა ხომ „მემარცხენეობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია, და გორდეზიანის წერილის დაბეჭდვაზე უარის ავტორი). უსაყვედურებს მას სამი მეთოდის ერთმანეთში არევას. ზემოთ ჩვენ გავარკვიეთ, რომ გორდეზიანს „მეთოდების“ არაფერი გაეგება. აქაც იგივე მტკიცდება: სანიმუშოდ მოვიყვანოთ რომ „სიმბოლისტური მეთოდი“ მას ესმის, როგორც „რეალისტურად ხორცასხმული იდეის აღწერა“, განა შეიძლება ამის დამწერს მეთოდის შესახებ ვეკამათოთ? გორდეზიანი იმეორებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გავრცელებულ ტრაფარეტულ აზრს, რომ დემნა შენგელაიას არაფერი საერთო აქვს მემარცხენეობასთან. კრიტიკოსი ახალ აზრებსაც უმატებს: დემნას ინტუიციას და ნებისყოფას უწუნებენ. „ცხრა უღელ კატის“ ავტორი ბოლოს შენგელაიას „ლიტერატურულ უსინდისობაშიც რწმუნდება“. უპასუხისმგებლობა უფრო შორს ვერ წავა! მაგრამ გორდეზიანის კურიოზებით სავსე წერილში არის ერთი უმაგალითო კურიოზიც. „წმინდა ფუტურისტულ მიღწევებად“ გვიჩვენებს ბესიკის „ტანო ტატანოდან“ და სხვა ლექსებიდან ციტატებს. ძველი ქართული პოეზიის ცოდნის პრეტენდენტს ბესიკში ფუტურისტი აღმოუჩენია? წარმოსადგენია მეტი უმეცრება? ბესიკი, აღმოსავლური პოეზიის, მისი ეკზოტიკის, ეროტიკის, მზიურობის განსახიერება; — ფუტურისტი — წმინდა ევროპიული მიმდინარეობა, აღმოცენებული ურბანიზმის ნიადაგზე, თავისი მაშინერიით, დინამიკით, ექსპრესიით როგორ შეიძლება ამ ორი სრულიად მოწინააღმდეგე კულტურულ პოლიუსებზე მდგომი მოვლენების ერთმანეთში არევა? ეგებ ბესიკის მეტაფორა ან ალიტერაცია ატყუებს გორდეზიანს? ასეთი სტილისტური ხერხებით ხომ მთელი ჩვენი პოეზია,

მთელი სპარსული პოეზიაც სავსეა! ყველაფერი ეს ფუტურ-
რიზმი ყოფილა! ბესიკი — ფუტურისტი! ასეთია „გაბო-
როტებული ადამიანის“ კრიტიკული „შორსმჭვრეტელობა“.
მართლაც „შორსმჭვრეტელობა“!

მე მახსენდება ერთი ქართველი მწერალი საჯარო დის-
კუტზე მიმტკიცებდა — კონსტრუქტივისტები და კუბის-
ტები ძველ ეგვიპტეში იყვნენ! დაახლოვებით იგივეა გორ-
დეზიანის შეხედულებაც.

დასასრულ კრიტიკოსი განცვიფრებულია იმ მოვლე-
ნით, რომ **შალვა აღმაშენებელი**, რომელიც „ტფილისს არ
გასცილებია“ სწერს თანამედროვე მხატვრობის შესახებ.
კარგი იქნებოდა „მსოფლიო-შემოვლილ კრიტიკოსს აღე-
ნიშნა თუ რა შეცდომები დაუშვა აღმაშენებელმა თავის
წერილში. ვინ უარჰყოფს, რომ ორიგინალებში გაცნობა
თანამედროვე მხატვრობისა (ლიტერატურისაც) უკეთესია,
მაგრამ განა არ შეიძლება რეპროდუქციებს ან მიღებული
ლიტერატურის მიხედვით იქონიო შეხედულება ეხლან-
დელ მხატვრობაზე? არ შეიძლება ტფილისელს ქონდეს
წარმოდგენა მიქელ-ანჯელოზე, რაფაელზე? ავტორს
გონია, რომ ეს არ შეიძლება, რადგან, მისი აზრით „მხატვ-
რობა არის ხელოვნება თვალის (ხედვის) და ემყარება
ფერს“. მართო ფერს? საიდან გაიგეთ ასეთი სიბრძნე? მაშ
გრაფიკა არ ყოფილა მხატვრობა; გეორგ გროსი, ფრანს
მაზრელი არ ყოფილან მხატვრები, რადგან მათ ფერებთან
არ ქონიათ საქმე. გორდზეიანს მოეთხოვება იცოდეს, რომ
მთელი ფრანგული კუბიზმი სწორეთ „ფერადულობის“
(რომელიც იმპრესიონიზმმა გააბატონა) უარყოფიდან გა-
მოვიდა. მას უნდა ესმოდეს, რომ თანამედროვე მხატვრობა
გრაფიკული ნახაზებით, კონსტრუქტივიზმით, წარმოებითი
პრინციპებით არ ემყარება უმთავრესად ფერებს, რაც შეე-
ხება იმას, თითქოს ჩვენ ვფიქრობდეთ, რომ ქართული
თეატრი **გამრეკელმა** შექმნა — ესეც უდიდესი ცილისწა-
მებაა. ამის მსგავსი ჟურნალში არაფერი სწერია. აქ ლა-
პარაკია მხოლოდ ირ. **გამრეკელის** თანამშრომლობაზე ეხ-
ლანდელი ქართული თეატრის შექმნის საქმეში. ქართული
თეატრის მუშაკებმა კარგად იციან ჩვენი მათდამი დამო-

კიდებულება და მზგავსი ცილისწამებები აგრეთვე
ამაო შრომაა. ამითაც „წყალს ვერ აამღვრევსთ“.

აქ ვათავებთ გორდეზიანთან კამათს. ვფიქრობ ესეც
საკმაოა იმისათვის, რომ გორდეზიანმა იგრძნოს თავისი
გამოსვლის „უხერხულობა“ და მომავალში „თავი შეიკა-
ვოს“. ამიტომ მე მგონია ეს პირველი შეკამათება მასთან—
ამავე დროს უკანასკნელიც იქნება. მე არა ვარ მომხრე
ლიტერატურაში „სამოქალაქო ზავის“; მე პირველი მხარს
ვუჭერ ცხოველ და საქმიან პოლემიკის საჭიროებას, მაგრამ
ამისათვის საჭიროა პირველყოვლისა პასუხისმგებლობა,
ცოდნა, და რაიმე ეთიური ნორმებიც. უამისოდ კრიტიკოსი
ვერ გაიხარებს. ეს უნდა იცოდეს ყველამ და პირველ-
ყოვლისა: „მამარცხენეობას“ „რევიზორმა!“.

ფოტოგრაფია

სიღუპის ნაკვ დადიანის*)

(შვილის გახსენება).

სახელი.

მე ვსაუბრობ მამა ჩემზე.

მისი ჩვეულებრივი სახელია ნიკო დადიანი. ოფიციალური — ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანი. მწერლობაში ხელს აწერს „ნ. დადიანი“, იშვიათად — „ნიკო მეგრი“, ან ინიციალებით — „ნ. დ.“. საზოგადოებაში კი თანამედროვენი ეძახიან: „დიდი ნიკო“, „ნიკო ფილოსოფოსი“. სხვა სახელი და სხვა ფსევდონიმი, ან სახელწოდება მას არა ჰქონია არც საზოგადოებრივად და არც შინაობაში.

გარეგნობა.

გარეგნულად მაღალი, წარმოსადეგი კაცი, ცოტა ბეჭებში წახრილი. არც მსხვილი და არც წვრილი. ბრგე შესახედაობისა, მკვრივი ტანის პატრონი.

თმა-წვერ უღვაში ქერა აქვს. განსაკუთრებით თმა კარგად მოწეულ სიმინდის ფერი და ბუნებრივად ისეა დაკულულებული „ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად“. თუმცა თან ისე რბილია და სალუქი, რომ თვით ხშირი სავარცხელიც იოლათ იგნებს გზას მის სიხშირეში, მაგრამ გარდავლის შემდეგ თმა ისევ თავის-თავად ხუჭუჭდება.

*) ამ მოხსენების ნაწილი წაკითხული იქმნა ჩემ მიერ 1922 წ. ნოემბრის 2-ს ქ. ტფილის ხელოვანთა სასახლეში, მწერალთა მორიგ საღამოზე და მოსკოვში 1903-ს სტუდენტთა წრეში.

წვერ-ულვაში უფრო მუქია და ისიც ბუნებრივად და-
კრაკნილი. წვერი ოთხი თითის დადებაზე თუ იქნება წა-
მოზრდილი და ულვაშები... კოკობი ულვაშები, რომ იტ-
ყვიან, სწორედ ეს უნდა იყოს.

წვერ-ულვაშს შუა უცხოდ შემალულა ოდნავად გაპო-
ბილი, მეწამული ბაგე, რომლის ზემოთა ნაწილიც ქვემო
სიბრძნის ბალიშს მყუდროდ ასვენია.

ყველა ამათ თავს ადგას კარგა მომალლო ცხვირი, ცო-
ტა კეხიანი, რომლის ზემოთაც მოთავსებულან თაფლის
ფერი, ზომიერი, მაგრამ ცოტა მტკივნეული, ცოტა ელა-
მიც, მხოლოდ მაღალი ნების ყოფის გამომთქმელი
თვალები...

— თვალები იმისთვისა მაქვს დაზიანებული, რომ
ბავშობაში სოფლად მზრხოლავ ქონის სანთელთან მიხდე-
ბოდა კითხვა, ხშირად ბუხრის ცეცხლის სინათლეზე და
ზოგჯერაც უბრალო კერიის ცეცხლის შუქზე. — იტყო-
და ხოლმე.

ამისთვის სათვალეებს ხმარობს, „პენსნეს“, უფრო
კვამლის ფერს მზის სხივთა შესანელებლად. ისე კი მხე-
დველობა კარგი აქვს და უსათვალოთ მეცადინეობს.

თვალებ ზემო, წარბები თითქმის არა სჩანს, ქერა ბუ-
სუსები ნატიფ შუბლის სითეთრეს ეთხზვება, მხოლოდ ეს
შუბლი... აი აქ მართლაც დიდი სიმაღლეა.

წინ კარგა ძალზე გამოწეული, ზევით კოხტა ფერდო-
ბივით შემრგვალებული, ფართო მოედანი ნიჭისა და გო-
ნიერებისა, გახსნილი და გადამტკიცული.

მხოლოდ ხან-დაზმულს, უკანასკნელ ხანებში დააჩნდა
ორი ღრმა ნაკვალევი...

ეს შუბლთან და... ულვაშ-ზემოც ცხვირის ნესტოსთან
ღრმა, მაგრამ შერბილებული სევდაც გაწვა.

მთელი სახე კი მსხვილ-ძვლიანი, ფართო, მაგრამ არ-
სად კუთხე... ყველგან სიმრგვალეა დამთავრებული და
სრულ-ყოფილი.

თავის ქალის სიმრგვლე კი ისე დიდია, რომ მისი ქუდი
ბევრს არავის დაეხურება: სახეზე ჩამოეფხატება უთუოდ.

მთელი გამომეტყველება სახისა თითქო მუდამ
ოლიმპიური სიმშვიდით არის მოცული და ესეთ აღნა-
გობას ამ ქვეყნიურობას თუ აცხადებს ეს მისი საკვირვე-
ლი ხელები.

ნატიფი, მოგრძო, გამონაკვთული, მართლა ბროლის
თითები; მოქნილი და საზრისიანი. პოეტურ ფრჩხილთა
სადაფი, ვარდის ფრად რომ აჭვივებია...

ეს თითები ღირსია, რომ დავით წინასწარმეტყველის
ქნარს აუღერებდეს. ან ეპყრას:

„მინა რხეული“.

გულის სახე.

მამა თავის დროზე ერია იმ კომისიაში, რომელიც
„ვეფხვის ტყაოსნის“ დიდ-გამოცემას — გ. ქართველიშვი-
ლის — რედაქციას უკეთებდა. ბევრ ყალბ ადგილებს ააც-
დინა, თურმე, გამოცემა და საერთოდ დიდი გაკვირვება
და მოწონებაც გამოიწვია დამსწრეთა შორის ქართული
ენისა და ისტორიის ცოდნით, მაგრამ შემდეგში გამომცე-
მელთ. ბევრი რამ გასწორებული მაინტ გაუსწორებლათ
დარჩენოდათ და სხვათა შორის, მახსოვს, ფრაზა „ლახვა-
რი გულსა ხეული“ მამას დიდათ აღელვებდა.

მამას აზრით უნდა ყოფილიყო „ლახვარი, გულ-სახე-
ული“, ე. ი. გულის სახის მსგავსი, გულის მსგავსათ გამო-
სახული ლახვარი, თორემ უკვე გახეულ გულში ლახვა-
რის დასობა ამ ტაეპისათვის უაზრობას გარდა დიდი სი-
სასტიკეც არის და არა ვგონებ ამას რუსთველი ინებებდომ.
მაგრამ ეს სხვათა შორის. ეს ცოტა წინ წარბენაა...

მცხვრა მოხვრა დინჯი აქვს, დარბაისლური, აუჩქარე-
ბელი. სიარულიც ეგეთი, ცოტა მოღლილი.

ტანს მუდამ ევროპიულათ აცვია: შავი სერთუკი, ან
გრძელი „პალმერსტონი“ (ინგლისური ყაიდისა). სიჭაბუ-
კეში პაჭანაკებთან, ნაცრის ფერ შალვარსაც იცვამს, შავი
ყაითანი რომ აქვს იქით-აქეთ, გენერლის „ლამპასებიკით“
ჩაყილებული. არის ამის სურათიც. შემდეგში კი ზემო-
ხსენებულათ აცვია და თავზედაც უმეტესად ევროპიული

შავი „ქვაბუნა“ ახურავს. ზოგჯერ გრძელი, ბზინვარე ევროპიული ცილინდრი.

კიდევ ერთი გახსენება მხოლოდ ეხლა პატარა კურორტის:

დიდი მთავარი მიხეილი.

დ. ზესტაფონის სადგურის პერონზე შავს სერთუკში, ხელზე მოსასხამ გადაგდებული თავის გრძელ ცილინდრ დახურული. მამა დასეირნობს. მატარებელმა ჩამოიარა და სადგურთან შესდგა. თურმე მაშინდელი „ნამესტნიკი“, მეფის მოადგილე, ანუ ნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, მიმავლობს თავის ამალით.

მამას არ გაუგია და არც ქუდი მოუხდია. ვიღაც რგანელ გლესს ელაპარაკება.

„ნამესტნიკს“ შეუმჩნევია მამა, მისი ცილინდრ-ქუდის მოუხდელობა და... უკითხავს; ვინ არის, სოციალისტი ხომ არ არისო... შექმნილა სწრაფი გამოძიება და შემფოთებულან მამას მცნობნი. მამასათვის არ გაუგებინებიათ, ისე აუხსნიათ მამას ვინაობა „ნამესტნიკის ადიუტანტებისთვის“. ამათაც მოუხსენებიათ დიდი მთავრისათვის და შეკითხვიან — მოგგვაროთ თუ არაო, მაგრამ ვითომ მიხეილს უთქვამს:

„Оставьте, видите мирно беседует должно быть со своим бывшим или настоящим крепостным“!

ეს ამბავი დეკ. ლამბაშიძის გადმოცემულია.

იგი თურმე შემდეგში ეხუმრებოდა მამას: — გიშველა დადიანობამ, თორემ უსიამოვნებას მოგაყენებდნენო და ესაყვედურებოდა დაუდევრობას.

მამას მაინც შემდეგშიაც ცილინდრის ხმარება არ გადაუგდია, თუმცა ისეთი უცხო ხილი იყო იმ დროს, და შეიძლება, ზოგიერთა შორის, სიცილის გამომწვევიც.

კიდევ მეორე ეპიზოდი მამას დაუდევრობისა:

წითელი პარასკევი.

ეს უკვე ჩემსობას. მამას ძალიან უყვარდა ეკლესიაში სიარული. გამოჩინებული წირვა-ლოცვა, გალობა, არქიე-

ლის შემოსვა, რელიგიური ცერემონიები. მაშინდელ თბილისელ სემენარისტს უთუოდ ბევრს ახსოვს ხშირად მათ ეკლესიაშიც ჩვენი ოჯახის ბევრი ნაკვთი: მამა, მის გვერდით მისი შვილები, ე. ი. ჩემი და, ჩემი დის მარიაშ ანჩაბაძის აღმზრდელი და ჩვენი უფროსი მეგობრები, მაშინ გაუთხოვარი, ფალავას ასული ნატა და ჩვენ ორნი და-ძმანი, მე და მაშო. ეს ოთხნი უკლებლივ ვდგევართ წირვაზე, ან მწუხრზე და განკრძალვით ვისმენთ რელიგიურ ესთეტიზმის მღვდელ-მოქმედებას.

მამა მართლაც სულიერათ განგვმორდა თითქო და ჩვენთან აღარ არის. იგი თითქო მართლა „ამაღლდა ზეცად“. გამომეტყველება შორს არის და სული სულ სხვა იერით გაშუქებული.

ჩვენ დანარჩენებს გარეგნობა გვიპყრობს მხოლოდ: ზიზილ-პიპილები, კმევა, სამოსელი, გალობა და სხვ. გვბეზრდება ეს გაწმოდიალებული, გაჭიმული არქიელის ლიტურგია. მამას კი ეტყობა, — ეს ეხლა ვატყობ — რომ ნამდვილად განიცდის დიდს განდეგილობას, დიდს დარჩენას თავის თავთან, მაშასადამე, უწმინდეს ლოცვას, უდიდესს განწმენდას სულიერათ.

ჩვენც გვიპყრობს ესეთი მდგომარეობა მამისა და კიდევ უფრო განკრძალვით და სასოებით შევცქერით ამ ჩვენთვის არაფრის მთქმელი, ბრჭყვიალა ხატებს, მოლაპლაპე ლამპარებს და წმინდა სანთლებს.

წითელი პარასკევია.

ქ. თბილისში ეს დღე იმ დროს საპარადო დღეთ იყო მიჩნეული: ნამესტნიკი, გენერალიტეტი, ჯარი საპარადო ფორმით გამოწყობილი, ეკლესიაში და ეკლესიის გარშემო იყვნენ დამწყვრივებულნი. საყდარშიაც მხოლოდ შერჩევით უშვებდენ „დიდთა ამა ქვეყნისათა“.

დღის 2 საათზე გამოჰქონდათ გარდამოხსნა მაშინდელ ექსარხოსის კარის ეკლესიიდან და მოასვენებდენ სიონის ტაძარში დიდის გამოჩინებით.

მამაც მივიდა დანიშნულ დროს.

კარებზე პოლიციელები დახვდნენ და არ შეუშვეს. — რა ამბავია? — საპარადოთ არა ხართ გამოწყობილიო. მა-

მას ნაღვლიანად გაეღიმა და უპასუხა: „განა ქრისტე საპარადოთ იყო გამოწყობილი, როდესაც ჯვარს ეცვაო“.

პოლიციელებმა გზა დაუთმეს ამ მათთვის უცნაურ კაცს.

გარეგნობიდან კიდევ უნდა მოვიხსენოთ მისი ხმა:

ცოტა ბარიტონალური, ლმობიერი, აუმაღლებელი.

მე არ მახსოვს მამას ყვირილი.

სამაგიეროთ, განსაკუთრებით საზოგადო კრებებზე, რომელიმე მკვეთრ წუთას მისი ხმა თითქო არ ამაღლებულა, მაგრამ საკმაოთ ძლიერდება და მისი ფოლადი აკვესებს ნაპერწკლებს.

აქ უკვე შეუვალი იყო მისი ხმა: მტკიცე, დამარწმუნებელი და დამმორჩილებელი.

მისი საუბარი ხომ განთქმული იყო თანამედროვეთა შორის.

ნეკროლოგში თავის დროზე „უმნიშვნელო მეგობარი“ სწერდა დაახლოვებით ასე: „ნუთუ აღარ უნდა მოვისმინო შენი ტკბილი — სასმინარი ქართული საუბარიო“.

რალა თქმა უნდა, ეს საუბარი უმთავრესად საყურადღებო მით იყო, რომ იგი განმტკიცებული იყო დიდის ერუდიციით, შეუვალობის ლოლიკით და მომხიბლავი აღმაფრენით.

მომხიბვლელობა კი მთელს მის აღნაგობას უხვად აქონდა მოფენილი და ძნელად შეხვდებოდათ ისეთ კაცს, როგორი წრისაც, როგორი ცოდნისაც არ უნდა ყოფილიყო, რომ ერთხელ ენახა მამა, საათითაც დარჩენილიყო და ხელ-მეორედ არ მოესურვებინა მასთან ყოფნა.

იმიტომ იყო, რომ ცა და ქვეყნის ხალხი ეხვია მუდამ გარს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ეხლა სად იყო ეს კაცი აღზრდილი, რა შთამომავლობისა და რა წრეში ტრიალებდა.

შთამომავლობა.

როგორც ვიცით, ეს იყო დადიანი. საზოგადოთ კი, მოგეხსენებათ, საქართველოში დადიანი თავის დროზე წარჩინებული გვარი იყო. ჩვენს მათიანეს ბევრი ახსოვს

ამ გვარის რჩეულთაგანი და მათ შორის განსაკუთრებით—
თამარ-მეფის თანამედროვე ვარდანი, გმირი ცოტნე, დი-
დი ლევან, კაცი, რომელსაც მე დემოკრატს ვეძახი *, დიდი
ნიკო, ეს მეორე, ანუ უკეთ პირველი მამა ჩემამდე, სამ
შესანიშნავ შვილის პატრონი — გიორგისა, ბესარიონისა
და პეტრესი, რომელთაც, იონა მეუნარგიას სიტყვით, სა-
მეგრელოს მთავარი ხუმრობით „სამთა ძმათა მუშკეტერ-
თა“ ეძახდა თურმე. დასასრულ თვით უკანასკნელი მთა-
ვარი სამეგრელოსი დავით დადიანი, კაცი მეტად ჭკვიანი
და განგებანი. ამათ გარდა ჭყონდიდლები სხვადასხვა
ეპოქისა, რომლებიც უმეტეს ნაწილად დადიანთა საგვა-
რეულოდგან გამოდიოდნენ და იყვნენ მწიგნობარნი სა-
ერო და საღმერთო სჯულის მეცნიერნი და ნიჭიერი მქა-
დაგებელნი.

ასე რომ, დადიანთა საგვარეულოში ტრადიცია კულ-
ტუროსნობისა საუკუნოებით გადმოდიოდა ერთის თაობი-
დან მეორეში და ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული.

მე 17 საუკუნეში დადიანების, ვარდანიძე-ლიპარტიან-
თა, დინასტია შესწყდა ვაჟების მხრივ და დადიანობა
ხელთ იგდო ჩიქვანმა, მაგრამ მთავრის სასახლის და მის
მოგვარეთა ტრადიცია მაინც არ შეცვლილა და ჩიქვანე-
ბიდან წამოსული დადიანებიც ისე იდგნენ კულტურის და
პოლიტიკის სიმაღლეზე, როგორათაც მათი მოწინავენი.

ამ გვართ იმ გამონაყოფ შტოსაც, რომელსაც მამა
ეკუთვნის, მართებდა დაცვა ნაანდერძევ ტრადიციისა და
ამ ნაკვალევზე შექმნა ახალის ღირებულების.

ასე, რომ ამ ოჯახშიაც მისდევდნენ საერთოდ მწიგნო-
ბრობას, ჰქონდათ ძვირფასი ბიბლიოთეკა, ძველ ხელნა-
წერთა და მანუსკრიპტთა, რომელიც უკვე მამა ჩემის სი-
ჭაბუკეში დაიწვა და ეგრე სავალალოთ ჰქონდა მამას
მთელ თავის სიცოცხლეში. განსაკუთრებით ერთი წიგნი
„ნებროთიანი“, რომელიც დიდათ შესანიშნავი ისტორო-
ული რამ განძი იყო თურმე და რომელიც შემდეგ აღწერა

*) პირველი მთავარი სამეგრელოსი ჩიქვანთა დინასტიიდან.

მამას გადმოცემით თევდორე ჟორდანიამ თავის „ქრონიკებში“.

მისდევდენ შაირთ-მთქმელობას, ლხინის დროს ზმებს და მუნასიბებს, გალობას,—მწვიდობიანობის დროს უცხო წიგნთა თარგმანებას და სხვ.

აგრეთვე კანონმდებლობის ცოდნას, მის ცხოვრებასთან შეფარდებას. ეს უფრო იმიტომ, რომ მამას პაპა, ანუ იმერულათ რომ ვთქვა ბაბუა ალექსი, იყო უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე და მამა-კი ტარიელ-მდივანბეგი და მოურავი დღევანდელ მთელი სენაკის მაზრისა, გარდა აგრეთ წოდებულ საჭყონდიდლოსი — აბაშა, სეფიერთი და სხვ. — რომელიც ხელ-მეუხებლივ ეკუთვნოდა ჭყონდიდელს.

მაგრამ რაღა თქმა უნდა, ამ ოჯახშიაც უფრო სამხედრო სული ტრიალებდა: თოფ-იარაღი, საქმენი საგმირონი, ფალავნობა, ცხენოსნობა და სხვ. ამ გვარი. იყო, აგრეთვე საუკუნოებით გაღაღებულ ფეოდალთა სულსა და გულში ბევრი უცნაურობა, ბევრი უდიერობაც, ბევრი უსამართლობაც.

ხსენებულ შტოს მამათ-მთავარი, რომელიც სხვა დადიანთა შტოებზე უფრო ადრე გამოეყო მთავრის სასახლეს — იყო გიორგი.

კაცი გოლიათი სანახაობის, დიდი მრისხანე, დაუნდობელი, მაგრამ ეგეც მწიგნობრობაში გაწვრთნილი და უფრო კი, თურმე, დიდი სტრატეგი თავის დროისა, დიდი სარდალი, შემმართველი და სწორუპოვარი მხედარი.

გიორგი ენათესავებოდა ბაგრატიონებს. მისი დედა იყო ბაგრატიონის ქალი და ამბობენ თეიმურაზ მეორის დროს, მის დასახმარებლათ, რომელიღაც ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო და თავი დიდათ ისახელაო.

ხსოვნას შერჩა ერთი ნაამბობი, გიორგის ერთ-გვარად დამახასიათებელი:

აღდგომის წირვა.

აღდგომა დღეს თავის ამალით წავიდა გიორგი წირვაზე. სოფლად ეხლაც აღდგომას გამთენია სწირავენ ხოლ-

მე და მაშინაც ეგრე ყოფილა, მაგრამ გიორგის, თურმე, მეტად დააგვიანდა. რომ მივიდა, წირვა დაწყებული და ხვდა. ფრიად იწყინა, მღვდლის დასჯა მოინდომა, მაგრამ სხვა ველარაფერი მოახერხა და მღვდელს თავიდან დააწყებინა წირვა. აცახცახებული მღვდელი ერთ ხანს უარზე იდგა, ისიც შეჰკადრა — ქრისტიანულის ტიბიკონით ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ტრაპეზეზე ორჯერ მსხვერპლის შეწირვა (ზიარება) ერთსა და იმავე მღვდელის მიერ არ შეიძლებაო, მაგრამ მრისხანე ბატონის ბრძანებას აბა საით წაუვიდოდა და — დამორჩილდა. მით უფრო, ეგეც ყმა იყო გიორგისა. წინეთ ბატონყმობის დროს ზოგიერთ ყმა ოჯახს მღვდლობა ემართა, თითქო ბეგარასავით და ისინიც მღვდლობდნენ. მართალია ეს აძლევდა ერთგვარ შელავათს, მაგრამ რაკი ქოთანი ხარ, სულ ერთია, მექოთნე საითაც უნდა იქით გამოგაბამს ყურს.

ალექსი — შვილი გიორგისა და პაპა მამასი. ეს უფრო სხვა რიგის კაცი იყო თურმე. ეს უფრო დიდი გონების პატრონი იყო, უფრო პოლიტიკოსი, დიპლომატი, კანონების მცოდნე, უფრო მწიგნობარი, ერთის სიტყვით, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, უფრო კაბინეთის კაცი, ვიდრე მხედარი და აკი არც ეტანებოდა, თურმე, სა მხედრო საქმეებს. მთავარ ლევანს ძალიან უყვარდა და მთელს სამეგრელოშიაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. როგორათაც ბრძენს, სამართლიანს და ჭკუის საკითხავ კაცს.

მაშინდელი სამეგრელოს გონება, შინ და გარეთ მმართველი ხელი იყო ალექსი, ხოლო გმირულათ ამოწვდილი, მტრის მამაცად მომგერებელი ხმალი — დიდი ნიკო, რომელმაც შემდეგში ისეთის სიდარბაისლით აგვიწერა პროზათ ფოთის აღების ამბავი და რუხის ბრძოლა.

მთავარი ლევანი ამ ორ შესანიშნავ მოღვაწეებზე ამყარებდა თავის სამთავროს საქმეებს და თვით თავის დღეს ნადირობას, ლხინსა და თავადებთან სტუმრობაში აღამებდა თურმე.

თანაც, თურმე, დიდი მათხოვრია იყო. ე. ი. რომ გეწვეოდა თავის ამალით — ჭამა-სმით ხომ გაგაწყალებდა,

შემდეგ წასვლისას, რაც მოეწონებოდა უსათუოდ გთხოვ-
და ხოლმე: ცხენს, ძვირფას რამე ნივთს, ხატს, საქონელს,
ქათამსაც კი, თუ ცოტაოდენი განსხვავებული ჯიშის იყო.
სამეგრელოში ყველამ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ ბიჭი იყო
და უარს ეტყოდა ვინმე, მხოლოდ ერთმა ფალავამ
უხერხა.

ფალავას ბედაური.

ამ ფალავას მეტად ძვირფასი ცხენი ჰყავდა. თავს
ურჩევნოდა. ძუა-ფაფარს რძეში უბანებდაო. მაგრამ ლე-
ვანის მოლოდინში ერთ საოცარ ზნეს შეაჩვია: თავლაში
დაბმულ, ღარ-დასხმულ მერანს ყოველ დილით ქა-
ლადს მოუტანდა თვალებთან და იმავე დროს სადგისს
უჩხვლევდა. ამ გვართ ცხენი ისე გაიწვრთნა, რომ არამც
თუ დანახვაზე, ქალაღდის გაშრიალებაზედაც კი ყალხზე
დგებოდა. ფალავა კმაყოფილი იყო ცხენით და ულვაშებ-
ში ცბიერთა იღიმოდა.

მობრძანდა ლევანიც. ქეიფი, ნადიმი, ნადირობა. მთე-
ლი კვირა. დადგა წასვლის დღე.

— ფალავა, ცხენს გიქებენ, უნდა წაგართვა.

— ანებე, დადია, შენი ჭირიმე. ჩემი თავი გენაცვალოს!
გამოიყვანეს ცხენი. შეკაზმეს, შებრძანდა მთავარი.
იამა დიდათ მთავარს ცხენის სიკეთე.

ფალავა კი გულში იცინის, იცის რაც მოხდა. სიხარუ-
ლი ნაადრევია.

და მართლაც...

გზაში აგერ სამი გლეხი წამოჩოქილა, ხელში არზა
უჭირავთ.

მთავარი მიუახლოვდა, გლეხებმა გაშალეს არზები,
უნდა მიართვან და... აი ამ დროს:

ცხენი ერთი შეხტა და შეტრიალდა, კვინტი გაჰყარა,
ყალხზედაც შესდგა და მხედარი, მიუხედავად მისი მთავ-
რობისა, მიწას დაანარცხა.

დაუეჭილ მთავარს წყევლა ამოხდა ბაგეთაგან და შე-
ჩვენება გაუგზავნა ცბიერ ფალავას. ძლივს წამომდგარმა

ბრძანა: ეს გაუხედნავი ურა უკანვე მიუგდეთ იმ შეჩვენებულსაო...

და აი ამგვარ კაცის მთავრობის დროს ალექსი, პაპა მამა ჩემისა, ეხლანდურათ რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე დროს იყო საგარეო, საშინაო და იუსტიციის მინისტრი. მართლაც ამ ეპოქაში, ლევანის მთავრობის დროს, სამეგრელო მოიცვა შედარებით მშვიდობიანობამ, წესიერების განმტკიცებამ, ქურდობისა და ავაზაკობის ალაგმვამ და აღმშენებლობითმა შემოქმედებამ. ამ ხნის განმავლობაში სამეგრელო არ ჩარეულა არავითარს არც საგარეო და არც საშინაო ავანტიურაში, თუმცა ამისთვის საკმაო მიზეზებიცა ჰქონდა, ამის უმთავრესი ხელის შემწყობი, მახსოვარნი იტყოდნენ, ალექსი იყო.

მათგანვე გამიგონია, რომ ალექსის სახელი სამეგრელოს საზღვრებ გარეშეც რომ გეხსენებინა, უთუოდ პატივითა და მოკრძალებით მოგეპყრობოდნენო. მათვე მიამბეს შემდეგი პატარა ეპიზოდი.

კაცი შამფურზე.

დედალოურში (იმერეთშია, ხონის ახლოს) თავად წულუკიძეს მეტად თავი გააბეზრა თურმე ერთმა მეგრელმა ქურდმა. წულუკიძემაც უშოვა დრო, დაიჭირა მეგრელი, გათოკა, მიაკრა დიდ სარს და ცეცხლს მიუფიცხა. ცეცხლმა რომ კარგა მოუჭირა, მეგრელმა დაიყვირა თურმე მეგრულად: „დოჭვი, დოჭვი, ალექსი პატენის ქუაში კოჩი“. დასწვი, დასწვი ალექსი ბატონიშვილის კაციო (წულუკიძემ რომ გაიგო, მაშინვე ხელი აიღო და გაანთავისუფლა. მეგრელმა იტყუა — ის არ იყო ალექსის კაცი, მაგრამ საფარად იხმარა და გასჭრა.

ალექსის ეზო.

ალექსი ცხოვრობდა ს. ბეთლემში, მეტად კოხტა მდებარეობის არე-მარეში. ირგვლივ დობილოებით შეფენილი (მალლარი ვენახით) გორაკები, ქვევით კარგა ფართეზე დაცემული „ატეხილი ჭალა“, მის მკერდზე ლაპსის-ლაზულის ფერი, ჭირხლივით ცივი მდინარე ტეხური და ტეხურის

ძირობანიდან ცამდე ამალლებული მწვერვალი, რომლის მოედანზედაც დღესაც ზვიადათ გამოიყურება ისტორიული, ფარნაოზის დროის ქუჯის ციხე. იმას ქვემოთ კიდევ ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სამხრეთით, ბეთლემიდგან ორ ნაბიჯზედ, ალექსის ნასახლარიდგან ნახევარ ვერსზე, ნაქალაქევის სამკურნალო წყლები.

თვით ალექსის ეზო წარმოადგენდა შემდეგ სანახაობას: ეზოს შუაგულ, მომალლებულ ალაგს ორ-სართულიანი დიდი სასახლე. ქვევით ქვის პალატი და ზემოთ ხის მკვიდრი წაბლის ფიცრით ნაშენი თორმეტი ოთახი, რომლის წინ და უკან ფართე აივნებია შემოვლებული. განსაკუთრებით წინ აივანია შესანიშნავი, რომელიც რამოდენიმე საუენის სივრცეზე იშლება და აღმოსავლეთით სრულდება პატარა კარის ეკლესიით.

ეკლესიის წინ — ტრადიციული ცაცხვი. აქვს საჯდომები. ეს დარბაისელთა სასაუბრო და ზოგჯერ ალექსის სასამართლო დარბაზიც. სასახლის გარდა ეს კარგა მოზრდილი ეზო გადაჭედილია კიდევ სხვა შენობებით, ასე რომ ერთის შეხედვით პატარა ქალაქი გეგონებათ. ამ სახლებს, რაღა თქმა უნდა, თავისი დანიშნულება აქვთ: სასტუმრო, სამოურაო, საფარეშო, სამოახლო და სხვ. და სხვ.

გარდა ამისა, აქვეა გარიგებული შესამჩნევი თავლა, საჯინბო, ბელელი, ხულა, სასიმინდეები, ბოსელი, ძაღლების საბინაო და სხვ. და სხვ.

ამ გაშენებულს ეზოში ირევიან გარდა ბატონებისა, ბატონიშვილებისა, მოურავები, სახუცეები, ბზინდარები, ბაზიერები, კურზუალები, საგარეო შინაყმები, ხაბაზები, მზარეულები (გაგესქუები), ფარეშები, მოჯალაბეები, ხელოსნები, დაგლახაკებულნი, გასალოსებულნი, კრეტინები და სხვ.

აქვე არიან გადიები, გამდელები, მოახლეები, ძიძიშვილები, შეზრდილები, ან ობოლი ღარიბი ნათესავის ქალები. სავსეა ოჯახი.

და ვინ იცის ეროსი ხშირად შემოიპარება ამ ფართე ეზოს რომელიმე ჩუმი კარებით, ან იქვე ეზოსთან ჩამომდი ნარე პატარა გურძემიის ხვინჭკნარით, სილას რომ რბილ ქვეშაგებათ, თითქო განგებ, პირი მოუწმენდია.

ათქვირებული გოგოები, შეღერებული ვაჟები, მშვენიერი ელენეები და არა ნაკლები პარისები.

ამ ლალ ბუნების ქვეშ... „მომხიბლავ მთვარიან ღამეს“ გაშაბლონებულ სალექსო ფრაზის არ იყოს...

ცაცხვის ძირას დარბაისელნი მუსაიფობენ: ჩიბუხის მოლურჯო კვამლს მიუყვება მათი საუბარი საჭირ-ბოროტო, საქვეყნო კითხვებზე.

ხევით გაჩაღებულ სასახლეში დიდი ქალბატონი და სხვა მანიდლოსნები ხელ-საქმობენ რაიმე საკირკიტოს, ოქრო-მკედით შეთხზულსა. ეს ან დაფარნაა, ან გოძგარი ქართულ კაბის ღილებად გამოსადეგი. ან წულა-მესტის მოსირმვა. და ყველა ეს შეზავებულია რაიმე სადარბაისლო ქალური საუბრით, რომელსაც ოდნავ ჭორაობის ელფერი დაჰკრავს. მოახლენი და გამდელნი კიდევ თავის საღამურ სამუშაოზე არიან მიჩენილნი: ვინ ბამბას პენტავს, ვინ საბნებსა ჰკერავს, ვინ აუთოვებს, ვინ აბრეშუმის შულოს ძაფს ფირფიტაზე ახვევს და სხვ. და აქ კი სრულიად გადაბდლიალებულა ჭორის წითელ-ყვითელი ფართო ყვავილი. ვის არ გაუგონია „სამოახლოში გამოთქმული აზრი“ და ვაი მას, ვინც აჰყოლია... სამოახლო ღირს ასაწერათ მოკალმისაგან...

ქვევით ეზოში კი, სამზარეულოში, ისევ ფუსფუსია: ვახშმათ ძროხა მზადდება; ინდაურის საცივი და შემწვარი ტაბაკები, აქვე მზადდება ძროხის ბეჭი, გუფთათ გატენილი, შეზავებული კოწახურით და სხვა და სხვა უცხო სუნნელით.

მელვინე მარნიდან ღვინოს იღებს დოქებსა და პატარა „ნიტრებში“.

ხაბაზი ლავაშს აცხობს და თორნის მჭადს ბადრ მთვარეთ გამოიყვანს.

ვინც კი გადარჩენილია საქმიანობას, გამოფენილა ეზოში და მოახლეებს „ფუწის“ თამაში და „მუხანათობია“ გაუჩაღებია. მოისმის მათგან ახალგაზრდა, უდარდელი, სიცილ-ტკარცალი.

სასახლის ცოტა მოშორებით კი სჭექს „შადაელა შაიდა“.

უფრო ახლო, ცაცხვთან, საგარეო შინაყმები მოღზე მიმსდარან და ღიღინებენ უფრო არისტოკრატიულ სასიმღეროებს: „შავი შაშვი“, „გულო, შავ-გულო“, „არალო“, „სიჭოული“ და სხვ.

ამავე დროს სადმე ეზოს რომელიმე მიგდებულ კუთხეში, ან ეზოსთან მომდგარ ტყის სიხშირეში, საცა ფოთოლთაგან ქლივს გამომკრთალა მთვარის სხივი ოქროს ლურსმნებს აჭედს ნეშოიან ტყის ნიადაგს, სიყვარული თავის შნოიან საქმეს კობტათ აკეთებს და აი ასე...

მამა ტარიელი.

მამა მომსწრე იყო ამ ამბებისა, ამ ცხოვრებისა და მგონა თვით ალექსისაც, ნახევარი სიყრმე აქ ჰქონდა გატარებული, მაგრამ მამა არ აყვა ამ ცხოვრებას და ვერც მამაზე დააჩნია ეგოდენათ თავისი კვალი ესეთმა ცხოვრებამ, როგორც შემდეგში დავინახავთ.

სამაგიეროთ ამ ცხოვრების ნამდვილი პირმშო შვილი იყო მამას მამა ტარიელი.

ალექსის 22 შვილი ყვანდა თურმე, მაგრამ მათგან დაბოლოს 8 ქალ-ვაჟი შერჩა მხოლოდ და მათ შორის ყველაზე უფროსი ტარიელ, ანუ ტაია.

ეს იყო პირმშო ალექსისა:

და მან მშვენიერად იცოდა სამღვთო წერილი, ვეფხვის-ტყაოსანი, თვით იყო შაირთა-მთქმელი, ზმათა გამომჩარხველი, ტკბილი მგალობელი ეკლესიაში და სუფრაზე არა ნაკლებ ტკბილი მოღიღინე. ცხენოსანი, მოჯირითე, ომში შეუპოვარი, გამჭრიახი მხედარი და... მოყვარული ქალებისა.

ტან-მორჩილი კაცი იყო თურმე, მაგრამ ჩასკენილი, ბადრი სახის, საამური შავ-ტრუხა ვაჟკაცი.

ხასიათით კი უწყალო იყო, არ ჰგავდა ალექსის ღმობიერებით და მის ყმებს სასტიკად ეპყრობოდა.

ერთხელ, თურმე, რომელიღაც გლეხს ცხრა მტკაველი ღორი მოსთხოვა საშობაოთ. არ ვიცი, შეუსრულდა თუ არა ეს სურვილი, მაგრამ თვით სურვილის გამოთქმას ეტყობა წადილი ადამიანის დატანჯვისა.

ერთხელ კიდევ ვაში მომავალს, ძროხამ შებღავლა, თურმე. უბრძანა და ძროხას ენა ამოსჭრეს, იქვე სასწრაფოდ დანთებულ ცეცხლზე მწვადათ შესწვეს და, როდესაც ერთი ლუკმა იგემა, მაშინ დამწვიდდა.

მაგრამ ესეთი ხასიათი სრულიად არ უშლიდა ხელს, რომ იგი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილიყო. და როგორც ზემოთ მოვიხსენიე, სჭეროდა საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა. სხვათა შორის გამიგონია, რომ ის დიდი მოწინააღმდეგე იყო თურმე რუსეთის შემოსვლისა სამეგრელოში და ეს ემჩნევა იმ უდიერ კილოსაც, რომელიც იხსენიებს მას ცნობილი ბოროზდინი თავის ნაშრომში სამეგრელოს შესახებ. რაღა თქმა უნდა, რუსს ბოროზდინს ჰგონია, რომ პიროვნებანი, ვინც ამ საზღვიმო და „გამაბედნიერებელ“ შემოსვლას ეწინააღმდეგება — უარსაყოფია და დასაგმობი.

მაგრამ ამ ჟამათ ეს იქით იყოს.

ამ გვარად მე დავასრულე ერთგვარი გენიალოგიური ექსკურსი მამას წინაპრებისა ვაჟების მხრივ. დამრჩენია გაკვრით მოვიხსენიო მისი წინაპარი ქალებიც. აქაც წარჩინებული გვარები. აქაც სხეულის დიდი სილამაზე, აქაც და უფრო აქ მწგნობრობა, ხელ-საქმე, სარისტიანობა ოჯახში, მკურნალობა, ღვთის მოსაობა და სხვ.

აი მათი გვარებიც:

გიორგის დედა იყო ბაგრატიონის ქალი.

ალექსის დედა — ნიჟარაძის.

ტარიელ — ტაიასი — მიქელაძის.

და მამასი — აბაშიძის.

ოთხი წარჩინებული სახლის შვილი ტრიალებდა თანდათანობით ხსენებულ ოჯახში და შემოჰქონდა თავისი მამულ-დედულის სიკეთეც და სიდუხჭირეც, გემოვნებაც და აღზრდაც, თავისი გვარისა და ჯიშის კეთილშობილური სულ-გრძელობა და მხნეობა, მამაცობა, ან ფუქსავატური ამპარტავნება და მედიდურობა.

ყველა ესენი კი სტოვებდნენ თავიანთ ნაკვალევს და ამითი გროვდებოდა ამ ოჯახისათვის ის დიდი ზნეობრივი და გონებრივი საგანძური, რომელსაც ბოლოს უნდა გამოეთქვა თავისი ღირსეული და საუკეთესო სახე: —

ნიკო დადიანი.

დედა.

მაგრამ ეს მუხლი ჩემი საუბრისა მთლად არ იქმნებოდა დასრულებული, უკეთუ ჩვენ ცოტა უფრო არ დაუახლოვდებოდით იმ ნათელ ნაკვეთს აბაშიძის ქალისას, რომელიც უშუალოდ იყო მისი აღმზრდელი დედაც, მისი პირველი მასწავლებელიც და მისი წარმტაცი საერთოდ მწიგნობრობისა და კერძოდ მეცნიერებისაკენ.

ქალი არამც თუ ჩვეულებისამებრ მცოდნე იყო ქართული ენისა, ვეფხვის ტყაოსნისა და სხვა და სხვა ხელსაჭმისა, რომელიც თითქოს სავალდებულოც კი იყო მაშინდელი ქართველი ქალისთვის, არამედ საფუძვლიანად იცოდა თურმე, იმ დროის შესაღარათ, საქართველოს ისტორია, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, დიდი ხელთა, რომელიც მეტად რთულს, — მთვარისა და მზის, დრო და ჟამას ტრიალთა აღნუსხვის კომბინაციებს წარმოადგენს. ზედ-მიწევნით იცოდა სამღვთო რჯული, მაგრამ მარტო ისტორია და ლოცვები კი არა, არამედ დოგმატიური გამოკვლევანი და ყოველგვარი საეკლესიო წესები და ტიპიკონი... ასე რომ, ზე-მდგომი სასულიერო პირნი უფრო-ხოდნენ მასთან გამოკამათებას და უბრალო სოფლის მღვდლები შიშით ცახცახებდნენ. წირვა-ლოცვაზე არა შეგვცდეს-რა, თორემ აბაშიძის ქალთან ხომ მოგვეჭრა თავიო. ორი მის მიერ მომზადებული მღვდელი თავის დროზე აკურთხა მეტად სასტიკმა ეკზამენატორმა გაბრიელ ეპისკოპოზმა. ერთი იყო სამეგრელოში — შესამჩნევი პიროვნება მის წრეში — მაქსიმე გოგინავა და მეორე იმერეთში — მიხეილ მჭედლიძე, ძმა ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი კრიტიკოსის და საოზგადო მოღვაწის ევსტათი მჭედლიძისა. სწორედ ამ ევსტათიმ ესეთ ღირსეულ ადამიანის გარდაცვლისას 1880 წ. ფრიად გულთბილი და სრულიად დამახასიათებელი წერილი მოათავსა მაშინდელ „დროებაში“.

განსვენებული ხომ აგრეთვე დიდი მცოდნე იყო ძველი კარაბადინებისა და ზოგიერთის უებარის წამლებისა, რომლებიც ამ ჟამათ თვით მედიცინასაც უწამებია.

ამ გვარად ეს ქალი წარმოადგენდა თურმე ისეთ ტიპს ქართველი ქალისას, როგორსაც მთელი მე-19 საუკ. ლიტერატურა მიჰგოდებდა და მიჰქვითინებდა.

მამაც აუჩივლდა ერთ თავის ლექსში — „დედების ძღვენი“ ასეთი ტიპის გადავარდნას და ამ ლექსის თავშივე ამბობს:

„ჩვენს . უღკდობას“, ჩვენს უბედობას
არ აუჩივლდეთ აღარ გვარგია,
მიტომ, რომ აგერ დაიწყებს მხობას
ძველი „დედების“ რაც ამაგია.

რადგანაც:

„აღარ ახარებს ნორჩსა ყურებსა
მშობლიურ ენის ხმა მშობლიური;
აწ აღარ უკრავს ტკბილ ჩანგურებსა
ქართველი დედის ხელი ღვთიური“.

ეხლანდელ ქალს მამას შეხედულებით ახასიათებს:

„კაზმა-ჩაცმაზე მუდამი ზრუნვა,
უკადრისობა, ჯაფის თაკილი,
ამიკთა დევა, სულ მათთან ხტუნვა,
დღე ზანტი ძილი, ღამე ღვიძილი.
გრძელი კუდები, თმა ყვავთ-ბუდები *)

წელი ნაქაჯი, ჯინჭვლის ნამგვანი,
პუჭ-პუჭ ჯღუბები, სქლად ნაცუდები,
ქლეთილ-გლესილი პირი და ტანი... და სხვ.

სამაგიეროთ ძველი დედები ესე ჰყავს მამას წარმოდგენილი:

„სიტყვაში სიტკბო, ხელში საქმნარი,
ჭკუაში — ცოდნა მართებულისა,
ქცევაში სიბრძნე წყნარ-უკვეხარი,
გულში — წამება წმინდის რჯულისა,
აზრში — მამული, სახლი და შვილი,
განსჯაში — რწმენა წარმატებისა,

*) XIX საუკ. 70-80 წლების მოლაზეა აქ ლაპარაკი

ფიქრში — ერის სვე, ერის წადილი,
ხელში — ბეჭედი ღვთის ხატებისა...
ესენი ყველა ამკობდა ქალსა,
ქალსა დედასა და ქალსა ცოლსა“ და სხვ.
ასე რომ ამ სტრიქონებში კარგა გამოსჩანს პიროვნე-
ბა დედა მისისა.

როდესაც მარიამ აბაშიძის ქალი შემოვიდა ტაიას
ოჯახში, ოჯახის მსვლელობამ სულ სხვა სახე მიიღო: გა-
რეგან, შინაგან. ის კუთხე-ძგიდეები უსამართლობისათვის
რომ ამოშვერილ იყვნენ თითქო ხელოვანის ხელით გადაი-
ხერხა და მომრგვალდა, ის საჩხვლეტი ისრები, ფუყე
ამპარტავნებით რომ წინ იყო გამოწეული, უქმათ გადა-
ვარდა და ის მეჭეჭები და სოკოები ცრუმორწმუნოებით
რომ იყო აღმოცენებული, ნელი-ნელ აღმოიფხვრა, რადგან
ოჯახში დაისადგურა სათნოებამ, ღმობიერებამ, მიტევე-
ბამ ერთის მხრივ, თავის დროის ცოდნამ, მაღალმა გონიე-
რებამ, მტკიცე ლოლიკამ მეორეს მხრივ და თანდათან გან-
ქარდა საწყევდიადო უკეთურებანი.

ამ სახლში ამიერიდან აღარ ჰქონდა ადგილი ძალ-მომ-
რეობას, განუკითხაობას, მეძავეობას, ეს ყოველივე შე-
ცვალა ზნეობის განმტკიცებამ, სისპეტაკემ და სამართლია-
ნობამ.

ათასი მლოცველი გაუჩნდა მარიამ აბაშიძის ქალს.
სულიერათ შეჭირვებულნი, ნივთიერათ დაზარალებულ-
ნი, ადამიანთაგან შევიწროვებულნი, სხეულით დაავადე-
ბულნი, ყველანი „აბაშიხე“-სთან ჰპოებდნენ შვებას. ერთი
სიტყვით, თითქო დევიზათ გამოეფინა ამ ოჯახს ქრისტეს
სიტყვები: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი“ და სხვ.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ ღირსეული ქალის სა-
სახელო შვილს მის სიცოცხლეში არც ერთ დედის მიერ
შთანერგილი ეს სიკვთე უკუ არ უგდია.

და აი ადვილად მიხვდებით, თუ ესეთი დედა რა ნაწა-
საც დამღერდა ერთად ერთს, პირველსა და უკანასკნელს
ვაჟს, „ბამბის ქულა, პატარა ნიკოს“.

•ხიყრმე.

ნიკოც, ლაპარაკი და ნალაპარაკევის შეგნება რომ შეიძლო, დედის კალთაში ისმენს საარაკო ამბებს საქართველოს ჭირ-გადახდილობისას, ებრაელთა წარმტაც, სიბრძნით აღსავსე ლეგენდებს, ანცვიფრებს მის გონებას ცთომილთა გარიგებულობა, თანავარსკვლავედნი, ირმის ნახტომი, ხომლი, მარეხი და ხარის თვალა. აცინებს და თან დიდ სასჯელს აყენებს მის ნორჩ გონებას ზოგიერთ ცხოველთა და მცენარეთა ამბები. თან გულს საამურად ხვდება კარის ეკლესიაში მშვენიერი, გამწყაზრული წირვალოცვა და მამა მისის სხვებთან ერთად მოღუღუნე, ცამდე ამყვანი გალობა.

წამოიჩიტა?

— წიგნები. ჩაყვითლებული გრაგნილები, პაპირუსის ფურცლებიც-კი, ან ყდიანი ძველი, მრგვალი, შავი, მურაქათის მეღნით, თვალებში რომ ვეტევებიან, ისეთი ასოებით მოხაზული და სინგურებით მოჭიკჭიკებული, წამლით დახატული, დეკადენტური ფიგურები წელში აგერ აგერ რომ გადაიმტვრევა ისეთი ქალისა, ან უჩვეულო, შავი და სქელი წვერ-ულვაშის ვაჟკაცები, რომელთაც თავზე ჩაფხუტი ხურავთ და ხმლები, ჩხირივით წელზე, ძელებივით გამოჰკიდებიან.

მაგრამ ამას თავის დროზე მამა უკეთ აგვიწერს თავის „ფაცხაში“.

მარტოობა.

ერთი თითქო ანორმალობა:

იგი თითქო არც იმდენათ ერევა თავის ტოლ-ამხანაგების თამაშში და „ლლაბუცობაში“. სამოახლოს სრულიად არ ეკარება, თუმცა იმდენი მიმზიდველები ჰყავს იქითკენ — გამდელები, გადიები; მათ მიერ მოროთმეული ხილი, ტკბილეულობა. ან შინაყმები, ან პატარა ფარეშები, ხელზე მოსამსახურეები რას არ მოართმევდენ. მათემათიკურის სისწორით გამოჭრილს კოდალს (პატარა ისარი),

მშვენივრად ჩამოსხმულს და კოხტათ მოღუნულ მშვილდს, ზედ რომ მტკიცე ლარი უბია, პატარა გოგრაჭინას... რა გინდა სულო და გულო... ვის არ უნდა ასიამოვნოს ერთად ერთი მემკვიდრეს სამეგრელოში განთქმულის და მოწინავე პირის ტაია დადიანისა, ანუ ბატონიშვილისა, როგორც სამეგრელოში საზოგადოთ ეძახდნენ ყოველ დადიანებს — „პატონისჭუა“. მხოლოდ მთავარს, პირადათ მას, უწოდებდნენ — „დადია“-ს.

ჰო და ვის არ უნდა ასიამოვნოს ასეთ მემკვიდრეს და მერე მარტო ტაიასი კი არა, მთელი ალექსის ოჯახისა. რადგან სხვა ყველა ძმები ტაიასი უშვილებოთ გადადიან, მხოლოდ ერთს ბიძას ბესარიონს, მამა უკვე დავაჟკაცებული იყო, რომ ვაჟი შეეძინა და მახლობელთა აზრით-კი არამც თუ აქ, სამეგრელოში, ამ შტოს დადიანების მემკვიდრეა, არამედ იქ, იმერეთშიაც აბაშიძეების დიდი სამემკვიდრეოც დარჩება, რადგანაც მარიამის ერთად-ერთ ძმას ივანე აბაშიძეს შვილი არა ჰყავს. ესეც მოხდა, მაგრამ ამაზედაც თავის დროს.

ერთის სიტყვით, მამა ფიზიკურ გაწვრთნას არც თუ იმდენათ ეძლევა და ეს გარემოება მას შემდეგში არ მიაჩნია სანაქებოთ.

— ცალ-მხრივი აღზრდა არ ვარგაო — იტყოდა ხოლმე.

სიყრმის მეგობარი.

თუმცა ამ ხანებში მას ყავს ერთი თავისი ტოლი, უბირი ვინმე, მეტად მალხაზი, გონებიანი და ჯანსაღი ბავში, გუშინდლურათ რომ ვსთქვათ, უკანონოთ შობილი ტეტუია. ეს არის მისი სიყრმის ფიქრთა მეგობარი შემდეგში თითქმის შუახნამდე, განუყრელი ამხანაგი და თანამშრომელი.

ეს მშვენიერი კაცი სწორედ შუახნის იყო, რომ დიდტერიტით უეცრად გარდაიცვალა და სამუდამოთ გამოუგლოველი დარჩა მამას გულში. იგი დაიმარხა ისე, როგორც უფროსი ძმა მამასი და დამარხულია ჩვენს საგვარეულო სასაფლაოზე.

მარიამი იმასაც ეგრე ასწავლიდა, როგორც ნიკოს, მხოლოდ საბრალო ტეტუიას ვინ აცლიდა ბატონიშვილისა-

ვით ვარსკვლავთ-მრიცხველობაზედაც თავი დაედო და მართალია ნიკოს სიყვარულისთვის ბევრი უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული. მაინც უბირი ვინმე იყო, და უმთავრესად ხელზე მოსამსახურეთა ზრდიდენ.

მაინც და მაინც გადატეხის დრო დადგა. ნიკო იმ ასაკშია, რომ სერიოზული სწავლა უნდა დაიწყოს.

უკვე სხვა დროა, სხვა მოთხოვნებია. რუსი სამეგრელოში აშკარად ვერ არის შემოსული, მაგრამ სული დგას გარდატეხისა.

ტაია უარზეა. იმას სავალალოდ ისა აქვს, რომ მას ღირსეული შვილი არა რჩება. მას არ მოსწონს „ვარსკვლავთ-მრიცხველი“ შვილი. ხმლის მოქნევა არ იცის, დამბახის გასროლა. ვაიმე მამულო დაღუპულო!.. მერე კიდევ რუსების სასწავლებელი...

მაგრამ ბოლოს მაინც მოტყდა.

ცოლის რჩევამაც უთუოდ თავისი გაიტანა, საკუთარმა გამჭრიახობამაც.

და აი ტაიამ მთავარს ნება-რთვა გამოსთხოვა შვილისათვის, რომ ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მერმინდელს პირველ გიმნაზიაში, სწავლა მიეღო.

უამისობა არ შეიძლებოდა.

ასეთივე ნებაართვით იყო მამასთან ერთად გაშვებული შემდეგში მისი დიდი, გულითადი ამხანაგი ანჩაბაძე, თავის დროზე პეტერბურგში ცნობილი ვეჭილი, განთქმულ სპასოვიჩის თანაშემწე.

ამ გვარათ მამას ბედი სამუდამოთ გადაწყდა.

იგი სამუდამოთ ჩამოშორდა ძველ ფეოდალურ ოჯახის სულ-თქმას და მისი იდეებით ცხოვრებაში სიარულს.

სწავლა.

სასწავლებელში იგი ითვლებოდა თურმე ერთ საუკეთესო მოწაფეთ და ისე იოლად სწავლობდა, რომ ორი წლის შემდეგ, ნება გამოითხოვა და სულ ერთიანად ჩააბარა მაშინდელი მთელი კურსის სრული ეკზამენი. ეს ძალიან უჩვეულო და რთული საქმე იყო მაშინ, და მოწა-

ფეხსაც და მასწავლებლებსაც თითოთ საჩვენებლათ ყავ-
დათ იურძე.

მიხ. ნაკაშიძის ნაამბობი.

კლასში მხოლოდ ფორმისტვის იჯდაო—მიამბობდა
მამას თანადასწრებით მისი ნაამხანაგარი მიხეილ ნაკაში-
ძე, ბაქოში გუბერნატორობის დროს რომ მოკლეს—გაკვე-
თილებს კარგა ხნის შემდეგ აღარ ეკითხებოდნენ და ეგვიპ-
ტულამ რალაც გარეშე წიგნს ჩაჰკირკიტებდა: ან ფილო-
სოფიური შინაარსისა იყო, ან ბუნების მეტყველებიდან,
ან რაიმე ისტორიული გამოკვლევა, ან კიდევ მისი საყვა-
რელი ასტრონომია, ან სხვა რამ მათემატიკური საგანი.
აღარც ამას უშლიდენ. პირ-იქით, ჩვენ გვაყვედრიდენ
თქვენც აგრე მოგეცემათ ნება, თუ მაგასავით მომჭირნე და
მეცადინი იქნებითო. ჩვენ კი მაგისი ჯავრი გვჭირდა, მაგ-
რამ სხვაფრივ გვიყვარდა, ყველაფერში კარგი სამეგობრო
იყო, გარდა ქეიფისა და ჩვენც ამიტომ არ ვაკადრებდით,
თორემ ისე კი გვწყინდა მამხილებელ სინდისივით ყოველ-
დღე თავს წამოგვყუდოდაო. ასეთი საძაგელი კაცი იყო
მამაშენიო.

მეხუმრებოდა მხიარული მოხუცი.

და მართლაც ეტყობა, რომ სწორედ ამ ხანებში მამა
საფუძვლიანად შეუდგა თვით-განვითარებას და ხარბათ
დაეწაფა იმ გონებრივ წყაროს, რასაც კი იძლეოდა მა-
შინდელი რუსული სამეცნიერო ლიტერატურა და ქუ-
თაისის შესაძლებლობა.

ლოლობერიძეები.

ქუთაისში ამის შესაძლებლობა იმ ჟამად არსებობდა
სწორედ იმ ოჯახში, საცა მამა მოწაფეობის დროს ცხოვ-
რობდა.

ეს ოჯახი იყო ოჯახი ლოლობერიძეებისა.

ამ ლოლობერიძეების ოჯახიდან წამოვიდნენ ცნობილი
მოღვაწენი მე-ნო წლებისა: ბესარიონ, ნიკო და გიორგი,
პირველი სტუდენტები იმერეთისა.

ეს ოჯახი იყო მაშინდელი ცენტრი იმერეთისა, მოწი-
ნავე აზრთა მატარებელი.

ამ ოჯახში გაისმოდა საუბარი და სჯა-ბაასი მაშინდელ საზოგადოებრივ, საჭირ-ბოროტო კითხვებზე, პოლიტიკაზე, ეკონომიურ საკითხებზე, სამეცნიერო საგნებზე, საქართველოს ისტორიულ წარსულზე, თანამედროვე სავალალო მდგომარეობაზე, სტამბაზე, გაზეთზე, ბანკზე, ყველა ამეების დაარსების საჭიროებაზე და სხვ.

ეს ოჯახი იყო საზოგადო ტონის მიმცემი დასავლეთ საქართველოში, მას თავის მხარ-ბეჭზე ჰქონდა ნატვირთი მაშინდელი კულტურული საქმიანობა.

აბა რალა თქმა უნდა, რომ ნიჭიერი და მაღალ-გონიერი ახალგაზრდა ხარბად შეისუნთქავდა ასეთ მამრთელეებელ ჰაერს და თავგადადებით ჩაუღრმავდებოდა ხსენებულ ოჯახის მდიდარ ბიბლიოთეკას.

იმავ ხანებიდან თვითონაც იწყო წიგნების გამოწერა და ბოლო ხანებში მისი ბიბლიოთეკა რომ გადაგეთვალთვინებინათ, ჩვეულებრივ კლასიკოსებისა და მეცნიერულ წიგნების გარდა, შეხვდებოდით სპეციალურ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა წვრილამ გამოკვლევებს, ბედუკერისებურ გამოცემებს, ატლასებს, სხვადასხვა გვარ ალმანახებს და საერთოდ ასეთ საცნობარ ბროშიურებს.

არაფერი რა გამოეპარებოდა, ყოველივე იყო მისთვის რთული შესასწავლი და საინტერესო. ახალი გამოგონება ტექნიკაში, ახალი გამოკვლევა, ისტორიული, ან სხვა რომელიმე სამეცნიერო საკითხისა და განსაკუთრებით მედიცინაში, უსათუოდ ჰქონდა შეძენილი და იყო მისი შესწავლისა და შეთვისების საგანი.

ესე სჭირდა სულ სიკვდილამდე. ხანში შესული, 52 წლის კაცი ჭაბუკურის გატაცებით ეძლეოდა რომელიმე საგნის შესწავლას და სანამ ხელ-მოღებით და საფუძვლიანად არ შეითვისებდა, მანამ არ მოეშვებოდა ხოლმე.

საკვირველი იყო მისი ერუდიცია, მისი თითქო უნივერსალობა, მაგრამ მე კიდევ წინ გავრბივარ...

როგორც ზემოთ ვსთქვი, ამ ხანებში შეუდგა იგი საფუძვლიანად თვით განვითარებას და ხასიათის და მტკიცე ნების ყოფის გამოჭედვას.

ბაქო.

ამ ხანებიდან საყურადღებოა ერთი ეპიზოდი.

სასწავლებელში ამხანაგთა მიზანმიმართულად თამბაქოს წევას მივეჩვიე — იტყოდა ხოლმე. — ვწევდი თავ-გადადებით, მაგრამ რომ ჩავუფიქრდი, შევატყვე, რომ ამ ჩვეულებამ დამიპყრო და მონათ გამხადაო. გადავწყვიტე აღმეკვეცა თამბაქოს წევა. ამისთვის ვიყიდე საუკეთესო ხარისხისა და უძვირფასესი, სუნნელოვანი თამბაქო, გავხსენ და მაგიდაზე წინ დავიდე, თვით კი მეცადინეობას შეუდექიო. მალიზიანებდა თამბაქოს სუნი, ერთი კვირე ვიქცეოდი ასე და ბოლოს ვძლიე...

ამ გამარჯვებამ დიდათ გამახარა.

მართლაც ამის შემდეგ არავის უნახავს, რომ მამას თამბაქო მოეწიოს.

აგრეთვე ებრძოდა სხვადასხვა, შეიძლება წარმტაც, მაგრამ მავნებელ ჩვეულებათა შეთვისებას და სიკვდილამდე გამოსახავდა შედარებით სრულს და დამოუკიდებელ პიროვნებას, რომელსაც არავითარი რაიმე აკვიატებული ზნე არა სჭირდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამიტომ იყო შემდეგში ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა მის პიროვნებას. მის ზნეობით სიფაქიზეს, რომელიც მის მტრებსაც კი სწამდათ. რადგან ის მარტო სიტყვით კი არ იყო მქადაგებელი, არამედ თავის ცხოვრებით იყო ნათქვამის მაჩვენებელი და ეს კი იწვევდა მის მცნობში უშუალო რწმენას მისი პიროვნებისადმი.

გამოცდები რომ ჩააბარა, განიზრახა-საზღვარ-გარეთ წასულიყო და იქ მიეღო სწავლა, იქ გაეფართოებია ჰორიზონტი მისი მსოფლ-მხედველობისა, მაგრამ ამ დროს გარდაიცვალა მამა მისი ტაია და დედამ, აბაშიძის ქალმა თავისაგან აღარ განიშორა საყვარელი შვილი და ოჯახის ერთად-ერთი პატრონი.

მამას სწამდა დედისადმი მორჩილება და ამ მრწამს იგი არ წაუვიდა.

მართალია მისი წადილი საზღვარ გარეთისაკენ სულ სიკვდილამდე იყურებოდა.

რა ცხოვრება იყო მაშინდელი ცხოვრება.

შვილები რომ წამოვეზარდეთ, ეხლა ჩვენთან ერთად ფიქრობდა საზღვარ გარეთ მოგზაურობას, მაგრამ ეს არ მოხერხდა სამუდამოდ დარჩა სამშობლოში, სიკვდილის დღეებს გარდა და ჩაება მაშინდელ ცხოვრების უღლის გაწევაში.

საზოგადებრივი სამსახური.

რა ცხოვრება იყო მაშინდელი ცხოვრება.

უვიცი, უსწავლელი ხალხი. პოლიტიკურად დამონებული სამშობლო და ეკონომიურათ წელ-გაუმართავი. განსაკუთრებით საქართველოს ის კუთხე, რომლის ღირსეული შვილიც ის იყო, სამეგრელო. აქ კიდევ უფრო საგრძნობელი იყო დუდჭირი მდგომარეობა მთელი ქვეყნისა.

იქ უნდოდა შველა, გრძნობა და გონებაც იქეთ უთითებდა, რომ მისი ცოდნა და უნარი აქ მოეხმარა.

უწინარეს ყოვლისა მისი გონება მიიპყრო სოფლის უსწავლევლობამ, სულიერმა და ნივთიერმა გაჭირვებამ და ფიზიკურმა ავადმყოფობამ.

ის არ შევიდა არსად სახელმწიფო სამსახურში.

ბევრ-გზით მოუმართავთ მისთვის მაშინდელ ძალაუფლების მქონე პირებს, სიჭაბუკეშიც და ხანგადასულობისასაც. შეუძლევიათ საპატიო თანამდებობანი, მაგრამ მამა არ დათანხმებულა.

მართალია, ის იყო ნივთიერათ უზრუნველ-ყოფილი, დარჩა დიდი სამემკვიდრო, განსაკუთრებით იმერეთში, საცა დედით ბიძა მისი, ივანე აბაშიძე უშვილოთ გარდაიცვალა და დიდ-ძალი მამული დაუტოვა.

— „ბარე ხუთ სოფელს მოვთვლიდი ზემო იმერეთში მამა თქვენის დროს, საცა მონაწილეთ ვითვლებოდითო“. — მეუბნებოდა სავანელი, ივანე აბაშიძის ხელოსნად ნამყოფი და ჩემი შემსწრები, ოთხმოცი წლის დათია ამყოლაძე: სვირი, რგანი, ცხამი, სავანე, არგვეთა. აქ ყველგან გვქონდა მამული და რგანში ხომ შემდეგ შავი ქვაც აღმოგვიჩნდაო.

დარბაისლობდა ბევრ-რამის მნახველი და შემსწრე, გონიერი ამყოლაძე.

მამა მარტო ამისთვის კი არ შედიოდა სახელმწიფო სამსახურში: თვით მისი სული და გული, ანუ უკეთ, მთელი მისი მსოფლ-მხედველობა წინააღმდეგი იყო მოხელოებისა და თავაზიანათ, მაგრამ მტიკცეთ და შეუცვლელათ ყოველ ესეთ წინადადებას ჩამოიშორებდა ხოლმე.

და მაინც რა არგუნა ამ კაცს მაშინდელმა ცხოვრებამ: ბანკირობა. ექიმად ყოფნა. დებუტატთა საკრებულოში სამეგრელოს წარმომადგენლობა და სხვ. ამგვარი მურეხი საქმე.

მწერლობა? თეორეტიკოსობა?

თვითონ სწერდა ერთხელ გიორგი წერეთელზე :

„გაჩენილია სამწერლოდ“...

მე მგონია თვით მამა იყო გაჩენილი სამწერლოდ, კაბინეტის კაცად, თეორიების ჩამომსხმელად; ფილოსოფიურ სისტემათა გამომქანდაკებლად, მაგრამ...

მბრძანებელმა და მეფემ,

ცხოვრებამ...

პრაქტიკულ საქმიანობაში დაახურდავა.

სათავისო სინამდვილე კი მოსაგონრად შთამომავლობისათვის, ხელშესახები ნაწარმოები ლიტერატურაში ნაკლები დარჩა...

შეიძლება ამასაც მიეწეროს ის დავიწყების ნაზი ლეჩაქი, რომელიც ეხლანდელთათვის ეგრე მკრთალად აჩენს ამ ახოვან სახეს.

მაინც გავიხსენოთ როგორი იყო ის საზოგადოებრივ სამსახურში:

იმერეთის ბანკი, ანუ „მიხეილის საადგილ-მამულო ქუთაისის ბანკი“, როგორც ვიცით, დაარდსა ბესარიონ როლობერიძის მიერ, თითქმის იმავე დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძე აარსებდა ამგვარსავე იპოთეკის ბანკს ტფილისში.

ეს იყო დიდი პატრიოტული საქმე იმ დროსი, ამის გარშემო ფიქრობდნენ მაშინდელი ქართულ კერის გაღვივებას.

მამა კი ამ დროს გართული იყო სოფ. ბეთლემში ახალგაზრდათა მწვრთნელობის საქმით.

საწურთნელი.

ლევ ტილსტოის არ იყოს, მას ჰქონდა მის ოჯახში მოწყობილი ახალგაზრდათა საწურთნელი, საცა განურჩევლად წოდებისა, ახალგაზრდობას ასწავლიდა წერა-კითხვას, არითმეტიკას, გეოგრაფიას და მეურნეობას.

ჰქონდა ამას სახელმძღვანელოები, თვით მის მიერ შედგენილი, მაგრამ ბიბლიოთეკის დაწვის დროს ყველა ესენიც უმსხვერპლნია ცეცხლს, გადარჩენილა მხოლოდ ერთი კონსპექტიური მონახაზი გრამატიკის წესებისა.

ამავე დროს იგი გაუტაცნია მედიცინას და დაუწყია მკურნალობა სნეულთა.

პირველი ტრფობა.

იმავე ხანებში, ეს უკვე 60 წლების დასასრულია, მის გულში უფეთქია სიყვარულს მომავალ მის მეუღლისადმი და, როგორც თვით ამბობს ერთს ლექსში: „თავსა დაუდგამს ტრფობას გვირგვინი“.

არსებობს დიდი რვეული, ჩაყვითლებულ ქაღალდზე ვერ-მკრთალ მელნათ ნაწერისა —

ეს მამას მეუღლის ლიდია წულუკიძის ქალის ნაწერია.

აქ მოთხრობილია ნაზი რომანი ორ ახალგაზრდათა...

ეს თითქო უფრო ბელეტრისტული ნაწარმოებია. ვიდრე დღიური ახალგაზრდა რომანტიულის იერით შეყვარებულის ქალ-ვაჟისა.

და აი ცოლ-შერთულ მამას საკუთარ საქმიანობაში გართულს, ბესარიონ დოლობერიძისაგან მოუღის წინადადება, რომ იგი გახდეს ახლად დაარსებულ ბანკის დირექტორად.

მამა უარზეა — მართალია ცოლიც შეირთო და სოფელსაც ჩაუბრუნდა, მაგრამ ის კიდევ ოცნებობს საზღვარ გარეთ წასვლაზე. ცხოვრების ფათო ასპარეზზე გამოსასვლელად თავი მზათ არ მიაჩნია.

ამ დროს მოდის წერილი დედასაგან. დედა სწერს თურმე დაახლოვებით ესეთ შინაარსის წერილს: სამშობლომ

მოითხოვა, შვილო, შენი სამსახური და შენც უნდა შეასრულო შენი მოვალეობაო. წინაღ შენი წინაპრები ხმლით საქმიანობდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, შენ კი შენი ცოდნა და ნიჭი უნდა მოახმარო ამავე საქმესო...
თქვენ იგრძნობთ სიმძიმეს ამ წერილისას.
წერილმა გასჭრა და მამა შეუდგა ბანკირობას.

მინისტრული ჟესტი.

ბესარიონ დოლობერიძის გარდაცვალების შემდეგ მამა ასრულებდა ბანკის თავმჯდომარის მოვალეობას და ის იყო კიდევ ერთად ერთი ყველა ბანკების კანდიდატი, მაგრამ აქ მოხდა იმ დროსთვის ერთი უცნაურობა.

მამამ საზოგადო კრებაზე შეიტანა პროექტი, რომ მსესხებელ ებრაელებსაც მისცემოდათ გადამწყვეტი ხმა კრებებზე.

პროექტი არ იქმნა კრების მიერ შეწყნარებული და მამა გადადგა თანამდებობიდან და არც შემდეგ ისურვა მისი კანდიდატურის წამოყენება.

ბევრი ჰაი, ჰაი, ბევრი შეხლა შემოხლა, მაგრამ მამა მაინც თავისას დაადგა და...

უმრავლესობა ვერ მიხვდა მამას ეგეთ ევროპიულ, მინისტრულ ჟესტს.

საოჯახო უბედურებანი.

სწორედ ამ დროს თავს დაატყდა ზედი-ზედ ოჯახური უბედურებანი: მოუკვდა ორი შვილი.

გარდაეცვალა სატროფო ცოლი. ამათ ზედ მოჰყვა საყვარელი დედა მისი, აბაშიძის ქალი და იმავ ხანებში ზემოხსენებული სიყრმის მეგობარი და თან შეზრდილი, მისი შერმადინი, ტეტუია.

მეტად სასტიკი იყო ამ ხანებში მამას ბედი. ამდენ ძვირფას და შეუნაცვლელ ადამიანთა დაკარგვა თქმა არ უნდა, ღრმა კვალს დასტოვებდა მის სათუთ და გრძნობიარე გულში. ეს ემჩნევა მის ამ დროს ელეგიულ ლექსებს, მიძღვნილს მიცვალებულთადმი:

„... აქა წყვედიადი მწუხარებისა,
ზღვა მოქვითინე ცრემლთა ვნებისა,
აქ შემლალადი ძნობა ტყებისა,
ზარი გლოვისა საობლებისა,
აქ ჭირი, კვნესა. სოფლის გოდება,
სატროფო სახელთა მოთქმით წოდება,
აქ ჰგალობს სულის კაშენის კარგი,
აქა სდულს ცრემლი შენაგუბარი
და ზეცის უვკდავ მკვიდრთა სუფევას
აქ მოასწავებს მხოლოდ სამარი!
სამარი ბნელი, ცივი, უკუნი
განხრწნის საუნჯე, სულ-შესაძრწუნი.

მახსოვს, ეს ლექსიც და კიდევ ორიოდ, ესეთი სა-
მგლოვიარო: „ლიდიას“, „სახეს“, „სამებას სამებისად“,
გამოთქმული თავის გარდაცვალებულ ცოლ-შვილზე, მა-
თი სურათებით, განსაკუთრებულს შავს ჩარჩოში მოთავ-
სებული, მუდამ ეკიდა მის კაბინეტში და ჩამოფარებული
ჰქონდა შავი ლეჩაქი.

ამ უბედურებათა შემდეგ
იგი ოჯახში დარჩა მარტოდ მარტო უმეგობროდ და
ტოლს მოკლებული. თან ხელში შევრჩით ორი შვილი, მე
და ჩემი და მაშო და მთელი სიმძიმეც ყრმათა აღზრდისა
მას დააწვა.

ასკეტიზმი.

პირველის შემდეგ მას ცოლი არასოდეს არ შეურთავს
და არც არავის ახსოვს, რომ მამას ოდესმე ვინმე საყვარე-
ლი ჰყოლოდეს ან წუთიერად მაინც სქესობრივად გატა-
ცებულიყვეს.

ამ მხრივ გასაოცარი იყო მისი ასკეტიზმი.

და აკი ჩვენი სახლი მონასტერს ჰგავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სახლშიაც მამას სიცოც-
ხლეში უამრავი ხალხი ირეოდა და თვით ოჯახშიც ხშირად
ოცზე მეტი სული ვიყავით ქალ-ვაჟნი, არავითარი არასო-
დეს რომანტიული შემთხვევა არ მომხდარა და თუ ვისმეს

გრძნობა გასხლექტია ოჯახში დამყარებულს ფილოსოფიურ ატმოსფერას, თვითაც ჩამოთხოვია ამ ოჯახის წევრობას და საასპარეზო სხვაგან გადაუტანია.

ეს ოჯახი სულ სხვა ჰაერით სუნთქავდა და ეროსის მალძეერთებელნი განკრძალვით იყვნენ.

აქ, როგორღაც სულ სხვა მაღალი ატმოსფერა იყო შექმნილი, სულ სხვაგვარი გატაცებანი მეცნიერებით, ხელოვნებით, საზოგადო საკითხებით და ქვესაგრძნობანი აქ ვერ ბოგინობდნენ.

ამიერიდგან მამას მთავარი ყურადღება შვილების აღზრდას ჰქონდა მიქცეული და...

შვილების აღზრდა.

აქაც უცნაურობა გამოიჩინა: არც ერთი შვილი არ მიგვცა სადმე სასწავლებელში.

არც ჩემს დას და არც მე არსად არაფერი არ გვისწავლია.

ქართული ანბანიც კი თამაშ ბურჭალში შევითვისეთ სრულიად გაუჭირვებლად და მოულოდნელათ, ჩვენც არ ვიცით როგორ.

და რუსული ხომ ორივე და-ძმანი უკვე 17-18 წლის ვიყავით, რომ გავიცანი. ამ ენისთვის ესე მოჩიტულებს მხოლოდ რამოდენიმე თვით გვყავდა მასწავლებლები.

იმავე დროს-კი ჩვენს სახლში მცხოვრები ახალგაზრდობა მამას მეოხებით და ხშირად მისი ხარჯითაც სწავლობდნენ სხვადასხვა ოფიციალურ სასწავლებლებში: გიმნაზიაში, სემინარიაში, შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ.

ბევრი უძრახავდა: შვილებს არ ასწავლისო.

მაგრამ მისი აზრით — დღევანდელი სკოლა ვერ აკმაყოფილებდა საღ პედაგოგიურ პრინციპებს: ულაყებდა ტვიხს, რყენიდა ზნეობრივათ და განსაკუთრებით ქართველებს გადაგვარების გზაზე აყენებდა.

იანოვსკი.

შესამჩნევია მამას პასუხი იანოვსკისადმი.

იანოვსკი ცნობილი რუსის მოხელე იყო ჩვენში. განათლების ოლქის უფროსი, რაღა თქმა უნდა, რუსიფიკატორი იყო, მაგრამ თანვე ფრთხილი პოლიტიკოსიც და მამასთანა მოღვაწეებთან დამოკიდებულებას არ იშლიდა.

ზოგჯერ სტუმრათაც გვეწვევოდა ხოლმე სადარბაზოთ და ერთხელ, საქმე დღეს, შუა დღისას, მე უკვე მოჩიტული 16-17 წლის ყმაწვილი, სახლში რომ მნახა, ეუცხოვა. ჰკითხა კიდევ მამას — რათ არის სახლში თქვენი ვაჟი, განა არსად არა სწავლობსო.

სინამდვილე რომ გაიგო, მაინც იკითხა, მაშ შინ ამზადებთ.

ამაზედაც რომ უარი მიიღო, დიდათ გაიკვირვა და ზრდილის დაცინვით კვლავ შეეკითხა:

— მერე რა გნებავთ, რომ მაგისაგან გამოვიდესო.

— უწინარეს ყოვლისა — ადამიანიო, უპასუხა მამამ.

მაშ რაღა იყო ჩვენი აღზრდა.

მამა უმთავრესად ყურადღებას აქცევდა ჩვენი სხეულის სიმრთელეს, გონების შეთამაშებას, გონებრივსავე ჰორიზონტის გაფართოვებას და შემდეგში რაც ჩვენ გვინდოდა იმ სპეციალობაზე დადგომას.

სხეულის სიმრთელეს ხელს უწყობდა საარაკო, პირდაპირ მეცნიერული მოვლა ჩვენი. ძილი თავის დროს, წამოდგომა თავის დროს, სუფთა ჰაერი, ბუნებასთან ახლო ყოფნა, კვება შემრგე და გადაუჭარბებელი და კიდევ ბევრი სხვა წვრილმანი.

გონებრივ ჰორიზონტის გაფართოვებას — შერჩეული საზოგადოება. მამასთან ბევრი დადიოდა, მაგრამ ყველანი არ იყვნენ რჩეულნი. და მით ცდილობდა, რომ ასეთთა გავლენის გარეშე გყოფილიყავით. აგრეთვე ხელს გვიწყობდა მისი მდიდარი პირველ ბიბლიოთეკის შემდეგ ახლად მის მიერ შეძენილი წიგნთ საკავი და, რაც ყველაზე უმთავრესია, თვით მისი საუბარი ჩვენთან, ან სხვებთან, რომლის მოსმენაც, უდრიდა რომელიმე სპეციალისტ პროფესორის ლექციის მოსმენას, რა საგანზედაც გნებავს.

სპეციალობის არჩევას კი იგი ჩვენ მიერ მოელოდა სა-
ზღვარ-გარეთ, სადაც გამგზავრებას, როგორც არა ერთ-
ხელ მოვიხსენიე, სულ ბოლომდე სურვილობდა.

რალა თქმა უნდა, მიმიხვდებით, რომ ჩვენი აღზრდის
ამბავი მხოლოდ მის დასახასიათებლად არის აქ მოყვა-
ნილი.

მწერლობის სტიქია.

ამავე დროს იგი თუ ერთის მხრივ შვილების აღზრდასა
და თვალ-ყურს ანდომებდა დიდ დროს, მეორე მხრივ დაუ-
ლაღავათ განაგრძობდა ლიტერატურულ და საზოგადო-
ებრივ მოღვაწეობას.

სწერდა და თარგმნიდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამ-
ებს, რომელთაგან ზოგ-ზოგი იბეჭდებოდა მაშინდელს
დრო-გამოშვებით გამოცემებში, უფრო კი, რა თქმა უნდა,
მაშინდელ ერთად ერთ გაზ. „დროებაში“. იქვე ათავსებ-
და იგი პუბლიცისტურ წერილებს თანამედროვე საჭირ-
ბოროტო საკითხებზე და საჭიროების დროს აწარმოებდა
სასტიკ პოლემიკას ბანკის მოწინააღმდეგეთა მიმართ.

შესამჩნევია მისი წერილები ნ. ნიკოლაძისა და გ. წე-
რეთელის წინააღმდეგ სწორედ ბანკის საკითხის გარშემო.
შესამჩნევია სრული, ჯენტლმენური თავის დაჭერა, სა-
დაც პირადობას კი არ ეხებიან, არამედ გასარჩევი საგანია
ობიექტიურად აღებული და მოწინააღმდეგე მარცხდება
საბუთებით, ციფრებით და შეუვალის ლოლიკის ძალით.

ამ მხრივ მამას სიძლიერე თავის დროს განთქმუ-
ლი იყო.

ამავე დროს ღებულობს იგი მხურვალე მონაწილეობას
„ვეფხვის ტყაოსანის“ გამრჩევ, სარედაქციო კომისიაში,
საცა თავმოყრილნი იყვნენ: გრ. ორბელიანი, ილია და
აკაკი, ვანო მაჩაბელი, რაფ. და დავით ერისთავები, იონა
მეუნარგია, ინიციატორი ამ კომისიისა და ბევრი სხვ. იმ
დროის გამოჩენილი მოღვაწენი.

და არ არის ისეთი საზოგადოებრივი დაწყებულება ჩვე-
ნი იმ დროის ცხოვრებისა, განსაკუთრებით დასავლეთ სა-

ქართველოში, რომ მამა არ მოიწვიონ მთავარ მოთათბირეთ, მამას არ შეეკითხონ, აზრი არ ჩამოართვან, ან თვით იგი არ გახადონ აქტიურ მონაწილეთ კრებებისა და კომისიების თავმჯდომარედ და სხვ.

სულ ერთია საქმე შეეხება რკინის გზის გაყვანას, თავად-აზნაურთა კრებების თუ ბანკების საკითხს, გამომცემლობის საქმეს, რომელიმე ახალი დრო-გამოშვებითი ორგანოს დაარსებას, გალობა-სიმღერების შეკრებას, მეგრულ ენის გამოყოფის სარჩიელს, ერობის შემოღებას და სხვ. და სხვ.

მამა ყველგან პირველად არის მიჩნეული, ყველგან ჭკუის საკითხ კაცად, ყველგან აუცილებელ თაოსნად.

თვითონ მამა კი გარდა ისეთი ლიტერატურული და საზოგადოებრივ საქმიანობის დიდ-ყურადღებას აქცევს ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას. — აქ არის ხსნაო ხშირად იტყვის ხოლმე და ამ მოსაზრებით ხელმძღვანელი იგი იწყებს ჭიათურის რკინის გზის გაყვანის საქმეს. სამეგრელოში ტყეებისა და სამკურნალო წყლების ექსპლოატაციის მოგვარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხებში მაშინდელ ობიექტიურ პირობების გამო ვერც ერთი ეს საქმე ვერ გვირგვინდება მისდა სასურველად.

ჭიათურის რკინის გზის გაყვანის უფლება ჯერ მამას მისცა მთავრობამ და როდესაც ბელგიელი კაპიტალისტები მამას მიერ მოწვეულ იქმნენ და საქმე საქმეზე უნდა მიმდგარიყო. თვით მთავრობამ მოისურვა თავის ხარჯით ამ გზის გაყვანა და კერძო პირთ, რაღა თქმა უნდა, ეს უფლება ჩამოერთვა.

ტყისა და სამკურნალო წყლის საქმე კი ჩვენებურმა, იმ დროინდელმა მრავალ-მონაწილეობამ დალუპა, რადგან მათი ამ მონაწილეთა, შეთანხმება ყოველად მოუხერხებელი შეიქნა.

ყველა ეს საქმეები კი წლობით სწარმოებდენ და, რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას გაძლოლა სჭირდებოდა. მისი დიდი ენერჯია, დიდი დრო და დიდ ძალი ხარჯი. ასე რომ ბოლო ხანებში. ერთ დროს კარგა შეძლებული კაცი, უკვე ნივთიერ გაჭირვებასაც განიცდიდა. დრო კი იმდენი წაიღო

ყველა ამ პრაქტიკულმა გარჯილობამ, რომ მისი ლიტერატურული განზრახვანი, სამეცნიერო და ტექნიკური თუ წმინდა სიტყვა-კაზმული ნაწარმოებნი ზოგი დაუმთავრებელი დარჩა და ზოგიც სრულიად განუხორციელებელი.

ბინადრობა.

გამუდმებით იგი ერთ ალაგას არა ცხოვრობდა, რადგან სოფელში, სახლი, სიჭაბუკის დროს დაეწვა თავის ძველ, შესანიშნავ ბიბლიოთეკასთან ერთად. და დაეწვა თურმე ამავე დროს ბევრი საუკეთესო ნაწერი და გამოკვლევანი, რასაც მუდამ მტკივნეულად გაიხსენებდა და რასაც ეგრე მწარედ დასტირის ერთს თავის ლექსში:

* * *

ხმა ჩონგურისა ტკბილი მესმოდა,
მას მაგონებდა, როცა მეღმოდა:
ჰარმონიითა ამევსო სული
მეტად ღმობილი დამერღვა გული.
გული სადგური ჭმუნვის მწყვრეულის,
იქ მასპინძელის და შეჩვეულის;
მაგრამ ეს ჭმუნვა კი სტუმარია,
რადგან უეცრად შენაყარია...
მსურს რომ შევკაზმო კრემლით გალობა,
ჩანგსა ვამღერო ციციხლის წყალობა;
მაგრამ რომ არ მაქვს, არ შემრჩენია,
რაც ყველას უფრო მოუთმენია:
რასა შევაწყო საბრალო ხმები,
საგლოველები, გულის მწველები? —
არ მაქვს ქალაქის ერთიც ნაჭერი,
არცა კალამი გამონაჭერი,
რომ მას შევჩვილო ეს გაჭირვება,
გამოვსცე სიტყვით ჯაგრი, კვირვება;
ვუთხრა ნაღველი ჩემი მტკივანი
და განსაცდელი მყვირალ-მკივანი;
ყოვლისფრისაგან მაქვს არაფერი —
ჩემი ნაკითხი, ჩემი ნაწერი;
სულის და გულის ძვირფასი განძი,

სიყრმის გონების ჭკუის ნაღვაწი;
 გრძნობის და ნიჭის ნამუშევარი,
 მეცნიერების შენაწევარი;
 გამოცდილების, განსჯის ნაყოფი,
 კაცობრიობის ვალი საყოფი.
 საწადელ ტკბილათ მოსაგონრები,
 თავის სიცოცხლის შესაწონრები.
 შეთვისებულნი ნივთები ბევრი,
 შეუღვევლი, თან-დასაჭერი...
 კოფა ჩვეული მეტად ძნელია,
 საშინელია და უთქმელია.
 მათი ჩამიქცევს გულს მოგონება,
 სულს მიპატრონებს მე დალონება.
 მძვინვარე ცეცხლმა ერთად შესჭამა
 ნათხზავი ლექსი, პოემა, დრამა.
 მქონდა საქონი ყველა, რაც არის,
 აწ დამრჩა მათ წილ მარტო ნაცარი!..
 ჰარძობიითა ამევსო სული
 და მწადს გალობა ცრემლთან ლექსული *).

ასე რომ უსახლ--კარობის გამო ხშირად ხან იმერეთში
 იყო, ხან სამეგრელოში და ბოლო ხანებამდე სულ სხვადა-
 სხვა სოფლებში.

ბოლო ხანს კი მე-90 წლებიდან აიშენა სოფ. ბეთლემს
 პატარა, მაგრამ მეტად მოხერხებული და კოხტა სახლი, ევ-
 როპიულ მანსარდით, სხვადასხვაგვარ საოჯახო საჭირო-
 ებისთვის გამწყაზრული, რაიც თავის დროზე აღწერილი
 ჰქონდა გაზ. „ივერია“-ში. მაშინდელ სამეგრელოს კორეს-
 პონდენტს ნიკო ობუჯელს.

*) ლექსი დაწერილია სახლისა და ბიბლიოთეკის დაწვის მეორე
 დღეს, დილით 1868 წ. ასე რომ, რაც მანამდე ჰქონდა დაწერილი
 თითქმის ყველა დაღუპვია და თუ ამის, წინა დროინდელი ნაწერი რამ
 დარჩენია, უფრო ხშირად, გადაწერილი არის სხვების ხელით. თვით
 კი შემდეგში მოუცლევლობის გამო ვერას გზით ვერ აღადგინა ზოგი
 ნაწერი, რომელიც, ეტყობოდა, მისთვის მეტად საგულისხმო და
 საყურადღებო იყო.

შ. დ.

ისე კი სამსახურის დროს უფრო ქუთაისში ცხოვრობდა, მაგრამ მისი საყვარელი ქალაქი მაინც ტფილისი იყო და ზამთრობით იქ ბინადრობდა ხოლმე.

აქ კი, მის სახლში მუდამ თავს იყრიდნენ იმ დროს თვალ-საჩინო მოღვაწენი და იყო, როგორც ეტყობოდათ, მათი საყვარელი შესაკრებელი ალაგი.

ქართველ მოღვაწეებში მამა ყველას თანაზიარად ექცეოდა და თვით მისდამი არა კეთილად განწყობილთაც მოსაწონს უწონებდა და სათანადოთ აფასებდა, მაგრამ ილიასთანა მაინც არავინ არა სწამდა.

ილიას გამო მისი აკროსტოხი, ეს მხოლოდ ქებათა-ქებაა და სხვა არაფერი.

აი ისიც. —

იმას ვერა გავს ვერავინ
გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომია ოდეს განრისხდეს,
მუდამ ძმობისა მღერალი,
იტყვის მართალს და გზიანსა,
უპყრია მართლის მწვერვალი,
არის გულ-წრფელი, ზნე-ქველი,
მხნე მსრბოლი, მოუფერალი“.

ამ აკროსტიხებს ანუ ზმა-კიდურებს მამა ათავსებდა გაზ. „ივერია“-ში. ყოველ დღე იბეჭდებოდა თითო-თითო ანბანთ რიგზე და იყო ვინმე თვალსაჩინო მწერლის, ან მოღვაწესადმი მიძღვნილი.

სანიმუშოდ მოვიყვან კიდევ ზოგიერთებს.

აი მაგ. რას სწერდა იგი აკაკიზე:

ამერ-იმერთა სვის ხატად თავის-თავ გამოჭრილია,
პიდის კიდემდე ცნობილი, ცის ნიჭად ძოვლენილია,
ამერ-იმერთა სვის ხატად თავის-თავ გამოჭრილია,
პილო უქცევი, ლექს-მარჯვე, თვით მოქართულე ტკბილია,
იწყვლის ერისა წყლულებით, — მისი ნამდვილი შვილია;
სიქადულია მამულის, მაგრამ. — მაინც დევს ცილია!

გიორგი წერეთელზე:

გაჩენილია სამწერლოდ, სხვა საქმე მას არ უხდება,
ირჯება სხვა ასპარაზზე, ცოდვილობს, ცუდათ წუხდება,
მრ ნესვსა ისევ კალამი არჩიოს, ფუჭად ნუ ცდება.
რაცა გულს ერჩის იგი ქმნას, ნიჭს, განზედ რად გაუხტება,
ბონება მრავლად ნაწვართი ერის წინ ნუ გაუქმდება,
იღვაწოს მოწოდებისებრ, ის რწმენა ნუ წაუწყდება!

ვანო მაჩაბელზე:

ვალსა უხდის სამშობლოსა წერით, თარგმნით, სამსახურით,
პრცა ამღვრევს ღვიძლსა ენას უცხო წყობით, უსახურით,
ნებაზე თხზავს, სწორად თარგმნის—არ დაათრევს ავტორს
ყურით;
მთხ-ხუთ ენას შეაწონებს, რომ გამოსთქვას მისებურით.

ნიკო ნიკოლაძეზე:

ნურას მკითხავ ამ კაცისას საამბობელს, მოსათხრობელს,
ის რომ არის, ღმერთმა მოგცეს, — გასახელებს, დაგაშგე-
ნებს,
ქლდესა დაღეწს, ზღვას გააპობს, თვით ეშმაკსაც გააჭე-
ნებს,
მრპირ მახვილს მედგრათ იქნევს, — ხან მტრებს კოდავს,
ხან თვისკენებს.
ლამაზათ სწერს, მძვინვარედ გმობს, ზარ-დაცემით შეა-
ჩვენებს,
აღმასისა გველის სახეთ, თავს კუპრ-ცეცხლად მოგაჩვე-
ნებს,
ძვირად ნახავ დადგრომილსა, სულ მიდმოებს, არ ისვენებს,
მრთხელ სწერდა თვისს ენაზე, ახლა?.. ახლაც ახსოვს ჩვე-
ნებს!..

და ბევრი სხვები, აღმოსავლეთ და დასავლეთ სა-
ქართველოს მოწინავენი, 80-მდე ჰყავს ასახული. ზმა-
კიდურებს ერქვა „არჩილური“. რადგან, როგორც ვი-
ცით საქართველოს მწერალ მეფეს, არჩილს, თავის

ნაწერებში გარჩეული ყავს მისი თანამედროვე მწერ-
ლები. ესეც, მამას ზმა-კიდურებიც, ხასიათით არჩილისე-
ბურს წააგავდა. გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ ერთი
ცალკე პატარა წიგნაკათ გამოიცა ეს ლექსები. გაზეთში
კი მამა ამ ლექსებს ხელს არ აწერდა და ამან ეტყობა შე-
ცდომაში შეიყვანა განსვენებული ვანო მაჩაბელი და, რო-
დესაც ილიას წინააღმდეგ, რაღაც ბროშიურა გამოსცა,
ზემომოყვანილი ზმა-კიდური ილიაზე ხელზე დაიხვია და
ილიას დასწამა ამ ლექსის ავტორობა... მერე რაღა თქმა
უნდა ვანოსთვისაც გამოირკვა ყოველივე, მაგრამ დას-
ტამბულს რაღა ეშველებოდა.

თვითონ ვანოც ხშირი სტუმარი იყო მამასი და ორივე-
ნი ერთმანეთს დიდათ აფასებდნენ, მაგრამ მამას მეტი
დამფასებელი და თაყვანისმცემელიც უფრო ახალგაზრ-
დობაში, მაშინდელ სტუდენტობაში მოეპოვებოდა.

საკმარისია გაგიხსენოთ დაუვიწყარი გაზაფხულები ქუ-
თაისისა სარკა სასტუდენტოთ გამზადებული ახლად გიმ-
ნაზიის კურს-დამთავრებული ახალგაზრდობა დღე მუდამ
გარს ერტყა მამას. მათ შორის ერიენ ნიკო მარი, პეტრე
მირიანაშვილი, მიხეილ მღვდლისშვილი (მღვდლიევი)
ცნობილი იურისტი, ძმანი ლორთქიფანიძეები-ალოქსან-
დრი და იასონ, ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და
ბევრნი სხვანი, რომელნიც ამ ჟამად ჩვენი ქვეყნის საკე-
თილდღეოთ სხვადასხვა ასპარეზზე კეთილად მუშაკობენ.
აგრეთვე შიიძლია მამას სულიერ აღზრდილებათ ჩაით-
ვალონ განსვენებული კრიტიკოსი ევსტათი მჭედლიძე,
ლიტერატორი და გრამატიკოსი პოლა კვიციანიძე, რო-
მილსაღ ბევრი რამ ცნობები მამასაგან შეთვისებული აქვს
მის ნაშრომში ჩართული, ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი,
სვ. ჭვარიანი, სამსონ ყიფიანი და კიდევ ბევრი სხვა.

ყველა ამათ განუკლდიათ მამას საარაკო, უნივერსალუ-
რი მომზადება, მისი ზედმიწევნითი ცოდნა საქართველოს
წარსულისა და განსაკ. ჩართული ენისა და მისი ხსენებუ-
ლი შეუღალი ლოოიკის ქვითკირობა.

ზოგ მათგანმა წერილიც უძღვნა მამას ხსოვნას გარდა-
ცვალების ჟამს და დუტუ მეგრელს ხომ კარგა, ხელ-მოდე-

ბით დაწერილი ნეკროლოგიც აქვს მოთავსებული 1896 წ. უფრ. „მოამბეში“, დეკემბრის №-ში. მახსოვს, რომ ყველა ესენი შეფრფინვით უსმენდენ მამას, იწერდნენ სამახსოვრო წიგნებში მის მიერ განმარტებულ სიტყვებს, ეკამათებოდნენ ხალისით და ემსგავსებოდნენ ძველ ბერძენთა რომელიმე სკოლის ფილოსოფოსთა კრებულს, საცა ან პლატონი იყო ცენტრი ყურადღებისა და აღტაცებისა, ან სოკრატე და ან არისტოტელი.

ორატორობა.

ხოლო მამას ლაპარაკი შესამჩნევი იყო საზოგადო შეკრებულებაში. ან კრებებზე, ან ჩვენებურ საზოგადო ზეიმებზე, ან ვისმეს დასაფლავებაზე. მაგ. დიმიტრი ბაქრაძის დასაფლავებაზე პირდაპირ პროგრამული სიტყვაა ნათქვამი მამას მიერ. მაგრამ იგი უფრო შესამჩნევი საზოგადო კრებებზე:

თუ მომხსენებელი არ არის, იგი პირველ ხანებში ჩუმად არის. მაგრამ აგერ გამწვავდა მდგომარეობა, ან სიმართლე მიიჩქმალა და საკერძოვო, საზოგადოებრივ ფერუმარულით წამოვიდა წინ.

მამა წამოდგა.

რაც უნდა დიდი ხმაური იყოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საცა ეგრე ადვილად მოიჭიმება ხოლმე კრებებზე ერთი-მეორის დასაკოდი მშვილდ-ისარი, მყის, რაღაც ჯადოსნურ ძალით, სრული სიჩუმე ბატონდება.

მამა არა ჩქარობს.

თითქო ნელის ხმით, მაგრამ მკაფიოდ, ყველასათვის გასაგონათ იწყებს ლაპარაკს.

თქვენ ატყობთ, რომ წამოწითლებული სახეები თანდათან მშვიდდება, ხანჯალზე გაკრული ხელი ნელა შორდება სატევარს და მყარდება „კაცთა შორის სათნოება“, საკითხი ღებულობს თავის გარკვეულ სახეს: რეზიუმე დგება მიუდგომელი და მიზან-შეწონილი.

გაათრების მაგივრად მშვიდი მსვლელობა კრებისა, დინჯი გადაწყვეტა საკითხისა.

მამას თანამედროვე თვალსაჩინო ინტელიგენტი ალექსანდრე ქოჩაქიძე, პოეტ ჭალადიდელის ძმა, მეტყობდა, როცა მამას გაიხსენიებდა ხოლმე:

— „მამას დიდი შემკრებელობითი ნიჭი ჰქონდა, ანალიზის უნარი და შემდეგ ამ შემოკრებილ აზრებს ერთს თავის სისტემაში ჩამოადულებდა და ისე გადმოგვცემდა ხოლმე კრებებზე, ნამდვილი სათავმჯდომარეო კაცი იყო.“

და ასე იყო სულ ყოველთვის. ყოველ კრებებზე, სხდომებზე. მამა თითქმის ყოველთვის უკანასკნელი ლაპარაკობდა და მის ხელში ყოველი რთული, აბუწულ-დაბუწული საგანიც მარტივდებოდა, ახლოვდებოდა ადვილი დასანახი ხდებოდა და თითქო ადვილი გადასაწყვეტიც.

ერთი სიტყვით მის ხელში მუდამ ყოველი, თითქო ცხრაკლიტულით დაკეტილი ციხეები, უბრალოთ იღებოდა.

და ისვენებდა ადამიანთა კრებული, სუნთქავდა თავისუფლად, რომ მძიმე ტვირთი ესე ადვილად მოაშორეს.

შ ი ნ.

ეხლა მამას დღე.

სოფლად და ქალაქად.

რა თქმა უნდა სად რაობას შეაქვს თავისი ნიუანსები, მაგრამ ეს მაინც ნიუანსებია.

დილა.

გვიან დგება. რადგანაც გვიან წვეება.

10 საათიდან იწყება ცხოვრება.

პირის დაბანამდე გრძელი ხალათით მოსილი, საწოლ ოთახში მიდი-მოდის და თავს სავარცხლით ივარცხნის.

გამომეტყველება არ გვეკუთვნის ჩვენ. იგი შორს არის სადღაც. თავის თავთან. შეიძლება ლოცულობს. ნუ გამოელაპარაკებით, ხელს ნუ უშლით.

რამდენიმე წუთი, შეიძლება ათიც ასეთი მდგომარეობა.

შემდეგ პირის დაბანა, შემოსვა, ჩაი.

გაზეთები მოსულია. ნუ წაუკითხავთ, არ იამება. რამე სხვა ნაწარმოების წაკითხვა ხომ ყოველად შეუწყნარებელია, რადგან...

დილა შენია. დილით ადამიანის ტვინი დასვენებულია, მეტი ინტენსიობა შეუძლია, მაშასადამე მეტი შემოქმედებაც და აქ კი არ უნდა შემოერიოს სხვა ვინმე. გენიოსიც იყოს თუნდა. წვრიმალნი, ყოველ-დღიური გაზეთი ხომ მით უფრო.

ჩაიც მალე თავდება და აი მიდის თუ სამსახურშია, მაგრამ ბანკის შემდეგ აკი ის არსად სამსახურში არ არის. ბოლო ხანებში თუ იყო სამეგრელოს თავად-აზნაურთა წოდების გამრჩეველ კომისიაში. ისიც საპატიო წარმომადგენლად. ის აქ მხოლოდ სხდომებს ესწრება და არა ყოველდღიურათ მოხელესავით მსახურობს.

მაშასადამე თავის დროს გამნაწილებელი თვით არის და აი თერთმეტის ნახევარზე ის უკვე თავის კაბინეტშია.

დიდი, გრძელი, ფართე სამწერლო მაგიდა, ფაიფურის საუცხოვო სამელნეთი, შანდლებით, აურიცხველი ფანქრებითა და კალმებით, დაწერილ და დაუწერელ ქაღალდებით, გადაშლილი წიგნებით აღსავსე. მაგიდის იქით დიდი, ვოლტერული სავარძელი და სავარძელთან მისი საყვარელი ჭანდრის მაგიდა. ეს მაგიდა ველარ იტევს გადაშლილ სხვადასხვა ფორმის წიგნებს, ჟურნალებს — ქართულს, რუსულს და ფრანგულსაც. იცის ეს ენა იმდენათ, რომ წანაკითხი გაიგოს. ოცნებობს ინგლისურის შესწავლაზედაც, რადგან შექსპირს თარგმნის და რუსულს ფრანგულს თარგმანს, ვიქტორ ჰიუგოსშვილისას, მეცადინეობის დროს ერთი მეორეს ადარებს.

წიგნები და ჟურნალები გადაშლილია, მაგრამ არსად წიგნების კიდურებზე არავითარი შენიშვნა, წარწერა, ან ფრჩხილით გახაზვა.

ეს ეზარება საშინლად, არც სხვისი მოსწონს ესეთი ჩვეულება. ბარბაროსობათ მიაჩნია.

თვითონ კი ახსოვს ყოველივე: სად, რა.

საოცარი მეხსიერება.

ამა და ამ გვერდზე, აქა და აქ, ესა და ეს.

კითხეთ რაც გინდათ.

შეგიძლიათ კონტროლი გაუკეთოთ: შეუმცდარია.

თერთმეტის ნახევარზე მიუჯდა მაგიდას და 12-მდე, თუ აუცილებელი არ არის, ნუ შეუშლით ხელს. მნახველებმაც უნდა დაიცადონ. სულიერათ და სხეულით შეჭირვებულებმაც. მალე ყველასათვის ფართოდ გაიღება კარები.

ეს მისი დროა.

ამ დროს იწერება მისი ლიტერატურული ნაწარმოები, ან საქმიანი რამ პროექტი, ან დავალებული საზოგადო რამ მოხსენება.

ბოლო ხანებში თვითონ აღარა სწერს. კარნახობს.

ტეტუიას, მისი სიყრმის მეგობრის გარდაცვლის შემდეგ მასთან დაახლოვებული ესე ვთქვათ, მისი პირადი მდივანი და მარჯვენა ხელი საზოგადოთ, განსვენებული ლაზარე რატიანი უზის მაგიდას და ქალაქდზე გადააქვს ნაკარნახევი.

მამა კი მიდი-მოდის ოთახში და ისე კარნახობს.

ლაზარე თუ არ არის შინ, თუ რაიმე საქმის ქალაქდია ან თვითონ სწერს, ან ვინმე დაჭირავებული მწერალი, თუ ლიტერატურული ნაწარმოებია, განსაკუთრებით პროზა, ბოლო ხანებში, მე მეძახის, ან ჩემ დას და ჩვენ ვასრულებთ სამუშაოს.

მაგრამ ასეთ ნაწარმოებთა კარნახი და ისიც ჩვენთან საღამოობით წარმოებს, ისიც ყოველთვის არა.

ეხლა კი ჯერ დილაა და უფრო თვითონ არის მარტო.

შეიძლება ზოგჯერ არც სწერდეს. მაშინ სწავლობს. სწავლობს იმ საგანს, რომელიც ამ ჟამად დასჭირებია. უბრალოდ კი არ კითხულობს რასმე, თვალის გადასარბენათ, არამედ მეცადინეობს.

12 საათი დადგა. საჩქარო საუზმე, საერთო სასადილოში. აქ შეიძლება გაზეთიც. ჩვენთაგანი ვინმე უკითხავს. აქ შეიძლება სტუმარიც იყვეს ვინმე. ყოველ-დღიური ამბები. მიმდინარე ცხოვრება უკვე შემოიჭრა.

საუზმე დასრულდა და დაიწყო მიღება მის კარზე მოგროვილთა.

უპირველესად ფიზიკურად ავადმყოფნი.

ყოველი ავადმყოფი ისინჯება საფუძვლიანად. ბევრის გასინჯვას ვერ ასწრებს.

ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია ამბობდა, რომ მამას დიაგნოზი შეუმცდარიყო.

ეს ავადმყოფების გასინჯვა დიდძალ დროს ართმევს და ეტყობა ძალიანაცა ღლის.

სალამოს რ საათამდე ეგრეა და აი უკვე იწყება კვლავ მისი პირადი ცხოვრება.

სადილია ამ დროს. სადილზე ჯერ შინაურებიც ბლომათა ვართ, მაგრამ უთუოდ არის ვინმე სტუმარიც, ან რომელიმე თვალსაჩინო მოღვაწე, ან ახლად აკოკრებული სტუდენტი და ერთი კი არა, შეიძლება ორი, სამიც.

თვით სადილობა მიმდინარეობს მსუბუქ და მხიარულ ფრაზების გრეხილში. ამის მეთაური თვითონ არის.

თამალობა, ღვინის დაძალება. ეს არ არსებობს. თვითონ ნახევარ ბოთლს კარგ, სვირულ ღვინოსას კი უთუოდ გამოსკლის. სვირშია დაბადებული, დედულეთს და ამ ღვინის გემოს იქ შეჩვევია.

ჭამაც საფუძვლიანი, უხვი, მაგრამ გადაუჭარბებელი; ნაყროვანებამდე არასოდეს არ მივა.

და აი დასრულდა სადილი. ხილი შემოიტანეს. აი აქ იწყება... ლექციები.

რა გგონიათ, მშრალი, მოსაწყენი და ძნელად შესათვისი კი არა.

თითქო ხუმრობა-ლალობაში მოხერხებულად ჩაქსოვილი და შეთხზული, კამათის დროს გამოტყვერნილი რაიმე მეცნიერული საგანი, ან საზოგადოებრივი საკითხი და ამის გარშემო ჩაჭურჭლული კიდობანი უცხო ამბებისა, მომხიბლავ მეტაფორებისა, მათემატიკურ სისწორეთა და სხვა.

სადილის შემდეგ, თუ დააკვირდებით, იგრძნობთ რამდენი შეიძინეთ, რამდენი რამ გაიგეთ, და ეს ისეთის ქართულით, ისეთის კოცნით შემტკიცებული და კოტა პოეზიის ლამპრის ნაზი შუქით სხივ-მოფენილი, რომ სამუდამოთ გრჩებათ გულსა და გონებაში, ცხოვრებაში სახელმძღვანალოდ და გამოსაყენებლათ.

ნიკო დადიანიდან, ვერ იგრძენით ისე, კარგა დატვირთული წახველით.

ეშმაკი კაცია.

თქვენც... საკვირველი საქმეა. ხელმეორეთ გინდათ მიხვიდეთ და კვლავ დაიტვირთოთ.

„მერმელა თითზე რას არგებს სასინანულო კბენანი“.

ისე მჭირს მე, შემსწრეს და განმცდელს მის ცხოვრებისას.

არაფერი თავის დროზე არ ჩამიწერია. რაც აქ მოხსენებულია, ეს მხოლოდ ხსოვნის „ნაფინჩხრებია“.

მერე რამდენი საყურადღებო აზრი, რამდენი მფრინავი ფრაზა, მახვილად გამართული ნაკვესიც.

მე მეგონა ამას სხვა იზამდა. მეგონა მამა რომ გარდაიცვლებოდა სხვები დასწერდნენ ხელ-მოღებით მის ცხოვრებას.

ასეთს ძნელს საქმეს ვერ ვბედავდი ხელი მომეკიდა, თორემ 22 წლის ვიყავ მამა რომ გადამეღო, მეც უკვე შევდგომილ ვიყავ საზოგადო მუშაობას და, რასაკვირველია, მესმოდა ფასი და მნიშვნელობა მამას პიროვნებისა...

სანანურად მაქვს ეხლა ეს ყოველივე, მაგრამ... ჯერ მამას დღე არ დასრულებულა.

სადილიც კი გათავდა.

ეხლა მისაღებ დარბაზში გაველით და მუსიკა...

ჩემი და უკრავს პიანინოზე.

ეს კი ასწავლა. სპეციალისტი ჰყავდა თავის დროზე დაჭირავებული.

მაშოს პიანინოს ემატება თვით მამის დახმარება იქვე მდგარს ფისგარმონიაზე და გაისმის უცნაური, სევდიანი, მის მიერვე შეთხზული ჰანგები, უსათუოდ ქართულ იერისა.

აქ გავიხსენებ ჩემსავე ნაწერს: („მამა“-დან):

„...მაგრამ ჩვენთან ყოფილხარ — მოითხოვე ჩანგი, ჩანგური, გიტარა, დავსხედით ჩვენი მუხის ქვეშ სამივე მამა-შვილნი. შენ ჩანგური აიღე, ჩემმა დამ ჩანგი, მეც გიტარა და... გაისმა „ძველი ქართული წაჰ“, როგორც შენ

ეძახდი. ეს მარშია, საომრათ მიმავალ ჯარისა. ბრძოლათ მწვევი ხმებია...

„... ხმები იცვლება. ეხლა მოთქმაა, ჩვენი ერის ტანჯვა, კვენესა-ტირილი: — მონობა საშინელი, მონობა ძნელი, ვით შავი ღამე — მაგრამ ამ შავ-ღამეშიაც გაინათა უცხო ცისკარმა, საიმედო კილოვნება ჯერ გაუბედავათ ჟღერს, მაგრამ აგერ ვაჟკაცდება, მოწიფულდება და თავისუფალი ლალი ბგერა ახალგაზდა ფილტვებისა გარემოს სანეტაროთ ეფინება და უკვე იწყება ბედნიერება, საზვიამო ხმებით, სამეჯლისო კილოვნებით თავდება... კონცერტი.

„ ეს მართლა კონცერტია, მხოლოდ მას თავისი ჩარჩო უნდა, თავისი წრე. ნიკო უნდა, საყვარელი ნიკო დადიანი თავისებური სულის მიმცემი ამ ხმებისადმი, მფეთქავი გული ამ მუსიკისა...

„ გული აღარ ფეთქს! — მუსიკა აღარა ჟღერს!..

„... მაგრამ ჩვენთან ყოფილხარ — მოითხოვე ჩანგი,

„ მარტო მამა უკრავს ეხლა.

„ ეს ყველაზე უკეთესია.

„ ეს თვითონ არის, მისი თვითსებაა, მისი კილო, მისი სულის კვეთება.

„ არა ამას ვერ აგიწერთ!

„ ეს ჩემთვის ისეთი მიუწვდომელი რამ არის გადმოსაცემათ და ისე მწვავე საგრძნობლათ, რომ მიჩვევია მარტო ჩემს ცრემლებში ვპოვო შვება.“

და ასე.

სამუსიკო განყოფილების შემდეგ.

თუ ამის გუნებაზეა, ვმუშაობთ ისევ მის კაბინეტში. ფლობერის „იროდიადა“-ს სთარგმნის და გვკარნახობს. ან მის ქართულ ოპერეტას — „კოტოროულს“.

ან თუ ვინმე დარჩა ისეთი სტუმართაგანი, შეყვა ლაპარაკში და საგანიც მსუქანია, გრძელდება კამათი. ნაშუალამევის 3-4 საათამდე. და ასე ამგვარად მიემართება ცხოვრება. ეხლა რა უყვარდა და რა სძულდა ამ კაცს, მაგრამ მანამ მოვიყვან კიდევ ერთ პატარა ლექსს, საიდანაც სჩანს რა წარმოდგენისა იყო თავის თავზე:

გამუღავნება.

მნახეთ, მიცანით, მე ვარ პოეტი
და არც უბრალოთ მიეთ-მოეთი.

თუმცა ყოველი, რაც აქვს ბუნებას,
გულსა მიხარებს, მისაქმებს ნებას,
მაგრამ არ ვტკბები მარტო ხის მწერით,
მინდვრის ყვავილით, ბაოთ და ტევრით.

მე ვერ დამიპყრობს ერთი შვენება,
ვერცა შექცევის მღერით ხსენება;
ვერ მომინდომებს მე ცოტა რამე,
ვერც მზიანი დღე, ვერც მთვარით ღამე;
ვერ მომიკავენს ჰაზრსა მასხარა.
ჩემთვის უდიდო არარა კმარა!

მე მიწყობს ფიქრსა სჯა, კიდე-განი.

მე მაქვს მაღალი ყოფის საგანი.

რა იყო ეს მისი „მაღალი ყოფის საგანი“? — ეს მთელ-
მა მისმა ცხოვრებამ დაამტკიცა. ეს იყო ხალხის სამსახური
იმ წრეში და იმ პირობებში, რომელშიაც იგი ცხოვრე-
ბამ ჩააყენა. მე აქ ამ მცირე სილჰუეტში მხოლოდ ეპიზო-
დები მომყავს მისი ცხოვრებისა და არა მაქვს პრეტენზიე-
ბი მისი საზოგადოებრივ და სალიტერატურო მოღვაწეო-
ბის შეფასებისა, რადგან მაინც არა ვკარგავ იმედს, რომ
მამას ამ მხრივ შემფასებელი შემდეგში მოელის. ამისათ-
ვის ისევ გადავალ ჩემს გახსენებაზე:

რა უყვარდა და რა სძულდა.

მსოფლიოდ გამოჩენილ პიროვნებათა შორის უყვარდა
ლეონარდო და-ვინჩი, ფრანკლინი და ჰუმბოლდტი. მწერ-
ლებში ვიქტორ ჰუგო.

საერთოდ კი რა სძულდა და რა უყვარდა.

ვათქმევინოთ თვითონ..:

„გონების სჯული შეაჩვენებს და ჩემს სულს სძულს:

1. ვინც ივიწყებს ბევრს კი არა და ბევრისაგან ცო-
ტასაც.

2. ვინც მოძრაობასა და მოქმედებაში არ იჩენს სიმარ-
ჯვეს და გულ-მოღვინებას.

3. ვინც დაუდევრობას და უძებრობას არ ემტერება.
4. ვინც უხვევს და მთლად ვერ გაიტანს სიტყვას ხნის სიშორეში.
5. ვისიც სიარული და სიტყვა ზანტია, დაცემული და უნაღვლობის გამომსახველი, ძოშლილი და უღიმღამო.
6. ვისაც ნაფიქრები არ უძღვის სათქვამსა და საქმენელში.
7. ვინც თავს იწვალებს თავისის მოქმედებით და უმოქმედობით და ამ წვალებით ვერას ისწავლის საწინაოდ.
8. ვინც მოუცდელია, გაუსინჯავი, დაუკვირებელი, წინ-დაუხედავი, ძაგრამ შეუწყნარებელი და გამოუბრუნებელი თავის ჩვენებითაც.
9. ვინც მოუზომავია და დაუდრეკელი.
10. ვინც თავის წუნს არ ებრძვის, არ იგლეჯს, არ კლავს თავისის დაუძინებელის მეცადინეობით, რჩევით და ნების გადალუმებით.
11. ვინც თავის კილს რცხვენის მაგიერად აშვენებს გამომართლებით, პენტს, აზღვავებს, აქებს ორ-პირად, ჟინიანობს მის ღირსებაზე და თავს ისახელებს მისის ჭირვებით რომ გამოუნამუსებულა.
12. ვინც უსიყვარულოდ, უწადელ-უმომჭირნოდ საქმობს, გულაგდებულად იქცევა და გულს მორყვნის და შეაზარებს მხედველს.
13. ვისაც უყვარს თავის ნაკლებობა ისე, რომ არ ემეტება საძრახად და გასადევნად და სწყინს მისი გმობა და მტყუვნება.
14. ვინც მოჩემარია ურჩებით, ჟინით და გაუტებლობით.
15. ვინც გრძნობს სიცრუეს თავის სიტყვისას, ან ნაქმარის სიცუდეს და მაინც არ ეშვება თავის ნამუსის ხრჩობით და ჭკუის შეუპოვრობით.
16. ვინც თავის ტანჯვას მოქცევისათვის შეუშინდება თუ მოერიდება.
17. ვისაც ერთის კეთებაში მეორე ავიწყდება და უხდება.

18. ვინც მოიცილს თავის გასაზრდელის და წარსამატებელის ფიქრისა და ცდისაგან.

19. ვინც საქმის შუა გზაზე მოწყინდება და გაცუდება.

20. ვისაც წვრილმანი მოქმედების დაჭირვება და საქმის მოლოდებაზე მომეტება გულს შეუცვლის, აუგორებს და სხვა საქმეს უადვილესად მოაჩვენებს წახდენა და სიძნელე.

21. ვინც გაუფრთხილებლად, გამოუკვლევლად და მოუმზადებლად დაიჩემებს და შევა და მერე არ ირცხვის გამოსვლას, ან მართლებით მდურვას — „არ მეგონაო“.

22. ვისაც მოუა ისე, რომ არ უნდოდა და მერე წუხილითაც თავს ვერ გაიწვრთის.

23. ვინც თავის შეუწამებლადაც ნელ-ნელა შეურიგდება და შეეთვისება იმას, რაც მისი დამგესვლელი და დამრღვევი, ხასიათის დამცემი და დამაუქმებელი ჩვეულება არის, საქმე არის, თუ აზრი და გონებლობა.

24. ვინც თავს წაიხსნის და გაუშვებს იმ სჯულისაგან, რაც შეადგენს მის სამარადისო საგონებელს, წინამძღოლს და უმაღლესს საცადს იმ ფიქრით, რომ „ცოტა ხანს რა უჭირსო“.

და 25. ვინც სიტყვას შეირჩენს უმნიშვნელოდ, ან შეარჩენს სხვას, რომლითაც აუქმებს კაცურ ღირსებას სიტყვის სმენისას, ან თუ წარმოიდგენს სრულის ძალით და სიცხოვნით ნალაპარაკევისაგან გამოსვლას თავად საქმის სინამდვილეს და სრულიადის გრძნობით არ მიწვდება, როს გავლა უსუსტებს, უუფეროებს და განმეორებას დაიჭირვებს და იმასაც არ გაიტანს.

საჭიროდ მიმაჩნია მის მსოფლ-მხედველობასთან ცოტა უფრო დაახლოვებისათვის გავეცნოთ ერთ მის ლექსს და ერთს მის ოფიციალ წერილს რუსულს ენაზე, საცა იგი საქართველოს ხატებას ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ამავე ქვეყნის, მის თანადროულ პრაქტიკულ საჭიროებათ ნუსხას გადაგვიშლის:

წართა ველია.

I.

ეს უცხო მხარე დიად ძველია,
ძველთაგან ყველას სასურველია,
ყველას სასტუმრო, სავალ-საჩემი,
სახეთქ-საბრძოლი... ქართა ველია!

ორს დიდს ზღვას შუა ტურფა ველია,
ყოვლის შვენებით დაუთვლელია,
მყინვარი მთებით, ცხელი ჭალებით
კაზმულ-ფერადი... ქართა ველია!

ცა ლაჟვარდია, ჰავა მრთელია,
თბილი, გრილი და მშრალ-სოველია,
საცა „რა გინდა სულო და გულო“!
ყოვლით შემკული... ქართა ველია!

აქ მდინარები მრავლად მრწყველია,
მთით მოქუხარე, ცეკვით მსვლელია,
„ძვალი და რბილი“ — კლდე-მიწა-ქანი
შემტკიცებული... ქართა ველია!

მთებზე როცა თოვს, — ბარად სთველია,
ყურძნითა სავსე საწნებელია;
აქ ზაფხული დგას, იქ გაზაფხული —
მრავალ-ფერ-შეზმნილ ქართა ველია!

ქვეყნად ქვეყანა „უქცეველია!“
დაუგლეჯიათ — ისევ მთელია,
უწვავთ, უდაგავთ — დაუწველია,
დაუქცევიათ — უქცეველია!

შემოსევიან — უძლეველია,
შემოხიზვნიან — მასპინძელია,
შემოპარვიან მშლელათ და მრყვნელათ,
მაგრამ... იგივე ქართა ველია!

თუმცა ამ ველზე ბევრი მგელია,
ბევრი თაგვი და ბევრი გველია,
მაგრამ სულ ყველას გამრეკელია
გრიგალი... აქ ხომ ქართა ველია!

მთა და ბარია, ზღვა და ხმელია,
სხვადასხვაობით მიმზიდველია,
მაგრამ თვით ხალხიც სხვა ზნე,
სხვა ფერი,
სხვა ენა, რჯული, — მეტათ ჭრელია!..

მაღალ-დაბალი, მოკლე, გრძელია,
თეთრი, შავ-ტრუხა, მხარ-ბეჭ-სქელია,
ცხვირა, პაჭუა, გრემა, ჟუჟუნა, —
სულ აქ შეყრილა... ქართა ველია!

ზენა და ქვენა დაუცდელია,
მთის და ზღვის ქარი წილ-მნაცვლელია,
სიცხე-სიცივის, ნამის — სიხმელის,
მსოფლიო ლაშქრის... ქართა ველია!

ვინც ისტორიის გამჩხრეკველია,
აბა მან მითხრას, რაც სათქმელია:
რაც აქ ჰყოფილა, რა არი ახლა
და რაც იქმნება, რაც საქმნელია?..

მომავალის თქმა — ვიცი — ძნელია,
მაგრამ წასული აწმყოს მთქმელია
და ვისაც ესმის მათიანის ხმა
ის იტყვის აქ რა ქართა ველია!

მე მათ ვუამბობ, ვინც მკითხველია,
ვინც გულის წმინდით მძიებელია,
თუ ამ ჭრელ მხარეს, ჭრელ-ენა ხალხში
რა სახადს იხდის ქართა ველია!! —

მთის მყარი ზურგი — მისი წელია,
შიგ ოქროს გული დაუცველია,
ხელ-მხარ-მკლავები — რკინა-ფოლადი,
მოუსხლეტელი, დაუღლეელია!

ქარის მოყრილთა ქარივ მგველია,
ძირ-მტკიცე მკვიდრთა — მაგრა მზრდელია.
და სხვ.

ეხლა რუსული წერილი. ამ წერილის ისტორია ესეთია:
1895 წ. იმერეთში წყალდიდობის მიერ დიდათ დაზარალ-

და სოფლები. ამის გამო გუბერნატორმა ერთ-გვარი კომისია შეადგინა ინტელიგენტთაგან და დაავალა გამოეთქვათ თავიანთი აზრი გუბერნიას პრაქტიკულ საჭიროებათა გამო. მამამ ესეთი მოხსენება წარადგინა:

„Правильная постановка сельско - хозяйственного дела Кутаисской губернии, при ея физических условиях и географическом положении главным образом может быть указано, как одно из средств к поднятию материального благосостояния не только дворянства, но и всего населения губернии. Настоящее положение этой отрасли народного труда находится в неблагоприятных условиях: во первых в виду отсутствия юридических оформленных прав на земли, по размежеванности более чем 90⁰/₀ всего пространства губернии и происходящих. благодаря этому обстоятельству, споров, часто ничем не оправдываемых не только со стороны частных лиц, но и агентов учреждений министерства государственных имуществ; во вторых по неимению под'ездных путей и вообще путей сообщения на целых площадях пространством сотни и даже тысячи квадратных верст, в особенности в нагорных частях большинства уездов и округов, а также и мостов в самых нужных пунктах местного и общаго значения; в третьих по затруднительности сбыта произведений, в особенности кукурузы помимо вышеназванных причин еще и вследствие нерегулярнаго отношения спроса с предложением и отсутствия зернохранилищ на местах сбыта, для обезличивания зерна и возможно меньшаго колебания цен по произволу перекупщиков; в четвертых по недостатку теоретических и практических знаний в рациональных приемах хозяйства и

его техники, что в свою очередь обуславливает неустойчивость и неуверенность в труде и его результатах; и наконец в пятых по неимению учреждения мелиоративного или сельско-хозяйственного кредита.

Экономическая отсталость дворянства и всего населения губернии, обуславливаемая вышеприведенными причинами в крае, находящемся в наилучших климатических и почвенных условиях и изобилующем естественными богатствами, может быть только устранена постановкою сельского хозяйства на рациональных началах, путем устройства низших, технико-агрономических школ в уездах и среднего сельско-хозяйственного заведения с техническим же отделением в Кутаисе, для подготовки сведущих хозяев и работников.

Ненормальность землевладения может быть устранена лишь размежеванием земель; почему ускорение выяснением земельной собственности для каждого хозяина и вообще для всего населения, как равно и для Министерства Государственных Имуществ является делом неотложной важности.

Устройство под'ездных путей, как общественных, так и Министерства Путей Сообщения дало бы выход на рынки для сбыта произведений, как сельско хозяйственным так и горным и возможность легкого и постоянного сообщения населения в видах беспрепятственного движения грузов горного и кустарного производства и отхожаго промысла во всякое время года. Поэтому проложение означенных дорог и постройки мостов на реках в нужных местах уездов и округов,

представляется в настоящее время настоятельной необходимостью.

Устройство зерно-хранилищ на станциях Зак. жел. дороги в кукурузном районе Кутаисской губернии с правом варантных свидетельств поставить кукурузное дело вне произвольных кризисов и возвысить рыночную репутацию самого зерна, обезличенного и очищенного от сор и посторонних примесей и таким образом обеспечить правильную, ежегодную выручку производителям сего главного продукта нашего земледелия.

Для улучшения пород рогатого скота и вообще домашних животных желательно учредить случные пункты с улучшенными породами более культурных стран. При опытных фермах некоторые из вышеизложенных школ и частных хозяйствах землевладельцев, чтобы этим путем распространить более сильный, рабочий, молочный и промышленный скот. Тоже самое можно сказать о домашних птицах, составляющих немаловажное подспорье в хозяйстве.

Вместе с тем даровая раздача хозяевам подвоев известных сортов американских лоз, отвечающих условиям данной местности, гарантировала бы виноградарство от филлоксеры; равным образом распространение тем же путем здоровой грены шелковичного червя дало бы благодетельный толчек вновь возстановаляющемуся в губернии шелководству.

Тот же самый способ распространения желателен и для семян американского хлопка, при-

вивок ценных фруктовых деревьев, семян и сеянцев чая, маслины, рамий и других фабричных растений, коим благоприятствуют природные условия губернии,

Обилие растительного и минерального топлива и естественных сил рек и ветра ставит на первой очереди вопрос об их утилизации для развития горной, сельско-хозяйственной и кустарной промышленности и необходимость в людях знакомых практически с лучшими техническими способами того и другого производства. Этой нужде отвечают вышесказанные отделения при сельско-хозяйственных школах; но совершенно обеспечило бы подобные сословные нужды губернии предполагаемое на Кавказе высшее политехническое училище.

О всех этих признанных и высшей администрацией губернии мерах к поднятию материального благосостояния дворянства и вообще населения губернии не раз выражалось желание и дворянством и местным отделом Императорского общества Сельского хозяйства и приносились посильные жертвы к их осуществлению, но в виду вышеотмеченных неблагоприятных условий и возрастающих оскудении, обеднении и задолженности дворян, они оказались не по средствам дворянства и при настоящих условиях вряд-ли они окажутся посильным для него.

По мнению комиссии, означенные меры могут быть осуществлены лишь взаимными условиями Правительства и общества, без различия сословий. Разрешение этой трудной задачи в высшей степени было бы облегчено и упрощено, еслибы земские поступления Ку-

таисской губернии, обложенной в высшем размере, были бы направлены на удовлетворение этих настоятельных нужд всех сословий. Справедливость и польза такого направления местных земских сборов стоят вне всякаго сомнения и имея в результате усиление и платежных сил губернии, являющихся естественным последствием материального достатка и благосостояния, могут с лихвою вознаградить принесенные жертвы и Правительством и дворянством и вообще всем населением.

При таком назначении местных ресурсов об руку с учреждениями мелиоративного, или сельско-хозяйственного кредита со стороны Правительства и общества, в связи с предполагаемыми рельсовыми путями соединяющими портовые города губернии и внутренние области Империи с центрами земледельческими и промышленными и прорезывающими центральные места богатейших в Закавказии районов в земледельческом и горном отношениях и сетью под'ездных путей к этим магистральным жел.-дорожным линиям и их ветвям будет вполне обеспечено, как материальное, так и умственно-нравственное преуспеяние страны на почве взаимного сочетания усилия Правительства, дворянства и всего общества.

Устранение вышеуказанных неблагоприятных условий только что сказанными мерами, совместно осуществляемыми Правительством, дворянством и всеми сословиями губернии будет, по убеждению комиссии также радикальным средством к устранению отрицательного и вредного направления энергии и способ-

ностей многих, которые, не находя при настоящих условиях полезного применения своим умственным и физическим силам, нашли бы, благодаря означенным мерам, самое выгодное, производительное их применение на собственную и общую пользу и таким образом была бы поставлена на твердой почве и должной высоте экономическая и умственно-нравственная будущность дворянства и всех сословий губернии, составляющая предмет общего желания и неусыпных забот Правительства,,.

ეს კაცი ამ ქვეყნად ცხოვრობდა მხოლოდ 52 წელიწადი და მის სიცოცხლეში ღირსეულად ტრიალებდა თანამედროვეთა შორის, ეჭირა ღირსეული ალაგი საზოგადო მოღვაწისა და შესამჩნევი ქართველისა, ჰქონდა თავის დროზე დიდი სახელი და ნდობა მოპოებული, იყო ყველას მიერ პატივცემული და თითოთ საჩვენებელი, ხოლო ამავე ცხოვრების პირობებით, იგი მოუცლელი შეიქნა, რომ თავის ნამდვილსა და პირდაპირ დანიშნულებას მტლად დასდებოდა და შთამომავლობისათვისაც დაეტოვებინა ის დიდი საგანძური, რომლის მოცემაც მას შეეძლო.

ეს საგანძური კი, მე მგონია, იყო უფრო სფერო ფილოსოფიისა, სფერო საქართველოს ისტორიისა და ლინგვისტიკისა...

ამ მხრივ დიდათ შესანიშნავია მის მიერ წაკითხული ლექციები, რომელთა ტექსტიც სამწუხაროდ არ დარჩენილა, რადგან თვით არ უყვარდა წინდაწინ წერა და შემდეგ თქმა.

წინდაწინი შემზადება შუშხს უკარგავს ნათქვამსო-იტყოდა ხოლმე და ამიტომ დარჩენილია მხოლოდ ამ ლექციების პროგრამა და დაწვრილებითი კონსპექტი.

აი პროგრამაც:

საჯარო ლექციის ნარკვევი.

„თუ რა განთვისება აქვს ქართველ მოდგმას და რა ისტორიული ხატება.

ტომითი და ადამიანებრივი სისხვავე ქართველის მო-
დგმისა.

ა.

ქართველი ტომის განკუთვნილი თვისება; ისტორიულ
ვითარებათა ზედმოქმედება ამ თვისებაზე; თვით ერის ის-
ტორიის მსვლელობას როგორ დაეტყოს ამ თვისების კვა-
ლი; ხელის მწყობელნი და ხელის შემშლელნი ვითარება-
ნი ამ საერთო თვისებისათვის. რა მიზეზებზეა დამოკიდე-
ბული ქართველი სათვისტომო სულის თავისებურობა; თუ
რა არის „ნემბროთიანი“ ძველთა ძველი წერილობითი სა-
ხსოვარი ქართველთა. თავ-და-პირველი, ქრისტიანობის
წინანდელი თქმულებანი ქართველთა შესახებ მათის შთა-
მოსირვისა (შთამოებისა).

ბ.

ისტორიული აღზრდა ქართველთა თავისებურობის სუ-
ლისა, აღზრდა სარწმუნოებრივი, წყობითი, მწიგნობრობი-
თი, საზოგადოებრივი. თუ რა გამტანობითი ღონე გამო-
იჩინეს ქართველებმა თავის ისტორიულ ხატების დაცვაში;
თუ რა წარმატებითი ღონე გამოიჩინეს ქართველებმა უმა-
ღლესს სულიერსა და გონებითს განვითარებაში.

რამდენად დამოკიდებულია ქართველთა სათვისტომო
სულის განკუთვნილებაზე მათი საერო განვითარება.

ა.

თუ რა აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ქართვე-
ლებისთვის მათს საერო მწიგნობრობას საზოგადოთ და
ნამეტურ სამღთო და საპოეტო მათი უდიდესის მწერლე-
ბისა. სრულიად გამოზეპირება ქართველთა საერო სულის
ხატებისა ამ სამწიგნობრო აღზრდაში.

ბ.

საწუთროს განცდა ქართველთა მიერ; მოქცევანი ამ
საწუთროს განცდისა: პოეტებრივი, სარწმუნოებრივი, ფი-

ლოსოფოსებრივი. თუ რა თვალთ უყურებდენ ცხოვრებას ქართველები; თუ როგორ ესმოდათ პატივი და სახელი; გმირობა, რაინდობა. ქართველთ სანატრიონი (იდეალი) და საზომი ნივთიერი საღირსობისა მათი ჰაზრით.

თუ რამდენათ გამოსაყენებელია თვით ცხოვრებაში თანაშობილ საერო თვისება ქართველთა.

ა.

ყოფა-ცხოვრება ქართველთა; მათი განვითარება, მოქალაქობა (ცივილიზაცია); ქალების მდგომარეობა; აღზრდა ყრმათა შინ, დედაწულში, სკოლაში (სასწავლოში).

ბ.

სამსჯავრო საბჭო ქართველთა, გამგეობა, სახელმწიფო ანაგობის სიმარტივე და ამაზე დამოკიდებული სიმარჯვე კერძო საქმობათა ამ საერო სისხვავის გამოობით. ხელმწიფების (ჰუბუტი) ზარი და რიდი; სასულიერო და სახორციელო მთავრობათა ურთიერთი დამოკიდებულება.

გ.

ხელობანი; ვაჭრობა (ფრდა), ფული, ფულის საცვლელი (საკვრმენი); თამაში და შექცევა; დღეობანი; საერთოდონე ცხოვრებისა (რეჟიმი), ნირი.

რა დასტოვა.

დანარჩენი მისი ნაწერები კი შემდეგია:

1. უმთავრესად ლექსები, უფრო დიდაქტიურის ხასიათისა. სულ „194“ იქნება და ზმა-კიდურები, აკროსტიხები ე. ი. მისი დროის მწერლობისა და ჩვენ მაშნდელ საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, სულ 80.

2. პუბლიცისტური და საპოლემიკო წერილები, სხვადასხვა პროექტები.

3. ზოგი მის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც წარმოთქმის შემდეგ არიან აღდგენილნი.

5. ზოგი სახელმძღვანელო წერილები-ანატომიიდან, მედიცინიდან, საგრამატიკო და სხვ.

6. თარგმანები შექსპირისა: კომედია „დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოთ“ და „ჰამლეტი“ გარითმული ლექსით, როძლის თარგმანიც დაუსრულებელია. წვრილი მოთხრობები სხვა და სხვა ავტორებისა.

7. აფორიზმები და დღიურები.

8. ზოგიერთი წერილები ნაცნობ ბეგობრებისადმი მიწერილი.

ყოველივე ეს, უმთავრესად ლექსები და პუბლიცისტური ნაწერები თავთავის დროზე იბეჭდებოდა „დროებასა“, „ივერიასა“ და „თეატრში“. და ამ ჟამად ჩემ მიერ გადაწერილია 6 მომცრო ტანის რვეულში. შესაფერის შენიშვნებით და განმარტებით და ინახება ჩემთან. დედანი კი ჩემ და მარიამ ანჩაბაძის მეუღლესთან ქ. სოხუმში და ჯერ-ჯერობით გამოუცემელია სრულიად.

გარეგნობა მისი ნაწერის.

იგი პირველ ხანებში სწერს ძველის ორთოგრაფიით მაგ. „უ„ნს ბრჯგუით ხმარობს და სხვა, მხოლოდ შემდეგ კი თანამედროვე წესით. სწერს წვრილის ხელით და ნაწერს ხშირად ასწორებს. ეტყობა რომ უკანტროლოთ და ურედაქციოთ ხელიდან არაფერს გაუშვებს ხოლმე.

პრესაში მის შესახებ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს და ცნობებს ვპოულობთ 1880 წ. ევსტ. მჭედლიძის წერილს „დროება“-ში.

1886 წ. „მწყემსში“ X-ს წერილს.

1888 წ. „ივერიაში“ სამს. ყიფიანის შენიშვნას.

თ. ჟორდანიას ქრონიკებში ტ. I.

1896 წ. „Новое обозрение“-ში.

„მოამბე“-ში დუტუ მეგრელის, ამავე წელს ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ და სხვ.

თარიღები.

იგი დაბადებულია 1844 წ. ოქტომბრის 1-ლს, დედუღეთს, სვირში შორაპნის მაზრა.

გარდაცვალებით კი გარდაიცვალა ყირიმში, ტავრიდის გუბერნიაში. სოფ. აგაიმანს 1896 წ. ოქტომბრის 12-ს.

იგი იქ სტუმრად იყო ისტორიაში ცნობილ სვანეთის მთავრის, კონსტანტინე — მურძაყან დაღეშკელიანის შვილებთან, მათ მამულში. დაღეშკელიანები როგორც დამნაშავე პირის მემკვიდრეები, გაძევებულ იყვნენ საქართველოდან და რუსეთში მისცეს მამული ხსენებულ ალაგს. ერთხანად მათ უფლება არა ჰქონდათ სამშობლოში ჩამოსვლისა ეს ახოვანი, მართლა სვანურად მოყვანილი შესახედაობისანი — მოსოსტრი, ოთარი, კოწია და თენგიზი ღიდათ პატივს სცემდნენ მამას და ხშირადაც იწვევდნენ თავისთან, მაგრამ 1896 წ.-მდე ვერ მოახერხა. ამ წლის შემოდგომაზე კი იქ ჩასვლა ხომ საბედისწეროთაც გაუხდა.

მგზავრობის დროს გაცივდა და ფილტვის ანთებით გარდაიცვალა.

სამეგრელოში კი ჩამოსვენებულ იქმნა იმავე თვეში და დიდის გამოჩინებითაც დამარხა მისმა საყვარელმა ქვეყანამ საგვარეულო სასაფლაოში სოფ. ბეთლემს.

პირველი მეგრელი XIX საუკუნისა.

როდესაც მიცვალებულის კუბოსთან ვიდექ და ჩემთან მოდიოდნენ მოსამძიმრეები ერთმა მეგრელმა მითხრა:

„სამეგრელოს დღეს მოწყდა წელიო“. გულწრფელობა დავიჯერე ამ სიტყვებისა, რადგან მამა მართლაც იყო პირველი მეგრელი ინტელიგენტი მე-19 საუკუნისა. და მაშინ ამ „პირველის“ დაკარგვა მართლაც წელის მოწყვეტა იყო. შემდეგ მოჰყვა მთელი წყება, საქართველოს საბედნიეროთ, ამ კეკლუც პროვინციიდან კვალის გასამშვენებლად და გასაპატიოსნებლათ ყველა ჩვენთვის სათაყვანო მრავალ ჭირნახულ ქვეყნისა და ხალხისა. სწორედ ამ ხნიდგან საერთო ქართულ მუშაობაში მეგრელებმაც დაიკავეს საპატიო და ღირსეული ადგილი.

1922 წ.
ფასანაური.

ბიბლიოგრაფია

გრ. წერეთელი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ეპოსი, ლირიკა. ტფილისის უნივერსიტეტის გამოსცემა. 1927 წ.

ქართველი ინტელიგენციის ახალ თაობას პირველად ეძლევა საშუალება თავის ენაზე გაიკნოს დიადი ხანა მსოფლიო ხელოვნების — უძველესი საბერძნეთის ლიტერატურა.

ძვირფასია ის, რომ ცნობილი ავტორი პირველ წყაროებიდან გადმოგვცემს ამ ლიტერატურის შინაარსს, მისი განვითარების მომენტებს. იცის ზედმიწევნით ბერძნული ენა და უშუალოთ გამოაქვს იმდროინდელი შემოქმედების საუნჯიდან დაუფასებელი განჭეულობა.

ეს პირველი ტომი ორი ნაწილისაგანაა შემდგარი. ერთში მოცემულია ეპოსის მიმოხილვა, მეორეში — ლირიკის.

ეპოსის მწვერვალზე დგას ჰომეროსის დაუნგრეველი, საუკუნოების გამძლე ტაძარი. ეს ტაძარი კარდაკეტილია „უბრალო მომაკვდავებისთვის“. ავტორს აქვს თავისი გასაღები აღებს კარს გზას გვიჩვენებს, მის კედლებში შენახულ სიმდიდრის დასათვალიერებლათ. მიმოხილვის ფარგლებში მოქცეულია ყველაფერი, რაც ახასიათებს ჰომეროსის შემოქმედებას, არც ერთი დამახასიათებელი მომენტი არ არის დარჩენილი ავტორის დაკვირვების გარეშე.

ჰომეროსის „ილიადა“ — „ოდისეა“ ერთი მხარეა მაშინდელი ეპოსის.

მეორე მხარეზე დგას ჰესიოდის „სამუშაონი და დღეები“.

ეს ორი მოპირდაპირე მომენტი გამომდინარეობს ერთი საშოდან. პირველი დასაწყისია, მეორე გაგრძელებაა.

თითონ ავტორი მხატვრული ხაზებით იძლევა ამ მთლიანობა — მოპირდაპირეობის სურათს: — „ჰომეროსი — ეს განთიადია ბერძენთა თვითცნობიერებისა, ჰესიოდე კი გაღვიძებული შრომისა და ზრუნვათა ხმაურობით, ალერსითა და სიხარულით გგონია შეფერილი. გგონია, რომ შეუძლებელია რაიმე ბნელის არსებობა. სულ სხვა გვარია დილისაგან მიღებული შთაბეჭდილება: ჩნდება სხვადასხვა საზრუნავი საგანი. იბადება ფიქრები და იჭვები. პოეზია ქრება სიტყვას პროზა იღებს, ცხოვრების ამოება შედის თავის უფლებებში. რაღაც ამის მსგავს ვგრძნობთ ჩვენ ჰესიოდეს და ჰომეროსის დაპირისპირების დროს, იდეალიზმი ოდნავ კრთის პირველში, მის ადგილს მატერიალიზმი იჭერს. ლამაზ—სახებათა მაგივრად ჩნდებიან პრაქტიკული ცხოვრებისათვის გამოსადეგი სახებანი. ამასთან დაკავშირებით მირაჟივით ქრება გმირთა ბრწყინვალე სამყარო, ჩვენ მიწაზე ვართ... წარჩინებულთა გარემოდან ჩვენ შევდივართ გლეხების წრეში... მოწმენი ვხდებით იმისა, თუ როგორ იღვიძებს გლეხებში ინტერესი ზნეობასა და სარწმუნოების მთავარი საკითხებისადმი“.

— ჰესიოდის პოეზია ბრწყინვალეებასა და ფრაზებს მოკლებული არისტოკრატიისათვის არ გამოდგებოდაო“, ამბობს პატივცემული ავტორი მეორე ალაგას.

ცხადია, რომ ორი მხარე ბერძნული ეპოსის — ჰომეროსი და ჰესიოდი მხატვრული გამომეტყველებაა იმ დროის საზოგადოებრივი ურთიერთობის: ერთი მხარე იზიდავდა არისტოკრატიას, მეორე „გლეხებს, მიწის მუშაკთ, ძეზღვაურებს, საზოგადოთ ე. წ. „პატარა კაცებს“. ასეა, თითონ ავტორის დასკვნით.

ეს არის, ასე ვსთქვათ, სივრცის პირობები. ავტორს მხედველობაში აქვს მიღებული დროის პირობებიც. ჰომეროსის „ღმერთებიდან“ ჰესიოდეს „პატარა კაცებამდე“ ჩამოსვლა არ მომხდარა ერთბაშათ. ეს მოხდა განსაზღვრული დროის განმავლობაში. ეს იყო დრო ბრძოლის, რომელშიაც, ავტორის თქმით, „ტიტანები ჩამოგდებული არი-

ან, მყარდება ახალი ღმერთების სამეფო, უხეში ძალის ადგილს იჭერს ძალა უფრო შეგნებული და მაღალი“.

მეორე ნაწილს მეტი ადგილი უჭირავს წიგნში. ლირიკას მეტი წარმომადგენლები ჰყავს ბერძნულ ლიტერატურაში. ავტორი გვაძლევს სახალხო და მხატვრულ ლირიკის ვრცელ დახასიათებას. ლირიკის სხვადასხვა დარგები: — ელეგია, იამბიკა, მელიკა... და თითოეული დარგის წარმომადგენლები, თვითეული ამ წარმომადგენლის ვინაობა, მისი შემოქმედების ინდივიდუალური თვისებები, ესაა მდიდარი შინაარსი წიგნის მეორე ნაწილის.

ამაზე უკეთეს და ვრცელ გამოკვლევაზე ჩვენ ვერ მივუთითებთ მკთხველს ვერც რუსულ გამოცემებში.

საჭიროთ მიგვაჩნია შევნიშნოთ მხოლოდ, რომ გამოკვლევაში მთავარი ადგილი უჭირავს მიმოხილვას და შედარებით ნაკლები ყურადღებაა მიქცეული იმ მომენტზე, რომელიც საჭიროა ისტორიისათვის.

სად და როგორ ჩაისახა ესა თუ ის მიმდინარეობა ლირიკის, როგორი გზა ქონდა თვითეულ მიმდინარეობის სვლას, როგორ გადადიოდა ერთი მეორეში, რა ობიექტიური პირობებით აიხსნებოდა ლირიკის ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლის სუბიექტიური მიმართულება, — ეს ისტორიული კვლევა ძიების კითხვები დაყენებულია ავტორის ნაშრომში, მაგრამ მათი გაშუქება იჩრდილება მიმოხილვური ხასიათის მომენტებში.

ავტორს, აქვს მაგალითად, — ამნაირი სტრიქონები:

— „ჰესიოდთ დაიწყო ობიექტივიზმიდან სუბიექტივიზმისკენ გადახრა და ეს გარემოება მოასწავებს ახალი ეპოქის დადგომას, რომელშიაც ახალი გემოვნება და მისწრაფებანი ბატონობენ“ ...

— „არქილოქეს სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდენ ელეგიები კალინესი და ტირტკოსი, რომელთა ხელშიაც ენერგიულმა სახემ დაჰკარგა ბევრი რამ სუბიექტიურობაში, მაგრამ მიიღო სპეციალურად მებრძოლი ელფერი, რაც აიხსნება, როგორც ორივე პოეტის ნიჭით, ისე იმ ისტორიული პირობებით, რომელშიაც ისინი ცხოვრობდენ“ ...

— ...ერთი სიტყვით პოემის (ტირტელოს პოემა — კეთილკანონიერება) ხელმძღვანელი დედააზრი იყო სურვილი — დაევიწყებინა მოქალაქეებისათვის პიველად ანგარიშების გასწორებაზე ფიქრი, რასაც შეეძლო დაეღუპნა სამშობლო, ან ზიანი მიეყენებინა მისთვის“....

— „...კალინეს ნაწყვეტების გარჩევის დროს აღნიშნული იყო, რომ მათში ჩვენ გვიხდება ერთგვარი ცენტრალური დაპირისპირება სილაჩრის და სიმამაცისა,“....

— „...ის დრო, რომელშიც მგოსანი ცხოვრობდა, ათხროვდა მარტო ოდენ ერთ რამეს: პატრიოტულ აღფრთოვანებას, სიმამაცით ანთებას, თორემ სახელმწიფოს ბოლო ეღებოდა“...

— „...გამოიცვალა დრო, გამოიცვალა მათთან ერთად გემოვნებაც. ლირიკას დაემართა ის, რაც ორესლაც ეპოსს მოუფიდა...“

ამისთანა სტრიქონებს კიდევ ბევრს ვიპოვნით წიგნში. მაგრამ ისეთი შთაბეჭდლებაა, თითქო ავტორს ასანთი უჭირავს ხელში და მისი გაკვრით აშუქებს დიდ წყვილებს იმ პირობებისას, სადაც ნიადაგი ეძლეოდა ბერძნული ლირიკის სხვადასხვა მიმართულებებს, სახეებს, სამხატვრო საშუალებებს, ლირიკოსების ინდივიდუალურ თვისებებს.

მიმოხილვის ხაზზე ავტორი მიდის სრული სიმძლავრის სინათლით, ახსნის და გარჩევის გზაზე ის კმაყოფილება ასანთის გაკვრით.

ძველ საბერძნეთში ლირიკულ პოეზიას უდიდესი გავლენა ქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეს გავლენა აიხსნება იმით, რომ ამ პოეზიაზე თავის მხრივ უდიდეს გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ამნაირი ურთიერთობა უკეთ გამოჩნდება თუ მიმოხილვის ფარგლებში ადგილი მიეცემა ობიექტიური პირობების გარჩევასაც, როცა ავტორი ამბობს, მაგალითად, რომ კალინეს ნაწყვეტების გარჩევაში ჩვენ გვხვდება ერთგვარი ტენდენციური დაპირისპირება სილაჩრის და სიმამაცისო, მხოლოდ გამოცდილი მკითხველი გაიგებს,

რომ თითონ ეს სილაჩრე და სიმამაცე გამომხატველია სხვა დაპირისპირების, მაჩვენებელია იმისი, რაც ობიექტივიზმიდან გადადის სუბიექტივიზმში.

ობიექტიურ პირობებში ავტორი აჩერებს თავის ყურადღებას მარტო იმ მომენტზე, რომ ბერძნებს უხდებოდათ ომი გარეშე მტრებთან. მეორე მომენტია საზოგადოებრივი ურთიერთობა — დაპირისპირება ბერძნულ შინაგან ცხოვრებაში. ეს მომენტი ბევრ რამეს აგვიხსნის და გაგვარჩევინებს ეპოსის და ლირიკის განვითარებაში, ამა თუ იმ ეპიკურ-ლირიკული დარგის ჩასახვაში, ამა თუ იმ კილოს ძალა-სისუსტეში. ეს მომენტი კი შედარებით ნაკლებ იზიდავს ავტორის კალამს.

საზოგადოებრივი ურთიერთობის გასაცნობათ ის აძლევს ზემოთ ამოწერილ სტრიქონებისთანა ნაწყვეტებს, გვიტოვებს პატარ-პატარა გასახედავებს, საიდანაც შეგვიძლია გავიხედოთ მხოლოდ ცალი თვალით.

ჩვენ მაინც უფრო დიდათ ვაფასებთ ამ ნაშრომს, ვიდრე თითონ ავტორი, რომელიც წინასიტყვაობაში ამბობს, რომ „ქათველ საზოგადოებას ხელთ ექნება პირველდაწყებითი სახელმძღვანელო“. ამ ნაშრომის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე პირველ დაწყებითი სახელმძღვანელოსი. ეს არის მეცნიერული ცოდნის სახელმძღვანელო.

ქართული თარგმანი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს იმით, რომ ის შესრულებულია საგნის სიყვარულით. ვერ ვიტყვით კი, რომ თარგმანს არ აქვს არავთარი ნაკლი. ხშირია ასეთი ადგილები, სადაც სჩანს **თარგმნა** — რუსიციზმები, მაგ., „სიტყვას პროზა იღებს“, ... „ცხოვრების ამოება შედის თავის უფლებებში“ ... და სხვ.

ნიმუშების თარგმანი არ ჩამოუვარდება რუსულ თარგმანებს.

ვ. რუხაძის „მცირე განმარტების“ გამო.

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამას წინად გამოვიდა „გალაქტიონ ტაბიძის გაზეთი“, რომლისთვისაც ვ. რუხაძეს მიუცია თავისი ლექსი. მათ, ვისაც ეს ლექსი მიუღია დასაბეჭდად, შეუტანიათ მის სათაურში შესწორება, რასაც გამოუწვევია ვ. რუხაძის განმარტება, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი ჟურნალის მე-6 ნომერში.

ამ განმარტებაში სწერია:

„გადაჭრით ვაცხადებ, რომ გ. ტაბიძისთვის ლექსი არ მიმიძღვნია. მან ჩემს ჩვეულებრივ ლექსს, რომელიც გადავეცი მის მოგზავნილ კაცს საგაზეთო მასალათ, სათაური გამოუცვალა და მოაქცია მისდამი მიძღვნილ ლექსებში. ეს, ჩემის აზრით, დაუშვებელია და, გარდა იმისა, რომ აშკარად ამჟღავნებს ავტორისადმი უპატივცემლობას, სიყალბის სუნიც უდის, რაც არ შეეფერება მწერალს.

რომ ეს ასეა, ამას ოდნავ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება: ამ ლექსში მოცემულია რევოლუციის დამახასიათებელი ხაზები და გალაქტიონის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს. ვ არ ლ ამ რუხაძე. 1927 წ. 23 ივნისი“.

ამა განმარტების გამო რედაქციას მოუვიდა შემდეგი „წერილი რედაქციის მიმართ“:

„ქართულ მწერლობის“ № 6 მოთავსებული: „მცირე განმარტება“ ვ. რუხაძის, თითქოს მას გალაქტიონ ტაბიძისათვის ლექსი არ ეძღვნას და გ. ტაბიძეს მისდამი მიძღვნილ ლექსებში, ყოველივე პრეტენზიების გარეშე, მაინც მოეთავსებოდა სათაურის შეცვლით რუხაძის ლექსი, ეს სინამდვილეს მოკლებულია. ვ. რუხაძის ასეთი განმარტება შეიცავს ლიტერატურულ სიყალბეს.

აღნიშნულ გაზეთის სარედაქციო კოლეგია გადაჭრით აცხადებს, რომ გაზეთის გამოცემაში გალაქტიონ ტაბიძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ, მისი პოეზიის პატივისმცემლებმა, რამოდენიმე პირმა, ვიკისრეთ გაზეთის გამოცემის ინიციატივა და ჩვენ მიუგზავნეთ კაცი ზოგიერთ მწერლებს არა თხოვნით, არამედ ვაცნობეთ: სურვილისამებრ მიეღოთ მონაწილეობა ამ გაზეთში. ვ. რუხაძისაგან ერთი ლექსის მაგიერ ორი ლექსი მივიღეთ.

სიყალბეა, თითქოს რუხაძის ლექსს სათაური შეუცვალა ვინმემ. სათაურისათვის ხელი არავის უხლია. ჩვენ, სარედაქციო კოლეგიამ, ჩაუმატეთ სათაურს მხოლოდ პირველი სიტყვა, რითაც ლექსი შევუთანხმეთ გაზეთის შინაარსს.

მასალის ასეთი უბრალო შესწორების უფლება, ჩვენ ვფიქრობ-
დით, ყოველთვის აქვს სარედაქციო კოლეგიას. იქნებ ვ. რუხაძეს
ეგონა, ჩვენ დედანი აღარ გვაქვს ხელთ. ჩვენ გვაქვს გაზეთში მო-
თავსებულ ყველა წერილების და ლექსების ხელნაწერები, სადაც
ერთი წერტილიც-კი არ შეგვიცვლია არავისათვის. ეს ხელნაწერები
ინახება ჩვენთან.

„გ. ტაბიძის გაზეთის“ სარედაქციო კოლეგია“.

„ქართულ მწერლობის“ რედაქციამ მოითხოვა ვ. რუხაძის
ლექსის დედანი. აი ეს ლექსი:

„უტეხი ძალა“.

ამოვარდება
როგორც გრიგალი.
იცის კვეთება
დაურიდალი.
ვერ აკრობს ტყვია,
ვერ იჭერს ზღუდე,
მძლე გაქანებას
საზღვარს არ უდებს.
მოდის თამამათ,
რწმენით ნაპოხი
და ავსებს ქუჩებს
შფოთით, ამბოხით.
ისვრის ეპოქებს
ცეცხლით აღსავსეს:
საუკუნოებს
წუთში ათავსებს.

დედანში ამ ლექსს ქვიან „უტეხი ძალა“, რომელსაც ვ. რუხა-
ძის განმარტებით. წარმოადგენს რევილიუცია. „გ. ტაბიძის გა-
ზეთში“ ეს სათაური ასეა შეცვლილი: „პოეზიის უტეხი ძალა“.

ეს საკითხი ამგვარად რედაქციას სავსებით ამოწურულად მი-
აჩნია. დასკვნები გააკეთოს თვით მკითხველმა.

„ქართული მწერლობის“ რედაქცია.

უიწაარსი:

სრ. საქ. მწერალთა კავშირის მოწოდება.

პოეზია (ანბანზე):

ალ. პუშკინ — სიმღერა გრძნეულ ოლეგზე (თარგ. ვ. გაფრინდა-
შვილის).
გრანელი ტერენტი — ქალი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში.
ეთიმ გურჯი — ***
ვაკელი იონა — შადრევანის პირად.
ზომლეთელი ნოე — თბილისი — ზაჰესს!
ნადირაძე კოლაუ — ოქროყანა.
რუხაძე ვარლამ — ქუჩის ბავშვს.
ტაბიძე ციტიან — იმათი იყოს ეს სადღეგრძელო. რია-რია. ირემი
აქებს იალალს.
შანშიაშვილი სანდრო — პოემა უცნობ ხელებზე.
ლენიძე გიორგი — ძველებური სიმღერა. ქილილა დამნა.
ცეცხლაძე გრიგოლ — თითქოს ფეხი მაქვს ვეშაპის ყბებში.
ჩაჩავა ნიკოლოზ — კალოშები და სიყვარული.
ჩიქოვანი სიმონ — მიძღვნა და მიბაძვა მუზას.

პროზა:

ვასილ ბარნოვი — მტკვრის ვაჟი.
სტენდალი — იტალიური ქრონიკები (თარგ. ფრანგულიდან გე-
რონტი ქიქოძისა).
კოლაუ ნადირაძე — მენავთე გასპარ.
სვ. ყიფიანი — უკულმართობა.
მარიამ გარიყული — ნანიკო.
სვიმონ ქვარიათი — ბოტანიკურ ბაღში.

წერილები:

კონსტანტინე კაპანელი — ჰამლეტი და ფაუსტი.
შალვა ამირანაშვილი — ქართული საერო მხატვრობის გენეზისი-
სათვის.
აკად. ნ. მარი — ჩემი ავტობიოგრაფია.

დისკუსია:

ბესარიონ ულენტი — მემარცხენეობის „რევიზორი“.

დოკუმენტები:

შალვა დადიანი — სილუეტი ნიკო დადიანისა.

ბიბლიოგრაფია:

ს. — ნი. — გრიგოლ წერეთელი. ბერძნული ლიტ. ისტორია.
ვ. რუხაძის მცირე განმარტების გამო.



ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლენ. პრ. № 91.

19/VII—27 მთავარლ. № 1300. შეკვ. № 1135/7961 დაიბ. 1100